ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 8 მარტი, №4-5 (6418)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 80 თეთრი



## ძვირფასო მანდილოსნებო!

გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს — 8 მარტს. 2016 წლის გაზაფხულს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის მოეტანოს მომავლისადმი უდიდესი რწმენა, ბედნიერება და ულევი სიხარული.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, თქვენი სურვილებისა და მიზნების ასრულებას.

**პატივისცემით, ჯემალ შავერდაშვილი,**
**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

## ძვირფასო ქალბატონებო!

ჩემთვის დიდი პატივია, რომ მეძლევა საშუალება მოგილოცოთ ეს ლამაზი დღესასწაული 8 მარტი. გილოცავთ და გისურვებთ ბედნიერებას, ულევ სიხარულს და სიყვარულს, საკუთარი ნიჭიერების რეალიზებისათვის ფართო ასპარეზს, საინტერესო, წარმატებულ ცხოვრებას და ჯანმრთელობას. ლამაზი დღეებით აღსავსე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება.

**პატივისცემით, ილია მზექალაშვილი,**
**ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი**

## 8 მარტი

ეს დღესასწაული მაშინ შეიქმნა, როდესაც უკვე ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა დაიწყო. 1857 წლის 8 მარტს, ნიუ იორკში, საპროტესტო აქციაზე შეიკრიბა სამკერვალო ქარხნებში მომუშავე ქალბატონები. მათი მოთხოვნა იყო:10 საათიანი სამუშაო დღე.ნათელი და თავისუფალი საოფისე (სამუშაო) ფართი. თანასწორი ხელფასი მამაკაცისა.

იმ დროს ქალები დღეში 16 საათის განმავლობაში მუშაობდნენ, მაგრამ გაწეული შრომისთვის რამოდენიმე გროშს იღებდნენ. მამაკაცთა გადამწყვეტი ქმედებების შემდგომ მოხდა მათი სამუშაო დროის 10 საათამდე დაყვანა. ამერიკის ბევრ საწარმოში შეიქმნა პროფკავშირული ორგანიზაციები. და აი, 1857 წლის 8 მარტის შემდეგ ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ორგანიზაცია—პირველად მათი წევრები გახდნენ ქალები. ამ დღეს ნიუ იორკის ბევრ ქალაქში ასობით ქალი გამოვიდა დემონსტრაციულ და საპროტესტო აქციებზე მოთხოვნით: დაეცვათ ქალთა უფლებები. !

1910 წელს კოპენჰაგენში, სოციალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, კლარა ცეტკინი გამოვიდა შემოთავაზებით, რომ 8 მარტს აღენიშნათ ქალთა საერთაშორისო დღესასწაული, რომელიც ჟღერდა როგორც „მოწოდება მსოფლიოს ყველა ქალს თანასწორობისთვის ბრძოლაში“.

ამ მიმართვის საპასუხოდ ბევრი ეროვნების ქალბატონმა დაიწყო ბრძოლა და ფიქრი თანასწორობის, შრომის. პატივისცემის, ღირსებისა და მშვიდობისთვის ბრძოლაში.

1911 წელს ეს დღესასწაული პირველად აღინიშნა 19 მარტს ავსტრიაში, დანიაში, გერმანიასა და შვეიცარიაში. ამის შემდეგ, მილიონზე მეტმა ქალბატონმა და მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციებში. გარდა ხმის მიცემისა და სახელმძღვანელო პოზიციის დაკავებისა, ქალებს მიენიჭათ თანაბარი უფლებები იდენტურად მამაკაცებისა.

## ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიაზე

22 თებერვალს გაიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ჯემალ შავერდაშვილი უძღვებოდა. სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განიხილეს დადგენილების პროექტები: „დასახლების საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“; „ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“; „ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასისა და საიჯარო ქირის დადგენის შესახებ“.

სხდომაზე განიხილეს დადგენილების პროექტი „დასახლების საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლების საერთო კრების მოწვევას, ჩატარებას და სხვა. კენჭისყრის შედეგების შესაბამისად მიღებული იქნა დადგენილება „დასახლების საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“. დეპუტატებმა ასევე განიხილეს და კენჭისყრის შედეგების შესახებ დაამტკიცეს დადგენილებები „ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და „ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასისა და საიჯარო ქირის დადგენის შესახებ“.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტები საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა გ. ზაუტაშვილმა, კენჭისყრის შედეგების შესაბამისად მიღებული იქნა შესაბამისი განკარგულებები.

ამით სხდომამ მუშაობა დაასრულა.



## მაჟორიტარმა დეპუტატმა ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა

### დარწმუნებული ვარ, იგი უფრო მეტი შემართებით იბრძოლებს ამომრჩეველთა ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებისათვის



19 თებერვალს სოფ. შილდის საზოგადოებრივი ცენტრის სხდომათა დარბაზში შეხვედრა მოუწყეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, შილდის მაჟორიტარ დეპუტატს ჯემალ შავერდაშვილს, რომელიც გაიმართა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და შილდის „განვითარების ფონდის“ წარმომადგენლების ინიციატივით.

შეხვედრაზე განიხილეს სამი საკითხი:

1. შილდის მოსახლეობის ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად მაჟორიტარი დეპუტატის მიერ გაწეული მუშაობის და მომავალში დაგეგმილი საქმიანობის თაობაზე.

2. სოფელ შილდის განვითარების კონცეფციის შემუშავება.

3. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა კოოპერატივის სახით.

შილდის მოსახლეობის ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად მაჟორიტარი დეპუტატის მიერ გაწეული მუშაობის და მომავალში დაგეგმილი საქმიანობის თაობაზე ბატონმა ჯემალმა ვრცელი ინფორმაცია წარუდგინა შეხვედრის მონაწილეებს.

კერძოდ, მან აღნიშნა — სოფელში მოსაწესრიგებელი იყო დაბალი და მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზები, გამოსაცვლელი იყო ავარიულ მდგომარეობაში მყოფი დგარები, რის გამოც ხშირად ხდებოდა სოფლის მოსახლეობისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის გათიშვა. ენერგოდისტრიბუციასთან აქტიური მუშაობის შედეგად პრობლემები მოგვარდა. შეიცვალა ამორტიზებული დგარების უმრავლესობა, დაიჭიმა სადენები და ელ.გადამცემ ხაზებს მოსცილდა ხის ტოტები. არახელსაყრელ კლიმატურ პირობებშიც კი ელექტრო ენერგია მოსახლეობას მიეწოდება სტაბილურად. ამიტომაც შეხვედრის მონაწილეებმა მადლიერება გამოხატეს კახეთის ენერგოდისტრიბუციის ხელმძღვანელობის და ყვარლის მომსახურების ცენტრის უფროსის, ბატონ მიხეილ კიკნაძის მიერ სოფლის ელექტრო მეურნეობაში არსებული პრობლემების მოგვარებისათვის.

სოფლის მოსახლეობა შეწუხებული იყო სასმელი წყლის უკმარობით, ბევრ უბანს წლების განმავლობაში არ მიეწოდებოდა წყალი, ხოლო მთლიანად სოფელში ნაწილდებოდა გრაფიკით. დღეისათვის სასმელი წყალი მოსახლეობას მიეწოდება 24 საათიანი რეჟიმით, ზაფხულის თვეების გარდა. ოჯახები აღარ საჭიროებენ წყლის პომპებს და ზოგავენ ელექტროენერგიას, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ შესაცვლელი დარჩა ძველი ამორტიზებული მიწისქვეშა კომუნიკაცია (ლითონის მილები) 3 კილომეტრის სიგრძეზე. ამის გამო, ხშირად ხდება ავარიები. ამასთან ერთად, წვიმების დროს იმღვრევა და შეუძლებელია „სეფორას“ სასმელად გამოყენება, ხოლო სასმელი წყალი „წიწმატიანი“ კი იფერება დრენაჟის არ არსებობის გამო.

მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული გვაქვს „წიწმატიანის“ სათავეში წყლის შემკრები რეზერვუარის მშენებლობა და ახალი სადრენაჟე სისტემის მოწყობა. ასევე საჭიროა რეზერვუარში ჩამდინარე წყალი მოვაქციოთ დახურულ გაყვანილობაში, რათა ავიცილოთ სასმელი წყლის დაბინძურება პირუტყვისაგან. ამის შემდგომ შესაძლებელი გახდება მთლიანი სოფელი დავაკმაყოფილოთ „წიწმატიანის“ სასმელი წყლით.

სტუდენტებმა მადლობა გადაუხადეს ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, სოფლის წყალსადენების ხელმძღვანელს, ბატონ გიგლა ბეჟანიშვილს. გამოთქვეს რწმენა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ყველაფერს იღონებენ, რათა სოფელი მთლიანად „წიწმატიანის“ სასმელი წყლით მომარაგდეს.

შემდეგ ბატონმა ჯემალმა ილაპარაკა ბუნებრივი აირით მოსახლეობის მომარაგებაში არსებულ პრობლემებზე, შპს „სოკარჯორჯია გაზი“ კახეთის რეგიონალურ სამმართველოს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით ყველა პრობლემა მოაგვარა. დღეისათვის გაზრდილია ბუნებრივი აირის წნევა, თითქმის ყველა ოჯახი გაზიფიცირებულია განვადების მეოხებით, მთლიანად მოწესრიგებულია გაზგაყვანილობები.

სტუდენტებმა მადლობა გადაუხადეს შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ კახეთის რეგიონალური სამმართველოს დირექტორს, ბატონ მიხეილ სამხარაულს, „სოკარ ჯორჯია გაზი“ ყვარელის დირექტორს ნუგზარ ბურკიაშვილს შილდის მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის. ამასთან, თხოვნით მიმართეს მათ, რათა დროულად შეიღებოს მილგაყვანილობები.

იმის გამო, რომ სოფელში არსებული ღია ტიპის სარწყავი არხები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის სამსახურის ბალანსზეა, აქტიურად ვთანამშრომლობდი მათთან, რის შედეგადაც გაიწმინდა ყველა სარწყავი არხი. მოსახლეობას არ გასჭირვებია ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების მორწყვა. მევენახეებს, ვისაც დიდი ფართობები გააჩნიათ, დაარტყეს ჭაბურღილები და თითქმის ფართობების უმეტესობა ირწყვება. სარწყავი წყალი არ მიეწოდებათ ვეძისხევი-ტურისციხის მოსახლეობას, იმის გამო, რომ დაზიანებულია სარწყავი არხის 300 მეტრიანი მონაკვეთი, რომელიც დაკიდებული იყო ჰაერში. ამჟამად მელიორაციის სამსახურთან მიდის მუშაობა პრობლემის მოსაგვარებლად.

სოფლის იერ-სახის გალამაზების მიზნით მივაღწიეთ იმას, რომ საზოგადოებრივ ცენტრთან მიმდებარე „ბულვარში“ ჩატარდეს კეთილმოწყობის სამუშაოები. 9 მარტს ჩატარდება ტენდერი და სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოებს შეასრულებს გამარჯვებული კომპანია. გვექნება გაახლებული და გალამაზებული დასასვენებელი პარკი საბავშვო ატრაქციონებით.

გაგრძელება მე-9 გვ. -ზე

# მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შესახებ, საინფორმაციო შეხვედრები ყვარლის მუნიციპალიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს

2015 წლის მარტიდან საქართველოს რეგიონების ნაწილში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა დაიწყო.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი, რომლის მიზანია რეგიონებში ახალი ბიზნესების წამოწყების წახალისება, ინოვაციების დანერგვა და უკვე არსებული მიკრო და მცირე ბიზნესების განვითარების ხელშეწყობა“.

ეს პროგრამა ხელს უწყობს რეგიონული მოსახლეობის გააქტიურებას. ფინანსური დახმარების გაწევის გზით რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შესახებ, საინფორმაციო შეხვედრები ყვარლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სისტემატურად მიმდინარეობს.

ამასთან დაკავცშირებით ვესაუბრეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს მამუკა ბერიაშვილს.

**— ბატონო მამუკა,კონკრეტულად რა მიზანს ისახავს ასეთი შეხვედრები?**

— 17 თებერვალს, ყვარლის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინიციატივით გაიმართა შეხვედრა — პრეზენტაცია მუნიციპალიტეტის ფერმერებთან და მეწარმეებთან, რომელიც მიზნად ისახავდა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის გაცნობას.

**— რა არის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ძირითადი მიზანი?**

—2014 წლის ივნისიდან საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა დაიწყეს „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ პროგრამა , რომელიც ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას, მეწარმეების დაფინანსებას და ცოდნის ამაღლებას. 2016 წლიდან დაიწყო პროგრამის მეორე ეტაპი. 31 მარტამდე ქვეყნის მასშტაბით რეგიონის მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა წარადგინონ ბიზნეს იდეა და მოიპოვონ დაფინანსება იდეის განსახორციელებლად. „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ რეგიონის პროექტის მიზანს წარმოადგენს ფერმერებისა და მეწარმეების წახალისება ფინანსური ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურების გზით, რაც გამოიწვევს რეგიონში ბიზნესკონკურენტუნარიანობის ზრდას, შემოსავლების ათვისებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და შეამცირებს რეგიონის მოსახლეობის მიგრაციას.

**— რას უნდა ველოდეთ ამ პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში,ანუ რა როლს შეასრულებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით?**

— პროგრამის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია რეგიონული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რეგიონში თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკის დამკვიდრება, და სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახის სარგებელი რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის მატებისა და განვითარებისათვის.

**—კონკრეტულად, სახელმწიფოს მხრიდან პროგრამის ხელშეწობის მექანიზმი რას ითვალისწინებს?**

— ამ პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 20 მილიონ ლარს და მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, გარდა საჯარო მოხელისა. პროგრამის ხელშეწყობის მექანიზმი/მეთოდოლოგია ითვალისწინებს თანამონაწილეობრივი დაფინანსების გაცემას სამიზნე რეგიონებში დამწყებ და არსებულ მეწარმე სუბიექტზე (გარდა იურიდიული პირისა)/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფზე (არაუმეტეს სამი მეწარმე სუბიექტისგან (გარდა იურიდიული პირებისა) შექმნილი ამხანაგობა). დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 5000 (ხუთიათასი) ლარით ერთ მეწარმეზე, რაც მეწარმეთა ჯგუფის შემთხვევაში 15 000 (თხუთმეტი ათას) ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს ჩაუტარდებათ ტრენინგები ბიზნეს გეგმის შედგენაში.

5 თებერვლიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგიონის მოსახლეობას კვლავ ეძლევა შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი ბიზნეს იდეა ვებგვერდის მეშვეობით www. qartuli. ge და ჩაერთოს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში, რომელიც როგორც უკვე აღვნშნეთ, სახელმწიფოს მხრიდან 5 000 დან 15 000 ლარამდე თანადაფინანსების გაცემას გულისხმობს და წარმოადგენს ბიზნესის განვითარების კარგ შესაძლებლობას. ბიზნეს იდეის წარდგენა შესაძლებელია ა. წ 31 მარტამდე.

**ია გიგიაშვილი**

## კარგი სიტყვა კარგ ადამიანებზე

# ძვირფასო ლალი ექიმო, გილოცავთ 8 მარტს

გავხდი ავად. მწვავე ტკივილები გამიჩნდა გულისა და კუჭის არეში. სასწრაფოდ მომათავსეს ყვარლის ჰოსპიტალში. მკურნალობა დამიწყო ლალი ბურკიაშვილმა. უფლის მადლობელი ვარ, რომ ასეთ ექიმს შემახვედრა. გაგონილი მქონდა, რომ ზოგიერთი ექიმი უწამლოდაც არჩენს ავადმყოფებსო. ლალი ექიმის ყურადღებამ, გულისხმიერებამ, მისმა დარიგებამ და ნუგეშმა თავისი ნაყოფი გამოიღო. მისმა განსაკუთრებულმა ყურადღებამ იმედი ჩამისახა, თვალები გამახელინა და ფეხზე დამაყენა. მთელი ათი დღე გვერდიდან არ მომშორებია. სწორედ ასეთი თავდადებული გარჯისათვის მუდმივად ვილოცებ თქვენთვის ქალბატონო ლალი.

მადლობელი ვარ ძალიან, თუკი ეს სიტყვა აკმაყოფილებს იმას, რაც მე თქვენ პატივი მეცით.

ძვირფასო ლალი ექიმო, გილოცავთ 8 მარტს, იცოცხლეთ დიდხანს, ჯანმრთელი იყავით თქვენი ოჯახით. უფალი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

**ვახტანგ ხაჩიშვილი**
**პედაგოგი, ღირსების ორდენოსანი**

# როგორი საფულე „იზიდავს“ ფულს — რვა ოქროს რჩევა ბარაქისთვის

შესაძლოა ბევრმა თქვენგანმა არც კი იცის, რომ სხვა გარემო ფაქტორებთან ერთად სიღარიბის მიზეზებს ხშირად არასწორად შერჩეული საფულე განაპირობებს. როგორც ეზოთერიკოსებს მიაჩნიათ, სწორად შერჩეული საფულე კარგი მატერიალური შემოსავლის საწინდარია. ფერი, ფორმა, მასალა და სხვა ნიუანსები რომლის მიხედვითაც საფულეს არჩევთ განაპირობებს იმას, თუ რა ოდენობის თანხას გამოიმეტებს თქვენთვის კოსმოსი... ასე რომ დადგა დრო ძველი საფულე ახლით ჩაანაცვლოთ და მოემზადოთ უფრო მეტი შემოსავლის მისაღებად!

**1. ფერის შერჩევა — ე.წ. „სიმდიდრის ფერები“**

ფენ-შუის მიხედვით არსებობს ტონალობები, რომელიც ფულსა და სიმდიდრეს იზიდავს. ესენია: ყვითელი და ყვითლის ყველა ელფერი, შავი, ყავისფერი, ზოგადად მიწის და ნებისმიერი მეტალის ფერი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი. ნაკლებად შეაჩერეთ არჩევანი შემდეგ ტონალობებზე: წყლის ფერი (ლურჯი, ღია ცისფერი, მომწვანო-შაბიამნისფერი), წითელი ან ნარინჯისფერი. ამგვარი საფულიდან ფული მომენტალურად „ქრება“.

**2. ფორმა**

საფულე აუცილებლად უნდა იყოს ტევადი. სასურველია ჰქონდეს რამდენიმე შიდა ჯიბე, მათ შორის დიდი ჯიბე მსხვილი კუპიურების ჩასადებათ. თუ თქვენ საფულეში მსხვილი კუპიურის მოკეცილად ჩადება გიწევთ, ე.ი. ამგავრ კუპიურებს იშვიათად გამოგიგზავნით კოსმოსი!

აუცილებელია ცალ-ცალკე გქონდეთ ხურდის და მსხვილი ფულისთვის განკუთვნილი განყოფილება. ერთმანეთში ნურასოდეს აურევთ ამ ორს! წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი შემოსავალი სტაბილურად მზარდი ვერასოდეს იქნება.

**3. მასალა და ფაქტურა**

სასურველია საფულე ბუნებრივი მასალისგან იყოს დამზადებული. ამისთვის ხავერდი ან სუფთა ტყავი გამოგადგებათ. ამგვარი მასალა ფულს საუკეთესოდ იზიდავს თქვენკენ. ნუ ატარებთ საფულეს ხელოვნური ტყავისგან, იმიტომ რომ მათი ხელოვნურობა სამომავლოდ ფინანსების მხრივ ერთი შეხედვით პერსპექტიულ, მაგრამ საბოლოო ჯამში არაფრის მომცემ შემოთავაზებებს გააქტიურებს თქვენს ცხოვრებაში.

**4. დიაზაინი**

რა საქმიანობითაც არ უნდა იყოთ დაკავებული, აუცილებლად იქონიეთ რესპექტაბელური ვიზუალის მქონე საფულე. ბავშვური ნახატებით ან აპლიკაციებით გაფორმებული, „არასერიოზული“ საფულე ვერ მოიტანს თქვენთან დიდ ფინანსებს, ამიტომ მოგიწევთ როგორც პატარაობაში, „წვრილი ფულით“ დაკმაყოფილდეთ.

**5. რა უნდა ვატაროთ საფულით ფულთან ერთად**

არსებობს ე.წ, „ფულის მომზიდველი“ ჩინური ამულეტი, რომელიც ერთმანეთზე გადაბმული სამი მონე-



ტისგან შედგება. მართალია ამგვარი ამულეტის ყიდვა ეზოთერულ მაღაზიებშიც შეიძლება, გამზადებული სახით, მაგრამ აჯობებს, თავად დაამზადოთ იგი და საფულით ატაროთ მუდამ, ფულთან ერთად.

კიდევ ერთი სასარგებლო ამულეტია საფულის ჯიბეში ყურძნის, მწვანე ჩაის ან პიტნის გამოსახულებით ფოტოს ან ნახატის ტარება. ამ მცენარეებს გააჩნიათ უნარი საკმაოდ სოლიდური თანხა მოიზიდონ თქვენკენ.

ასევე კარგია თუკი საფულით ატარებთ სიმბოლურად ერთ დოლარიან კუპიურას, რომელიც არასოდეს არ უნდა დახარჯოთ. ეს კუპიურა იზრუნებს იმაზე, რომ თქვენი საფულისკენ თანამოძმეები აქტიურად მოიზიდოს.

**6. როგორი უნდა იყოს ფულის განლაგება საფულეში**

ფული საფულეში იერარქიული პრინციპით უნდა განლაგდეს. ჯერ მსხვილი, შემდგომში კი წვრილი კუპიურები.

არასოდეს ამოასუფთავოთ პირწმინდად საფულე! დატოვეთ თუნდაც ხურდა ფული მასში.

**გაგრძელება მე-13 გვ. -ზე**



# საინტერესო ფაქტები 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით

1912 წელს ქალთა დღე აღნიშნეს 19 მარტსა და 12 მაისს. მხოლოდ 1914 წელს ქალთა დღის აღნიშვნა სპონტანურად დაიწყეს 8 მარტს.

---

პარადოქსიულია მაგრამ, 1918 წლამდე, რუსეთის იმპერიას ჰქონდა შექნილი ახალი გრიგორიანული კალენდარი „რომლის მიხედვითაც“ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა“ აღინიშნებოდა 23 თებერვალს — დღე რომელიც ასოცირდება მამრობითი სქესის დღესასწაულთან.

---

ქალთა დღე თავდაპირველად აღინიშნებოდა ძველ რომში. არსებობდა დღე, როდესაც ქალებს თავისუფლად შეეძლოთ ქმრებისგან საჩუქრები მიეღოთ. ხოლო მოახლეებს და დაბალი ფენის წარმომადგენელ ქალებს ჰქონდათ დასვენების დღე — ქალთა სოლიდარობის ნიშნად.

---

თითქმის ყველა ქვეყანაში 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღეა. მაგრამ მაგალითად სირიაში 8 მარტს ზეიმობდნენ რევოლუციის დღეს, ხოლო ლიბერიის რესპუბლიკაში გარდაცვლილთა მოხსენიების დღეს!

---

8 მარტი დიდი ხნის განმავლობაში იყო ჩვეულებრივი სამუშაო დღე, მაგრამ 1965 წლის 8 მაისს სამამულო ომში გამარჯვების 20 წლითავის აღსანიშნავად ქალთა საერთაშორისო დღე გამოცხადდა დასვენების დღედ.

# რა კავშირშია კლარა ცეტკინი 8 მარტთან და რა კავშირშია 8 მარტი 23 თებერვალთან?

ჯერ კიდევ საბჭოთა ენციკლოპედიიდან, ყოველი საბჭოთა მოქალაქისათვის, საყოველთაოდ ცნობილი იყო ფაქტი, რომ 8 მარტის თარიღი ყოველწლიურად სადღესასწაულოდ დაადგინა 1910 წელს კოპენჰაგენში გამართულმა სოციალისტ ქალთა II საერთაშორისო კონფერენციამ, კლარა ცეტკინის წინადადებით. მაგრამ, არაფერი იყო ნათქვამი იმის თაობაზე, თუ, სახელდობრ, რა მიზეზით დაკანონდა დღესასწაული სწორედ 8 მარტისათვის?

საკითხს, რომელსაც ვერ ან არ ხსნიდა საბჭოთა ენციკლოპედია, ნათელს ჰფენს ბიბლიური ისტორია: სპარსეთის მეფემ, ართაქსერქსემ, ძველი წელთაღრიცხვის 480 წელს ცოლად მოიყვანა ქვეყნის ყველაზე მშვენიერი ასული — ესთერი, რომელმაც მეფეს დაუმალა თავისი ებრაული წარმოშობა. გამოხდა ხანი და მეფის დიდვეზირმა ამანმა, ბაბილონის ტყვეობიდან სპარსეთში შემოხიზნულ ებრაელებზე გამწყრალმა, ართაქსერქსე დააჯერა მოურჯულებელ ებრაელთა ამოწყვეტის აუცილებლობაში. მეფის თანხმობით დაინიშნა ეს დღეც. როცა ეს ამბავი შეიტყო, თავის ერზე მზრუნველმა ესთერმა სამი დღე და ღამე იმარხულა, მერე მოაწყო ნადიმი და მადლი ჰპოვა ქმრის თვალში, რომელმაც პირობა მისცა, რომ ყოველ სურვილს შეუსრულებდა. ესთერმა ებრაელების ხელშეუხებლობა გამოსთხოვა და მეფემაც დიდსულოვნად შეუსრულა თხოვნა — ებრაელებს თავის დაცვისა და ბრძოლის უფლება მისცა იარაღით და ის ხალხი, ვისაც ებრაელები უნდა დაეხოცა, თვით ებრაელებისგან დაიხოცნენ. ამ სასწაულებრივი გადარჩენის აღსანიშნავად, ებრაელებმა დააწესეს დღესასწაული — „პურიმი“ („წილისყრის დღე“). ეს არის ებრაელთა ყველაზე მხიარული დღესასწაული, სადაც ისმება ბევრი ღვინო და ცხვება ღვეზელი მტრის ოხტში ამოსვლით, სახელწოდებით: „ამანის ყურები“. ეწყობა მსვლელობები, კარნავალები და, ესთერის გმირობის აღსანიშნავად, ამ დღეს განსაკუთრებული პატივი და ყურადღება მიეგებათ ქალებს.

ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ, როდესაც კოპენჰაგენში ფემინისტმა ქალებმა გადაწყვიტეს, ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსების თარიღი დაეკონკრეტებინათ და გამოეცხადებინათ პლანეტის ყველა ქალის სოლიდარობის დღედ, ამ თარიღად არჩეული ყოფილიყო ქალის გმირული საქციელის განმადიდებელი, ებრაელთა დღესასწაული პურიმი. რადგან პურიმის დღესასწაული მოძრავია მთვარის კალენდრის მიხედვით, სადღესასწაულოდ ყოველი წლისათვის დაწესდა მისი პირველი აღნიშვნის დღე — ეს პირველი თარიღი კი სწორედ 8 მარტს დაემთხვა.

კლარა ცეტკინს უფლება არ ჰქონდა ჭეშმარიტი მიზეზი საჯაროდ გაემხილა, მაგრამ, საკუთარი ეთნიკური ტრადიციების ერთგულმა ქალმა, პლანეტის ყველა ქალს სადღესასწაულოდ დაუწესა იუდეველთა საკულტო თარიღი. თავისთავად ცხადია, ცუდი არაფერია იმაში, რომ კლარა ცეტკინმა თავის ერისთვის მნიშვნელოვან დღესასწაულს დაუმთხვია ქალთა დღე, არც ებრაული დღესასწაულების წინააღმდეგია ვინმე, მაგრამ ფაქტია, რომ ქალბატონი კლარა თავის განზრახვას გულდაგულ მალავდა.

P.S. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქალების დღესთან არის დაკავშირებული ეგრეთ წოდებული „კაცების დღე“ — 23 თებერვალი რუსეთში.

საქმე ის გახლავთ, რომ ახალი სტილით 8 მარტი არის ძველი სტილით 23 თებერვალი. იმ წლებში, როდესაც ევროპელი ინტერნაციონალისტები 8 მარტის პირველ დღესასწაულებს აღნიშნავდნენ, რუსეთში, როგორც საეკლესიო, ისე საერო კალენდრით იდგა 23 თებერვალი. ამდენად, ევროპელი სოციალისტების რუსი თანამოაზრენი ქალთა ახლად დაწესებულ საზეიმო თარიღს, თავიანთი კალენდრით 23 თებერვალს აღნიშნავდნენ. ხოლო მას შემდეგ, რაც1917 წელს ლენინის დეკრეტით საერო კალენდარი შეიცვალა, დარჩა პირვანდელი რეფლექსი და ინერცია, რომ 23 თებერვალს „რაღაც რევოლუციური მოვლენა ხდება“. ხალხის განწყობილების სასურველი გეზით წარმართვისათვის საჭირო იყო ამ თარიღზე რაიმე რევოლუციური ღონისძიების მიბმა. შეიქმნა მითი „წითელ არმიაზე“ — მის პირველ ბრძოლასა და გამარჯვებაზე, რასაც 1918 წლის თებერვალში წითელ ჯარში მოხალისეთა მასობრივი შესვლაც დაუკავშირეს. მაგრამ, რადგან ასეთი ჯარი მაშინ პრაქტიკულად არ არსებობდა, ამიტომ 23 თებერვალი მხოლოდ 1922 წელს დაწესდა წითელი არმიის დღედ.

აი, ამ დღესასწაულს აღნიშნავენ დღემდე პოსტსაბჭოურ რუსეთშიც, რომელიც, სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, „კაცების“ დღედაც არის სახელდებული. ან კი რა გასაკვირია — თუ არსებობს ქალების დღე, რატომ არ უნდა იყოს კაცების დღეც; მით უმეტეს, რომ ორივე დღესასწაულს ერთი და იგივე თარიღი უდევს საფუძვლად — კლარა ცეტკინის მიერ ეროვნული და რელიგიური ტრადიციებით ნაკარნახევი!

**ვასილ კეჟერაძე**

## მევენახეებისა და მებოსტნეების საყურადღებოდ

# საგაზაფხულო სამუშაოები ვენახში

კარგი მეღვინე გაზაფხულიდან იწყებს ზრუნვას შემოდგომაზე დასაწური ღვინის ხარისხზე.

კარგი მეღვინე კარგი მევენახეცაა — მთელი წლის განმავლობაში ვენახში ფუსფუსებს და გასხვლიდან დაწყებული რთველით დამთავრებული, ვაზის ყოველი გასაჭირი იცის. კარგი მეღვინის მთავარი მოკავშირე და პარტნიორი მისივე ვენახია. მეღვინე და მევენახე მთელი წლის განმავლობაში ეხმარებიან ერთმანეთს და ერთობლივი ძალებით ცდილობენ, შექმნან ისეთი ღვინო, რომელიც ადამიანებს შვებასა და ლხენას მოუტანს.

გაზაფხულზე ვენახში რამდენიმე აუცილებელი საქმეა გასაკეთებელი, ყველაზე მნიშვნელოვანი კი გასხვლაა. ზოგიერთი ვენახს შემოდგომაზე სხლავს და საქმეს წინ იგდებს. თუმცა, შემოდგომაზე გასხლული ვაზი გაზაფხულზე შედარებით ადრე იღვიძებს და ნაადრევი ყინვის შემთხვევაში, შეიძლება, პრობლემები შეექმნას. ამავე დროს, ძლიერ ყინვიანი ზამთრის პირობებშიც არსებობს შემოდგომაზე გასხლული ვაზის დაზიანების რისკი. ამიტომ ბევრი მევენახე გასხვლას გაზაფხულის პირზე — თებერვლის ბოლოს ამჯობინებს.

გასხვლის რამდენიმე მეთოდი არსებობს და ყველას თავისი მიმდევარი ჰყავს. არსებობს ყველაზე აპრობირებული, კარგად დაცდილი მეთოდებიც. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, როგორაა ფორმირებული ვაზი — დაბლარზეა, ოლიხნარზეა, ტალავერზეა თუ ხეზეა აშვებული. ერთი შეხედვით, გასხვლის კულტურა ყველაზე მეტად დაბლარ მევენახეობას უკავშირდება, მაგრამ დასავლეთ საქართველოში არსებული მაღლარი მევენახეობის გასხვლის ტრადიციები გვიჩვენებს, რომ მევენახეს არანაკლები შრომა სჭირდება ოლიხნარის, ტალავერისა და თვით ხეზე აშვებული ვაზის (ბაბილო) გასასხლავად. გურიაში ვაზის ხეზე ფორმირებისათვის ისეთ ხეებს იყენებდნენ, რომ მასზე ადვილად ასულიყვნენ და შეძლებისდაგვარად გაესხლათ. მურყანის (იგივე — რთხმელა, თხემლა) გარდა, ამისათვის არჩევდნენ ტყის ხურმას, რომელსაც რთხმელაზე ბევრად უფრო წვრილი ფოთლები აქვს და ამიტომაც ვაზს მეტი მზის სხივები მიეწოდება. გარდა ამისა, ტყის ხურმა გურულ მევენახეს გვიან შემოდგომაზეც ეხმარება, როცა ხურმა მწიფს და ჩიტები მის ტკბილ ნაყოფს უფრო ეტანებიან, ვიდრე ხეზე აშვებული საგვიანო ვაზის ჯიშების — ჩხავერის, ჯანის, სხილათუბანისა და სხვათა ყურძენს.

ვაზი საერთოდ რომ არ გაისხლას, თანდათან გაველურდება და დაკნინდება. განსაკუთრებით სწრაფად ეს პროცესი დაბლარ ვენახში მიმდინარეობს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასხლავი იარაღები და ისტორიული წყაროები მიგვითითებს, რომ ქართველი მევენახეებისთვის დაბლარი მევენახეობა უცხო არ ყოფილა. ახლანდელ ვენახებთან შედარებით, უწინდელი დაბლარი ვენახები იმით განსხვავდებოდა, რომ თითოეულ ვაზს ინდივიდუალური საყრდენი ჰქონდა (ხარდანი, ჭიგო, სარი), ყოველგვარი მავთულის გარეშე. გასხვლისას ერთ მთავარ რქას არჩევდნენ და 12-14 კვირტზე სხლავდნენ, მომავალი წლისთვის კი ორ ნეკს უტოვებდნენ. შემდეგში უკვე გაფოთლილ, მსხმოიარე მუშა რქას ხრიდნენ და ჭიგოზე ახვევდნენ, რათა ქარისგან ან მწიფე ყურძნების სიმძიმისაგან არ მოტეხილიყო.

მეღვინეობის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ე. წ. ახალ სამყაროში (ავსტრალია, ახალი ზელანდია, აშშ, არგენტინა და სხვა), ვენახები ხშირად თვალუწვდენელ ფართობებზეა გაშენებული და ადამიანის ხელით მათი გასხვლა წარმოუდგენელია. ამიტომაც იქ კარგა ხანია, გასხვლის მექანიზებული მეთოდებია დანერგილი. თუმცა, მანქანით გასხლული ვენახისგან მიღებული ყურძენი, ძირითადად, მასობრივი წარმოების ღვინისათვის თუ გამოდგება. სასხლავი მანქანა ღვინის ბიზნესში ჩართული იმ ადამიანების მოკავშირეა, ვინც მილიონობით ბოთლი ღვინის გაყიდვაზე ფიქრობს. ხოლო მათთვის, ვისთვისაც მეღვინეობა შემოქმედებითი პროცესია და ვინც მაქსიმალურად მაღალი ღირსების ღვინის შექმნაზე ზრუნავს, მექანიზებული სხვლა მიუღებელია.

გასხვლისათვის აუცილებელია, მევენახემ კარგად შეარჩიოს და გალესოს სასხლავი იარაღი. ძველად ვენახს დანით სხლავდნენ. ახლა ოდნავ მოკაუჭებულ, კარგად ალესილ სასხლავ დანებს მიყრუებულ ქართულ სოფლებში თუღა ნახავთ მოხუცი პაპების ხელში. დანა უფრო სანდო და მოხერხებულმა სასხლავმა მაკრატელმა შეცვალა, რითაც ვენახი უფრო სწრაფად და ამავე დროს, ხარისხიანად ისხვლება. თუმცა, ბოლო ხანს კარგი სასხლავი მაკრატლები საკმაოდ გაძვირდა. იაფად შეიძლება ისეთი მაკრატელი შეიძინო, რომელიც ერთი სეზონის შემდეგ ფუჭდება ან თავიდანვე ცუდად მუშაობს. ცუდი სასხლავი მაკრატელი ვაზის რქებს არასწორად ხლეჩს. დაზიანებული რქა შემდეგ ცუდად ხორცდება და დაავადების კერად იქცევა.

ვისაც უნდა, დიდი მოსავალი მოიწიოს, რომ ქარხნებს დიდი რაოდენობით ყურძენი ჩააბაროს, ვაზს „ტვირთავს“, ანუ მაქსიმალურად ბევრ რქას უტოვებს. ვინც ხარისხიან ღვინოზე ფიქრობს, იგი ორი-სამი რქის მეტს არ ტოვებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი რქების სწორად ამორჩევას, რომლებიც ერთი მხრივ, კარგად დაისხამს, მეორე მხრივ კი ვაზის სწორად ფორმირებასაც განაპირობებს. ამას სათანადო ყურადღება არ ექცევა და ამიტომ არის შემთხვევები, როცა ვაზზე უნაყოფო რქებს ტოვებენ, ხოლო ვენახების დიდი ნაწილი საქართველოში უსწორმასწოროდ არის ფორმირებული. მე თითო ვაზზე, 6-7 კვირტზე გასხლულ ორ რქას ვტოვებ სანაყოფოდ და კიდევ — ორ-ორ ნეკს, ორ კვირტზე. ნეკები, როგორც წესი, არ ისხამს და სამომავლო რეზერვია — ე. წ. სამამულე რქები. ვაზს თუ სამამულე რქა არ დაუტოვე, შემდეგ წელს ნაყოფს ველარ გამოიტანს“.

გასხვლის შემდეგ გაზაფხულზე ვენახი უნდა გასუფთავდეს. ჩვენთან გასხლულ რქებს ერთად აწყობენ, კონავენ და ვენახიდან გამოაქვთ. ბევრი გლეხი ნასხლავს იქვე წვავს, რაც არც თუ ისე სწორი გადაწყვეტილებაა ეკოლოგიური თვალსაზრისით. ევროპაში ბევრი ბიომევენახე ნასხლავ ლერწებს სპეციალური მანქანით აქუცმაცებს და ვენახში ტოვებს. დაქუცმაცებული ლერწები მიწას ერევა და საუკეთესო ორგანული სასუქია. საქართველოში ასეთი მანქანა-დანადგარი ფაქტობრივად არავის აქვს. ამიტომ ნასხლავის დაწვა ყველაზე პრიმიტიული და ადვილი გამოსავალია. ვისაც ვენახი დიდ ფართობზე არა აქვს გაშენებული და ნასხლავიც ბევრი არ რჩება, შეკონილი ლერწები შინ მიაქვს, აბინავებს და შემდეგ მთელი წლის განმავლობაში თონის გასახურებლად ან მწვადის შესაწვავად იყენებს. ცნობილია, რომ ვაზის ლერწზე შემწვარ მწვადს საუკეთესო გემო აქვს. ბოლო დროს თბილისის სუპერმარკეტებში დაფასოებული ლერწებიც კი გამოჩნდა ვაზის ლერწზე მწვადის შეწვის მოყვარულებისთვის. ნასხლავი ლერწების გაყიდვა საუკეთესო გამოსავალია ისეთ ვითარებაში, როცა არ ვიცით, რა მოვუხერხოთ ნარჩენებს. თუმცა, ეს ბაზარი არ არის ისე განვითარებული, რომ გლეხებმა ნასხლავის გაყიდვით დამატებითი შემოსავალიც მიიღონ და ცეცხლის დანთებით გარემოს საფრთხეც აღარ შეუქმნან.



შემოდგომაზე მოხნულ ვენახს გაზაფხულზე კულტივაცია სჭირდება. ვინც ვენახს ქიმიური სასუქით კვებავს, იგი იძულებულია, დახვნა-კულტივაცია ყოველ წელს ჩაატაროს. ორგანული სასუქის (ნაცარი, ნაკელი, კომპოსტი და ა. შ.) ოპტიმალური დოზით გამოყენება მევენახეობაში ბევრად უფრო ეკოლოგიური მიდგომაა. ასეთ შემთხვევაში, ვენახს ყოველ წელს დახვნაც არ დასჭირდება. სოლომონ ცაიშვილი, მაგალითად, ვენახს ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ ხნავს. აქ ისევ მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რისთვის გვჭირდება ვენახი. დიდი რაოდენობით ყურძნის მისაღებად, გლეხები ქიმიური სასუქის გამოყენებას და ყოველწლიურ ხვნას არჩევენ. ვენახს ყოველ გაზაფხულზე ასევე ხნავენ ის გლეხები, რომლებიც რიგებს შორის სხვა მცენარეებს თესავენ (პარკოსნებს და ა.შ.).

გასხვლისა და გასუფთავების შემდეგ იწყება ვენახების შეკეთება — დაზიანებული ბოძებისა თუ ჭიგოების შეცვლა, გამაგრება და გასწორება, აგრეთვე — მავთულების დაჭიმვა. ამის შემდეგ მევენახემ კვირტის გაშლამდე შეყელვა უნდა მოასწროს — სანაყოფედ დატოვებული რქები ბოძებზე გაჭიმულ მავთულზე მიაბას. როგორც წესი, რქები ყველაზე დაბლა, პირველ მავთულზე უნდა მიებას გადაწვენით, რათა ახალი ყლორტები შემდეგ ზედა მავთულებზე ავიდეს. შეყელვისას რქების მისაბმელად საუკეთესოა მცენარეული თოკები და სიმინდის ფუჩეჩი, რომელსაც წინა დღით წყალში ალბობენ, შემდეგ მსხვილად ძაფავენ და მისაბმელად იყენებენ. ბოლო ხანს შესაყელად ასევე გამოიყენება პლასტიკატის სამაგრები. მნიშვნელოვანია, რომ შეყელვა დაიწყოთ მას შემდეგ, რაც რქაში წვენის მოძრაობა დაიწყება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მავთულზე გადაწვენისას, ზამთრის ძილის მდგომარეობაში მყოფი რქები სიმყიფისაგან ადვილად გაგიტყდებათ და იზარალებთ.

შეყელვის შემდეგ მევენახე ორისამი კვირით ისვენებს. დაახლოებით აპრილის ბოლოსკენ „კვირტი გამოვა“, ანუ ვაზი გაიფოთლება. ამ დროს ზოგიერთი მევენახე ვაზს გოგირდს ასხურებს. თუმცა, ღვინის კლუბის გამოცდილი მევენახეების რჩევით, ამ ოპერაციას შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართოთ, როცა წვიმიანი გაზაფხულია და ვენახში დაავადების გაჩენის რისკია.

გაზაფხულის ბოლო აკორდია ვაზის ყვავილობა. მანამდე კი, პირველი წამლობაც უნდა მოასწროთ და ახალგამოსული ფოთლები დაამუშავოთ. ყვავილობისას „ვენახის შეწუხება“ სარისკოა — ყვავილი დაზიანდება და მოსავალი შემცირდება.

# როგორ ვებრძოლოთ ბოსტნეულის მავნებლებს



მავნებლების დიდი უმრავლესობა მიეკუთვნება ფეხსახსრიანთა ტიპის Arthropoda მწერებისა Insecta და ობობასნაირების Arachnida კლასებს. აქ იგულისხმებიან აგრეთვე მრგვალი ჭიების (ნემატოდები), მოლუსკების (მუცელფეხიანი მოლუსკები), ძუძუმწოვრების (თაგვისნაირი მღრღნელები) რიგი წარმომადგენლები. ზემოაღნიშნული მავნე ორგანიზმების სახეობათა დიდ უმრავლესობას, მასობრივად გამრავლებისა და ინტენსიური გავრცელების შემთხვევაში, კატასტროფული შედეგები მოაქვთ და განსაკუთრებული ალმკვეთი ღონისძიებების გატარების გარეშე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ამა თუ იმ მკვებავი მცენარის მოყვანის შესაძლებლობა.

### პომიდვრის ჟანგა ტკიპა

პამიდვრის ტკიპა მცენარეს უზიანებს მიწისზედა ყველა ნაწილს, რომლებიც დაზიანების შედეგად ბრინჯაოსფერს ღებულობენ და თავიანთ ცხოველმყოფელობას თანდათანობით კარგავენ, ნაყოფების კანი კი უხეშდება, კორპისებრი ქსოვილით იფარება, ხევდება და ბოლოს ჟანგისფერს ღებულობს. ამასთან, ნაყოფი ველარ ვითარდება, ზრდის დასრულებას ვერ აღწევს და საჭმელად გამოუსადეგარი ხდება.

ბრძოლის მეთოდები — მოსავლის აღების შემდეგ ნაკვეთი მცენარეთა ნარჩენებისაგან სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს და დაიწვას. პამიდვრის მცენარეზე უნდა შესხურდეს თამბაქოს მტვერი, საუკეთესო შედეგს იძლევა ქიმიური მეთოდების გამოყენება.

### კომბოსტოს თეთრულა

პეპელა გაშლილი ფრთების ჩათვლით სიგრძეში 60 მმ-ს აღწევს. დედალი მამალზე დიდია. პეპელას ულვაშები გრძელი და ქინძისთავისებრი აქვს, ხოლო ფრთები თეთრი. მის მიერ მიყენებული ზიანი ძალიან დიდია. ზრდა სრული მატლები რბილობს და მესამე და მეორე რიგის ძარღვებს ანადგურებენ, რის გამოც კომბოსტო ველარ იზრდება. დაუზიანებელი რჩება მარტო ღერო და ისიც ილუპება.

ბრძოლის ღონისძიებები — მარცვლეულის ხვატარის წინააღმდეგ საუკეთესო შედეგს იძლევა ბოსტნებში ჯვაროსანთა ოჯახის წარმომადგენელი სარეველა მცენარეების მოსპობა. ბოსტნიდან შემოდგომით სარებისა და ფიჩხების გამოტანა, რათა თეთრულას მოესპოს მათზე დაჭუპრების საშუალება.

### ბალჩის ბუგრი

ბალჩის ბუგრი კულტურულ და ველურ გოგროვანთა მცენარეების — ნესვის, კიტრის, გოგრისა და სხვათა ფოთლების ქვედა მხარეს სახლდება და ქსოვილებიდან წუწნის მცენარის წვენს, რის გამოც ფოთლის ძარღვები ზიანდება და იკრუნჩხება. ბუგრები, გარდა ფოთლებისა, ყლორტებს (ლართხს) და ყვავილების ყუნწსაც აზიანებენ და ნაყოფი (ნასკვი) ველარ ვითარდება.

ბრძოლის ღონისძიებები — აგროტექნიკური ღონისძიებებიდან გამოიყენება სარეველა მცენარეებთან ბრძოლა, თესლბრუნვა, ზომიერი რწყვა, ნათესის დამატებითი გამოკვება და სხვ.

### ხახვის ბუზი

ხახვის ბუზი მცირე ზომის მწერია. ეს ბუზი ხახვის ერთ-ერთი ძირითადი მავნებელია, რომელიც აყენებს განსაკუთრებით დიდ ზიანს სათესლე ხახვს. ხახვის ბუზი იკვებება დათესილი ხახვით, სათესლე ხახვით, ნიორით, პრასით, მრავალიარუსიანი ხახვით და სხვა მცენარეებით. ბუზი ნიადაგში (3-10 სმ სიღრმეზე) იზამთრებს. გაზაფხულზე ის საკმაოდ ადრე გამოფრინდება. გამოფრენილი ბუზები, დამატებითი კვების მიღების შემდეგ, კვერცხის დებას ხახვის ფოჩზე, მათ ილლიაში, დარგული ხახვის თავის ქერცლის ქვეშ და ნიადაგის ნაპრალებში იწყებენ.

ბრძოლის ღონისძიებები — ხახვის ბუზის წინააღმდეგ საუკეთესო შედეგს იძლევა ნიადაგის მოხვნა მზრალად. გაზაფხულზე მზრალი უნდა გადაიხნას და მოირწყას. ხახვის თესვა უნდა მოხდეს რაც შეიძლება ადრეულ ვადებში. მატლებით დაზიანებული ბოლქვები უნდა შეგროვდეს და დაიწვას.

### ნივრის ოთხფეხა ტკიპა

ნივრის ოთხფეხა ტკიპას მიერ ნივრის დაზიანება უფრო მეტად საწყობის პირობებშია შესამჩნევი. დაზიანებული ნივრის ბოლქვები ზამთრის მეორე ნახევარში ხმება და გაზაფხულისათვის უვარგისი ხდება. ტკიპა საწყობში ბოლქვებზე იზამთრებს. გაზაფხულზე ტკიპა ბოლქვების კბილებთან ერთად მინდორში ხვდება და თავის განვითარებას იქ განაგრძობენ, შემდეგ მცენარის ზრდასთან ერთად გადადის ფოჩებზე, რომლებიც ხშირად ყვითლდება და ილუპება კიდეც, შემდგომში მცენარე ილუპება.

ბრძოლის ღონისძიებები — ნივრის ოთხფეხა ტკიპას წინააღმდეგ აუცილებელია: დაუზიანებელი ბოლქვების შერჩევა და დარგვა, საწყობში ბოლქვების შენახვის ოპტიმალური პირობების დაცვა, საწყობის დეზაკარიზაცია გოგირდის შეხრჩოლებით, დასარგავი მასალის ფუმიგაცია გოგირდის გზით (1 მ2 ზე 50 გ გოგირდის დაწვით), რაც არ ამცირებს აღმოცენების უნარს, დარგვამდე ნაკვეთის გასუფთავება ნარჩენებისაგან.

### რწყილები

ბოსტნის შავი Ph. atra F, ტალღისებრი Ph. undulata Kutsch, ლურჯი Ph. nigripes F რწყილები გავრცელებულია ყველგან, ხოჭოები 2-4 მმ სიგრძის, შავი, ლურჯი ან მომწვანო ფერის არიან. სქესობრივად მოუმწიფებელი ხოჭოები იზამთრებენ მცენარეთა ნარჩენებში ან

ნიადაგის ზედა ფენაში, გზისპირებზე, ტყის ზოლებზე. გამოდიან აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში, იკვებებიან სარეველებით, საგაზაფხულო რაფსის გამოჩენისთანავე გადაფრინდებიან მასზე, კვერცხებს დებენ ნიადაგში გროვებად 3-25 ცალს თითოში. კვერცხი 3-12, მატლი კი 15-30 დღეში ვითარდება (ამინდის პირობებიდან გამომდინარე). ახალი გენერაციის ხოჭოები ჩნდებიან ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში. ზამთრობას იწყებენ სიცივეების დადგომისთანავე. გააჩნიათ ერთი გენერაცია და დიდ ზიანს აყენებენ ბოსტნეულ კულტურებს.

ბრძოლის ღონისძიებები — სარეველების განადგურება (განსაკუთრებით კომბოსტოს სარეველების); საგაზაფხულო რაფსის თესვა ადრეულ ოპტიმალურ ვადებში და დასაშვებ სიღრმეზე, რაც აძლიერებს მავნებლებისადმი მცენარის გამძლეობას, თესლის დამუშავება სისტემური ინსექტიციდებით, ან ინსექტიციდებით ნათესის შესხურება.

ირაკლი კვერნაძე

# პოეზიის სამყაროში

## იზოლდა იოსებიანი

**ადამიანთან ყველაზე ახლოს ორი რამე დგას: სიყვარული და სიკვდილი. თუ პირველს უარვყოფთ, მაშინ მეორე იოლად გვეპატრონება.**

**ვიცხოვროთ სიყვარულით! — ეს არის იმის გარანტი, რომ სიკვდილი გარდაცვალების შემდეგ ვერ შეძლებს ჩვენს დაპატრონებას, რადგან ამ ქვეყნად, სიყვარულად დავრჩებით ადამიანთა გულებში...**

**სიყვარული უკვდავებაა!**

### მე შენ მიყვარხარ, ადამიანო!

იცი?! ამ ქვეყნად, სიყვარულზე კარგი, ლამაზი,
არც რამ ყოფილა, არც რამ იქნება...
მჯერა, ოდესმე, სიძულვილი და ბოროტება,
ორივე ერთად, სიყვარულად გარდაიქმნება!
მერე მზის სხივი გაათბობს გულებს
და ტახტრევანზე დაბრძანდება თვით სიყვარული,
აღარ იქნება ბოროტება, შური და მტრობა,
იქნება მხოლოდ თანადგომა და სიხარული!
მე წამიერად გულს ჩავიდებ ხელისგულებში,
არ დაიზარო, შეხედვა არ დააგვიანო,
ზედ დაინახავ ჩემი სისხლით დაწერილ სიტყვებს:
„მე შენ მიყვარხარ, ადამიანო!"

### უცნაური სიყვარული

სიყრმიდან დაგეძებ, სად აღარ გეძებე,
დავჩხრიკე ყვავილთა ფერები, მორევი...
და თუმცა, სიბერემ ვერცხლისფრად დამთოვა,
კვლავაც ძველებურად გეძებ და მოგელი!

### იქნებ, ოდესმე ...

ბრიყვი ადვილად გაბედავს სათქმელს,
სხვის აზრს იოლად გათელავს ბრიყვი.
ჭკვიანო კაცო, ნუ გერიდება,
ბრიყვზე ადრე თქვი, თუ რამეს იტყვი!
სიტყვის თქმას თუკი დაგასწრებს ბრიყვი,
ტლუ ხარ, ჩლუნგი ხარ — ეს ეგონება...
ქვეყანას კი შენ სჭირდები, კარგო,
შენი ზნეობა, შენი გონება!

ქვეყნად სიკეთეს რომ ეზეიმა,
ყოველთვის იყო ჩემი ოცნება.
ერთმანეთს ებრძვის დასაბამიდან,
ბოროტება და პატიოსნება!..
დაფასდებოდეს, იქნებ, ოდესმე:
ცოდნა, სიკეთე, გული ალალი,
მაგრამ ვაი, რომ ასეთი კაცის
დამფასებელი არვინ არ არის!

### ოპტიმიზმი

გაფერმკრთალდა ყველაფერი,
მე კი მაინც ვმღერი...
თითოკაცად — ჩემი ერი,
მიზნად — არაფერი!
რა მამღერებს, რომ მამღერებს,
ვისთვის, რისთვის ვმღერი?!
თვალში — სევდა, გულში — დარდი,
სულში — არაფერი!
ცისარტყელაც გაფერმკრთალდა,
არ აქვს შვიდი ფერი!
მე კი მაინც დავმდგარვარ და
მომავალზე ვმღერი.

### მართლის ხვედრი

ძნელია, როცა მართალი ხარ და
სიმართლისათვის ხშირად გყვედრიან.
სიმართლის თქმისთვის ლანძღვა-გინება,
დასაბამიდან მართალთ ხვედრია!
ძნელია, როცა გიყვარს მოყვასი,
პირში სიმართლეს ამბობ — გყვედრიან.
ვერ გაგება და ვერ შეფასება,
ალბათ, ოდითგან, მართალთ ხვედრია!
ძნელია, როცა გიყვარს სამყარო
და უგულობას ბრიყვნი გყვედრიან...
სამწუხაროა, მაგრამ გულწრფელის
დამფასებელი არ შემხვედრია!
თუ უტიფრებმა შენი სიმართლე
ვერ შეაფასეს, როგორც წესია,
დაუფიქრებლად, იმავე წუთში,
ტყვიას პირდაპირ გულში გესვრიან!
არ შეიცვალო ზნე და სიმართლე,
დაე, დაგზრახონ, როგორც გყვედრიან...
სიმართლისათვის ბრძოლა, ძვირფასო,
მართალი კაცის მძიმე ხვედრია!

### მომიტევე

მე ბევრჯერ მითქვამს სააუგო
შენიც და სხვისიც...
სხვას რაც კი უთქვამს,
გამიგია
პირდაპირ ისიც...
ვისთვისაც ქვების
სროლა სურდათ — გადავეფარე!
ბოროტს — ვესროლე,
კეთილს — ვეფარე!
ტყუილ — მართალი ამრევია,
ხანდახან, ვიცი...
დამირღვევია მიცემული
ვინმესთვის ფიცი...
ხანდახან გულიც მიტკენია
მავან—მავნისთვის,
ფეხი დამიდგამს, დაუდგმელი,
ხშირად, რამისთვის...
წმინდა ცხოვრება, სულ სხვა არის,
მე რას გავუგებ?!
ერთი რამ ვიცი:
მართალ კაცს რომ
მახეს არ ვუგებ!
ცინიკოსისთვის — ლახვრისმსმელი
მისვრია მზერა,
უგუნურისთვის — ჩემი სიტყვა —
ტყვიაა, მჯერა!
მიუსაფრისთვის ვარ ქომაგი,
დიდი შემცოდე...
მაგრამ, უფალო, მომიტევე
კაცი ვარ რადგან,
არსებობისთვის
ხშირად შეგცოდე.

## მუხრან მაჭავარიანი

### დედა

როს „არას" ნაცვლად — ამბობდი „ალას",
როცა შენს ხმაში აპრილი ჟღერდა;
ხსოვნაში ტკბილად ჩარჩენილ „ნანას" —
ვინ გიმღეროდა?!
— მშობელი დედა.
ეზოში როცა იტკენდი რამეს, —
ვინ გაჩნდებოდა იმ წუთში შენთან?!
შენი გულისთვის უძილო ღამეს
ვინ ათენებდა?!
— მშობელი დედა.
ახლა, — ხელში რომ გიჭირავს წიგნი, —
შენს სიცოცხლეში იმედს ვინ ჰხედავს?!
შენს მომავალზე დღედაღამ ფიქრით
ვინ ვერ ისვენებს?!
— მშობელი დედა.
ამ ქვეყანაზე შენი სიკარგე
ვის უხარია ყველაზე მეტად?!
ყველაზე უფრო, — თუკი ივარგებ, —
ვინ იამაყებს?!
— მშობელი დედა

## მანანა შატავიძე

* * *

უნიჭო თავზე გვაჯდება,
ყალბი სიტყვით და ტაშით,
მლიქვნელთა ჯარი გამრავლდა
დააქვთ დიდება საცრით;
შურიანს არ ეშველება
გულს ვერ შეუცვლის ვერვინ
კეთილს შეიცნობს მაშინვე
ვისაც ცხოვრება ესმის,
კარგი დარჩება ხახალზე
უნიჭოს ნიჭი გასცრის.

* * *

თავისუფალი ვარ,
როგორც კვიცი;
დეე, გამროზგონ,
მიგინონ ჯიში;
მაინც გავბედავ
რემაში რბოლას,
მაინც გავთელავ
მწვანე მოლს ხევში;
თვისუფალი ვარ
როგორც კვიცი
არ ვიდგამ უღელს,
ვაკვირდები მტერს,
ვიწვევ და ვუფრთხი.
ის დროც დადგება,
რომ თქვენი კვიცი,
ლაგამს გაწყვეტს და
აღიდგენს სინდისს.

### კაცს

კაცურად უნდა იცხოვრო
რომ არ დაგჭირდეს ფიცი,
კაცის რეცეპტი კაცშია,
ნაღდ კაცს შეიცნობ ასში.
ფლიდების დრო სულ იქნება,
მათ ხომ ვერ ჩავთვლით კაცში,
ნამდვილ კაცს ქებაც არ უყვარს,
თავს არ შეირცხვენს ხალხში.
ნამდვილ კაცს ქალიც ამშვენებს,
ქალიც ცოტაა ჩვენში,
კაცს არასოდეს ეშლება,
ვის ემთხვიოს და როდის.
არ დააბრალებს სიმთვრალეს,
თავს არ დაიცავს სიტყვით,
კაცი დარჩება კაცადვე,
კაცის სახელით ივლის.

## ელისო ბუშელაშვილი

* * *

მე უშენობის არ მტოვებს განცდა
დღემდე სასწაულს ცისკენ მოველი.
ერთხელ რომ მოხდა, გიხილეს თვალთა,
გულმა შეიგრძნო ზღვა სასწაული.
ო... დამიჯერე, ზღვა ვერ დაიტევს,
მიწა მით უფრო — ცოდვის ბუდეა,
ის სულ სხვა იყო, ის სულ სხვა არის
და სხვად დარჩება — ის მიხარია.
მიწავ, სიცოცხლის არ ხარ მშობელი,
ნიადაგი ხარ ხორცის საზრდელად.
ერთადერთია სიცოცხლის წყარო
მარადიული ერთადერთია.
ეს ჩემი სისხლი, ეს ჩემი ხორცი,
ეს პირობითად ჩემი სხეული
ერთადერთისთვის მინდა ფეთქავდეს
ვიცოცხლო მინდა ერთადერთისთვის.
ჩემი, შენი და მათი ღმ-თვის!

* * *

რუხია დილა
ეს დრო-ჟამი რაღაც არ მხიბლავს.
ხმაურობს წვიმა,
ვაღებ სარკმელს
ტყვე ვარ ამინდის.
ქვეყნისას ვფიქრობ,
ვითვლი წამებს...
ათასწლეულებს,
და მერამდენედ
ბედს ვემდური ამაოების!
ხელში ვიქუჩებ წვეთ—წვეთობით
ცრემლსა და წვიმას.
ისევ ხსოვნაში
მოგონებებს გავედევნები.
მათ, ვინც მიყვარდა,
შორს წავიდნენ,
და ისევ მიყვარს.
არ ვიცი რატომ,
დღემდე კიდევ მოველოდები.
მეახლოვება
ამ უსაზღვრო სამყაროს კიდე
მეუცხოვება —
„ჩემიანის" ყალბი ღიმილი,
და მენატრება დღე ნათელი
ლაჟვარდი სივრცე.
„სუფთა თვალებში" არეკლილი
ცა, ვარსკვლავები.

* * *

მჯერა, მწამს, ვიცი
უგუნურებას ბოლო აქვს ერთი.
... იქნებ არც მესმის
წუთისოფლის მიეთ-მოეთი.

### ქართველთა ვალი

ო, რა დიდია ვალი ამ ჩვენი
ქართველებისა,
ჩვენთა ამ ახალ ძმების წინაშე,
ჩვენთა ამ ახალ ძვრების წინაშე,
დიად მომავლის წლების წინაშე
ისტორიული ძვრების წინაშე.
ო, რა დიდია ვალი ამ ჩვენი
ქართველებისა,
წინაშე დილის გათენებისა,
ამ რთვლებისა და ამ თვეებისა,
დამსხვრეულ გულის გამრთელებისა.
ო, რა დიდია ვალი ამ ჩვენი — ქართველებისა!

## ლია გიგიტაშვილი

### ჩემს უსინათლო დედას!

დარდით დავხუჭავ თვალებს,
სიბნელეს შევებმები...
კითხვა მაწამებს მწარე —
როგორ ცხოვრობენ ბრმები?
აღარაფერი მზეობს
ამდენ უკუნეთ ბნელში...
ვაბორიალებ სხეულს,
უმწეოსა და შეშლილს...
თვალხილულისთვის უცნობს —
ეულთა განცდას ვბედავ,
უფრო რომ თანავუგრძნო
ჩემს უსინათლო დედას...
მივეთბილები, ვუხმობ,
თავს ჩამოვადებ მხარზე,
ცრემლდამალული ვუთხრობ
ამბებს, მხიარულ ხმაზე:
გარეთ მნათობი ჰყვავის;
იფეთქა ყვავილნარმა;
აიკაპიწა ტანი
მისმა დარგულმა ბალმა;
რომ ყბაწითელა ტყემალს,
უკვე, ნაყოფი სცვივა;
რომ ...კარგადა ვართ ყველა...
სულ არაფერი გვტკივა...
უტყვი დარდების მდევარს —
ნუგეში უნდა დედას...
მისი თვალები მე ვარ,
ჩემით — ყველაფერს ხედავს!
ჩემი კერა რომ მიხმობს,
ვემშვიდობები როცა,
გზას კოცონივით მითბობს
მისი მხურვალე ლოცვა!
დედის საყვარელ ხმაზე
ღელვა ნელდება ურჩი,
და მიმსუბუქებს გზაზე
ბოღმის მდუღარე ხურჯინს!
...არ მოჰყოლია სოფლის
აუგს, წუწუნს და გმობას...
მისი სიბრმავე სჯობნის
ბევრის სულიერ ბრმობას!

### მეეტლე — დრო

მარადიული ცვალებადობით
სამყარო იბრძვის საკუთარ თავთან,
უცვლელად სახლობს ცბიერი კატა
მზერაში თვალთა, ვერაგთა, ავთა. . .
ასედაც ხდება: ნდობას და რწმენას
დაეფარება შავი ვერსია
და ბოროტ ნებას ველარ ერევა
კეთილი ნება... ვერც ეკლესია...
და ის, რაც ხდება, ხდებოდა მუდამ,
წარსულის მუნჯი ესემესია...
ერთ მდინარეში ერთხელ გასული
მეეტლე მიდის უახლეს ხიდზე,
დაეძებს უფალს, ლოცულობს, უყვარს,
თვალი კი რჩება აკრძალულ ხილზე...
ასედაც ხდება; ხელგაშლილობას
აუფერულებს ბნელი ვერსია
და გულს გაბზარულს ველარ ამშვიდებს
თბილი ნუგეში, ვერც ეკლესია...
მიტევება რომ გვცოდნოდა კაცთა—
მისთვის ეწამა ჯვარზე მესია!
მეეტლე მიჰქრის უსწრაფეს ქროლვით,
სრბოლა ხომ დროის განაჩენია!
და ის, რაც მოჩანს ნათელი შორით,
კეთილი ნების გადამრჩენია!

### დედის ლოცვა

მასთან დრო და სივრცე რაა —
დედის ლოცვა იმხელაა,
დედის ლოცვა ისეთია —
უჩინარი მტრის მკვეთია!
ალიონზე მეტანია —
ბნელში სხივის შემტანია,
ლოცულობენ დედანია...
ღმერთო, ყველა შენგანია!
ლოცვა ზეცის გახსნის კარებს,
ჩინია და მედალია!
ღმერთო,დედა დაიფარე,
ვინც ლოცვაში დღე გალია!
თხოვნა ცამდე აუყვანე,
რწმენა უფრო გაუმყარე...
გევედრები, ზეციერო,
დედას შვილი გაუხარე!

## მევლუდ იობაშვილი

### ლექსი უნდა ხმალსა ჰგავდეს

მე ისეთ ლექსს რა უთხარი,
მამულზე თუ არა სტირის,
შევარცხვინე ის კალამი,
სიმართლეზე თუ არ ჰყვირის.
მამულის ქურდს თუ არ ამხელს,
თუ არ იცავს ქართულ ენას,
თუ არ ნერგავს, არ ამაგრებს,
ქრისტიანულ წმინდა რწმენას.
თუ არ აქებს საქებელს და,
არა ლანძღავს, არსაქებსა,
ის ლექსი და დამწერელი,
ქართველთ აბა რას არგებსა.
ლექსის წერა ღრუბლებზე და,
ყვავილებზე ალუბლისას,
სამშობლოს ხომ არას არგებს,
ნაყვასა ჰგავს, მღვრიე წყლისას.
ლექსი უნდა ხმალსა ჰგავდეს,
გამოჭედილს ფოლადისას,
ახარებდეს მამულისშვილს
გულს აპობდეს ვერაგ მტრისას.
მე თუ არა, სხვამ ვინ იცის,
სიყვარულს რომ ლექსი უნდა,
ულექსობით სიყვარული
ძალიან ბევრს გაუხუნდა.
სატრფოს ლექსი ვერ მიუძღვნა,
თუმც კალამი ტანჯა ძალზე,
სიყვარულისთვის კალამი
მჭრელი უნდა იყოს ხმალზე.
ლექსი თაიგულსაცა სჯობს,
არასოდეს არ დაჭკნება
და არც თოვლის ფიფქებივით
მზის სხივებზე არ დადნება.
მაგრამ კალამს მაინც ვაქებ,
მამულს თუ ემსახურება,
ილიას გზას თუ მიჰყვება,
მის სიბრძნეს თუ ეფერება.
მამულს, ენას და საწრმუნოებას,
ილიასებრ თუ დაიცავს,
მამულის არ ღალატობას,
დამწერი რომ ღმერთს შეჰფიცავს .

### მეფუტკრეს

მეფუტკრე თუ ცაცხვის ხისგან
ფუტკრისათვის სკას ამზადებს
ის იმ ურწან ქალს მაგონებს,
რომელიც რომ შვილს ვერ ჰბადებს.
რომ შეიძენს ჯერ აკვანს და
მერე იმის მორთულობას,
მაგრამ ბავშვს თუ ვერა ჰშობავს,
რა უთხარი ისეთ რძლობას.
უყურებდეს არტახებს და,
ასწორებდეს ლეიბ-საბანს,
აბა ის რა ქალი არის,
ბავშვს ყოველდღე ტანს თუ არ ჰბანს.
კარგი ქალი აკვანს მაინც,
ღვთის ნაბოძებით შეავსებს,
იავნანას არ დააკლებს,
ზოგს წყნარებს და ზოგსაც ნავსებს.
ორჯერ დიდი დედა არის,
ვინაცა ზრდის, სხვისა შვილსა,
მაგალითად მოვიყვანდი
პოლიტიკოს სარიშვილსა.
ცარიელი აკვანი ხომ
შეშადაც კი არ ივარგებს,
მეფუტკრეს სკა, თან უთაფლო,
მე მგონია არას არგებს.
ცაცხვი თაფლის დედა არის,
მასთან ბევრი, სხვა ხე ტყუის,
ის როგორც ყველა ბუზი,
ფუტკარივით ვერა ბზუის.
შენ, მეფუტკრევ, მომისმინე,
ცაცხვს ნუ მოსჭრი, ბევრი დარგე,
ფუტკარს მიეც სამუშაო,
შენც ირგე და მასაც არგე.
ფუტკრის მოტანილი თაფლი,
სიკეთეში მოიხმარე,
ტკბილად გყავდეს ოჯახი და
ლატაკებსაც დაეხმარე.
ნამდვილ სანთელს ჩამოქნიდე,
ღვთის სახელზე დაანთებდე,
ილიას გზას გაჰყვებოდე
და მის ანდერძს აკეთებდე.

# შეცდომა პირჯვრის წერისას და რამდენი სანთელი უნდა დაანთოთ

პირჯვრის გადასახვა და სანთლის ანთება ნებისმიერი მართლმადიდებლის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. თუმცა ხშირად ადამიანები პირჯვარს შეცდომით ისახავენ — ხელი მხრებთან კი არ მიაქვთ, არამედ სადაც მოხვდება, იქ იდებენ. სანთლის ანთების დროს ზოგს ჰგონია, რომ წყვილი უნდა დაანთოს, ზოგს კენტი რაოდენობა ჰგონია სწორი. შეიძლება ეს ყველაფერი წვრილმანად და უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოთ, თუმცა ამ ყველაფერს თავისი წესი აქვს, რომელსაც სწორად შესრულება უნდა.

გვესაუბრება წმინდა ამბროსი აღმსარებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, ღვთისმეტყველების მაგისტრი, წმინდა ამბროსი აღმსარებლის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, მღვდელ-მონაზონი **ანდრია (სარია)**:



— ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს მარჯვენა ხელის სამი თითით მართებს პირჯვრის გამოსახვა. ვაერთებთ ცერა, საჩვენებელსა და შუა თითს ნიშნად იმისა, რომ გვწამს წმინდა სამება: მამა, ძე და სულიწმიდა; ორ დანარჩენს კი — ნეკასა და არათითს ხელის შუა გულზე ვიდებთ, ქრისტეს ორ ბუნებოვნების — ღვთაებრივის და კაცობრივის, — სიმბოლოდ. მოხრილი თითები მიგვანიშნებს ღვთაებრიობაზე მაცხოვრისა, რომელმან მოსდრიკა ზეცა და განკაცდა დედამიწაზე. აღმართული თითები კი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მაცხოვრის ამაღლებაზე მიანიშნებს.როგორც პირჯვრის საწერი თითების წყობა, ასევე მათი მოძრაობის მიმართულება, ზემოდან ქვემოთ, შემდეგ კი მარჯვნიდან მარცხნივ.

— **შეცდომით გადასახული პირჯვარი არ ითვლება პირჯვრის წერაში?**

— წმინდა მამათა განმარტებებით, პირჯვრისწერა აღნიშნავს ჯვარცმული ქრისტეს და წმიდა სამების აღიარებას. გონება, გული და სხეულებრივი გრძნობა იწმინდება პირჯვრის გამოსახვით, ადამიანი შინაგანი რწმენით გამოქარგავს გარეგანს.

ეკლესიის მამებმა ჩამოაყალიბეს მართებული სახე, თუ როგორ უნდა ვიწერდეთ პირჯვარს, ღმერთს რა სახით მივმართოთ და ა.შ. ქრისტიანი ამ ყოველივეს სწავლობს. არასწორად აღსრულება უცოდინრობით უნებლიე შეცდომაა და გამოსწორდება, მაგრამ შეგნებული ცდომილება სხვა რელიგიასთან ან კონფესიასთან „დაგვაახლოვებს“. უფალი გულს ხედავს და იწირავს, თუმცა გარეგნული ფორმა აუცილებელია. დამახინჯებული ქმედება არასდროს არ მიეთევლება ადამიანს შესრულებაში.

— **რას გამოვხატავთ პირჯვრისწერით, ჯვრის გარდასახვით?**

— გამოვხატავთ უფლისადმი რწმენასა და იმედს. თავისთავად ხელის წყობა ვერაფერს იზამს, თუ მას გულმხურვალე რწმენა არ ახლავს. გულმოდგინებით გამოვწეროთ იგი სახლზე, კედლებზე, სარკმელზე, შუბლზე და გონებაზე, რადგანაც ის არის ნიშანი ჩვენი ზოგადი ხსნისა და განთავისუფლებისა, აგრეთვე უფლისმიერი გულკეთილობისა... ასე რომ, რაჟამს პირჯვარს იწერ, გაიაზრე ჯვრის არსი, დაშრიტე შენში სიფიცხე და ყველა სხვა ვნება. რაჟამს პირჯვარს იწერ, ფრიადი მხნეობით აღივსე შუბლი და გაათავისუფლე სული. თუკი ამგვარად გარდაისახავ მას შენს პირისახეზე, ვერავითარი უწმინდური ეშმაკი ვერ შეძლებს შენს ახლოს დგომას, რადგანაც იხილავს იგი (ეშმაკი) მახვილს, რომელიც განგმირავს მას, იხილავს ხანჯალს, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრის“. უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი ნაბიჯი დავბეჭდოთ ჯვრით. რწმენის არ უნდა შეგვრცხვეს, სირცხვილი ეშმაკისადმი მსახურება იქნება. ადამიანს საკუთარი თავის დაცვა ნებისმიერ ფასად ევალება: „ნებისმიერ ფასში“ — იგულისხმება სიწმინდით აღჭურვა ჩვენი საჭურველი კი ჯვარია.

— **ეკლესიაში შესვლისას ზოგმა არ იცის, რამდენი სანთელი უნდა დაანთოს. ზოგი ერთ სანთელს ანთებს, ზოგს ჰგონია, რაც მეტს დაანთებს, მით უკეთესი. ზოგს ჰგონია აუცილებლად კენტი უნდა იყიდოს, ზოგს — ლუწი. სინამდვილეში რამდენი სანთელი უნდა დაანთო ეკლესიაში?**

— შინაგანად რისი სურვილიც გვაქვს, ის უნდა შევთხოვოთ უფალს და ამისთვის შესაძლოა 1 ცალი სანთელიც გვეყოს, რაოდენობა არ განსაზღვრავს სულიერ ხარისხს. სანთელი ერთგვარი ძღვენია უფლისადმი შეწირული, ამით გამოვხატავთ ჩვენი ლოცვისადმი მხურვალებას და გულანთებულობას.

— **მიცვალებულისთვისაც იმ ხატთან ვანთებთ სანთელს, სადაც ცოცხლისთვის?**

— ნებისმიერ ხატთან შეგვიძლია დავანთოთ, მაგრამ ჯვარცმასთან ვანთებთ, ვინაიდან ჯვარცმულმა, გვემულმა და მკვდრეთით აღდგომილმა უფალმა ჩვენი მიცვალებულიც საუკუნო ნეტარებისთვის აღადგინოს.

**თეა ცაგურიშვილი**
mshoblebi.ge

# რძე — უნივერსალური პროდუქტი



რძე არა მხოლოდ სასარგებლო საკვები, შეიძლება ითქვას წამალიცაა, რადგან იგი არაფრით ჩამოუვარდება პრეპარატებს და კოსმეტიკურ საშუალებებსაც შეიძლება გაუწიოს სერიოზული კონკურენცია.გარდა პირდაპირი დანიშნულებისა ვნახოთ, როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს საოცარი სითხე : თუკი კოსმეტიკამ, ლინზებმა, ინფექციამ ან მტვერმა შეგაწუხათ და თვალები გაგიღიზიანათ შეგიძლიათ რძით ამოიბანოთ.რძეს ანთების საწინააღმდეგო და მადეზინფიცირებელი თვისებები აქვს.

თუკი კომპიუტერთან მუშაობისას თვალები დაგეღალათ, ბამბის ორი ფთილა გრილი რძით დაასველეთ და მცირე ხნით დაიდეთ. რძიანი საფენი აცხრობს შეშუპებულ ქუთუთოებსა და თვალების ქვემოთ ჩამოკიდებულ ტომრებს.თაკარა სიცხეში რძე იმავე რაოდენობის წყლით გააზავეთ და დალიეთ, წყურვილი იშვიათად შეგაწუხებთ.

თუკი ძილის წინ შიმშილმა კუჭი აგიწრიალათ, დალიეთ ჭიქა რძე.იგი შეაფერხებს კუჭის წვენის გამოყოფას და არც ზედმეტი კილოგრამებით დაგამძიმებთ.

თუკი სლოკინმა შეგაწუხათ, ნელა-ნელა, ყლუპობით დალიეთ ერთი ჭიქა ცივი რძე.

თუკი მარწყვის ან ჟოლოს გამო ალერგია გაგივითარდათ. დაუყოვნებლივ დალიეთ ერთი ჭიქა ცივი რძე. ეს პროდუქტი თმის ბალზამის მაგივრობასაც გაგიწევთ. დაბანილ თავზე რძე გადაივლეთ, 15 წუთი გაიჩერეთ და თბილი წყლით ჩამოიბანეთ. რძე თმას აბრეშუმისებრ ბრწყინვალებას შემატებს.

რძეს დიდი წარმატებით იყენებენ კოსმეტიკაში. ნივთიერებები რომლებსაც იგი შეიცავს, სწრაფად აღადგენს სახის კანის დაზიანებულ ქსოვილს, ხავერდოვნებასა და სინორჩეს სძენს მას.თეთრი პური მომცრო ნაჭრებათ დაჭერით და ქაღალდის პაკეტით მაცივარში შეინახეთ. ყოველდღიურად აიღეთ ორი ნაჭერი, დაასველეთ თბილ რძეში და 20 წუთით დაიდეთ თვალებზე.ეს საუკეთესო გზაა თვალების ირგვლივ გაჩენილი ნაოჭების გასასწორებლად.კარგი იქნება ამგვარ საფენებს ერთი თვის განმავლობაში პროფილაქტიკის მიზნითაც თუ გამოიყენებთ.

მომცრო ჭიქაში ჩაყარეთ ორი სუფრის კოვზი ფქვილი და იმდენი თბილი რძე დაასხით, რომ არაჟნისმაგვარი მასა მიიღოთ.წაისვით იგი სახეზე , გაიჩერეთ სანამ გაშრობას დაიწყებს და ჩამოიბანეთ. ეს ნიღაბი შესანიშნავად კვებავს და ჭიმავს კანს, აქრობს წვრილ ნაოჭებს.ორი კვირის მანძილზე ყოველდღიურად ჩამოიბანეთ სახე რძით, 15 წუთის შემდეგ კი წყლით.ზუსტად ორ კვირაში საუცხოო ეფექტს მიიღებთ: კანი ახალშობილივით ხავერდოვანი გაგიხდებათ.მშრალი კანი დროდადრო წყალგარეული თბილი რძით დაიბანეთ.

janmrtelobainfo.ge

# ჩაი და ყავა — რას უნდა მივაქციოთ ყურადღება მათი შეძენისას



ჩვენს მენიუში მყარად დაიფუძნა ადგილი სასურსათო პროდუქტებმა, რომელიც არ წარმოადგენს „საკვებს“, ანუ არ აქვს კვებითი ღირებულება, მაგრამ სამაგიეროდ მასტიმულირებლად მოქმედებს ადამიანის ნერვულ სისტემაზე. ესენია: ჩაი, ყავა და სხვა მსგავსი მოქმედების სასმელები, რომელსაც „გამოსაფხიზებლად“, „ენერგიის მომატებისთვის“ ვსვამთ.

სინამდვილეში უშაქრო ჩაის და ყავას არ გააჩნია ენერგეტიკული ღირებულება (კალორიები), მაგრამ ისინი ამცირებს დაღლილობის შეგრძნებას, აძლიერებს გონებრივ აქტივობას და გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამძლეობას. ყოველივე ამის მიზეზია ამ სასმელებში შემავალი ალკალოიდი კოფეინი. სწორედ კოფეინი გვეხმარება გამოვფხიზლდეთ, ვიყოთ უფრო პროდუქტიული, თუმცა მისი მოქმედების გასვლის შემდეგ ადამიანს დაღლილობა ეუფლება.

ალბათ ბუნებრივად დაგებადათ შეკითხვა: რომელი უკეთესად აფხიზლებს — ჩაი თუ ყავა? კოფეინის შემცველობა ყავის ნაყოფსა და ჩაის ფოთოლში (მშრალ წონაზე გადაანგარიშებით) დაახლოებით ერთნაირია — ზოგ ჩაის ფოთოლში კოფეინი მეტიც კია, ვიდრე ყავაში. თუმცა ამ კოფეინის შემცველობა ჩვენს მიერ დასალევ სასმელში მისი მომზადების მეთოდზეა დამოკიდებული.

ჩაის მომზადების მეთოდები უფრო „რბილია“, ყავა კი მომზადებამდე საკმაოდ ძლიერ ზემოქმედებას განიცდის — მოხალვა, მაღალი ტემპერატურის და ზოგჯერ მაღალი წნევის წყლის ზემოქმედება. შედეგად ყავის ჭიქაში კოფეინის შემცველობა საშუალოდ 2-ჯერ მაღალია, ვიდრე ჩაის ჭიქაში.

თავად ყავებშიც არის განსხვავება — როგორც წესი, კოფეინის შემცველობა უფრო მაღალია აპარატის ყავასა და ესპრესო-ყავაში და უფრო ნაკლებია ე.წ. „თურქულ ყავასა“ ან ხსნადი ფხვნილისა თუ გრანულებისგან მომზადებული ყავაში. თუმცა ეს გასაშუალოებული მონაცემებია — ბევრია დამოკიდებული ყავის სორტზე, დამუშავებაზე და სასმელის მომზადებაზე.

გარდა კოფეინის შემცველობისა, ჩაისა და ყავას შორის განსხვავება ამ კოფეინის ზემოქმედების სისწრაფეშია. ყავის კოფეინი მომენტალური ზემოქმედებით ხასიათდება, თუმცა ის ასევე სწრაფად გამოიდევნება ორგანიზმიდან (ყავა შარდმდენია. მისი მიღებიდან 3-5 საათში კოფეინი შარდთან ერთად გამოდის ორგანიზმიდან). ჩაიში შემავალი კოფეინის მოქმედება კი უფრო ნელი და ხანგრძლივია, რაც ჩაიში შემავალი ტანინებით არის განპირობებული. ამიტომ ყავა სწრაფად და შედარებით მოკლე პერიოდით გაფხიზლებთ. ჩაი კი უფრო რბილ, თუმცა უფრო ხანგრძლივ და სტაბილურ ეფექტს იძლევა.

და კიდევ ერთი: კოფეინი არ არის უვნებელი ნივთიერება! 10 გ კოფეინი ადამიანისთვის სასიკვდილო დოზაა. ამიტომ მის შემცველ ყველა სასმელთან მიმართებით უნდა დაიცვათ ზომიერება. ადამიანისთვის უვნებელ დოზად 150 მგ კოფეინი მიიჩნევა. ერთი ჭიქა ჩაი დაახლოებით 50 მგ კოფეინს შეიცავს, ერთი ჭიქა ყავა კი ორჯერ მეტს.

საბედნიეროდ, კოფეინი ორგანიზმიდან მალე გამოიდევნება, ამიტომ დასაშვებია დღეში 3-4 ჭიქამდე ყავის და 6 ჭიქამდე ჩაის დალევა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს რაოდენობა ერთდროულად არ უნდა დავლიოთ! (სასურველია ჭიქებს შორის 3-4 საათის ინტერვალი მაინც დავიცვათ).

ზომიერად უნდა ვიყოთ კოფეინის შემცველ ცივ სასმელებთან მიმართებაშიც, როგორიცაა ცივი ჩაი, ცივი ყავა, კოკა-კოლა, რედ-ბული და სხვა. განსაკუთრებით არასასურველია კოფეინის შემცველი სასმელების მიღება ალკოჰოლთან ერთად, ან დიდი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ.

## ყავის არჩევა

ყავა მზადდება მარადმწვანე ჩოფფეა-ს გვარის ხის მარცვლებისაგან. ეს გვარი 40-მდე სახეობას მოიცავს, მაგრამ სამრეწველო მნიშვნელობა ძირითადად ორი სახეობის ყავის ხეს — არაბიკასა და რობუსტას გააჩნია. რობუსტის მარცვლები ხასიათდება კოფეინის მაღალი შემცველობით, მაგრამ უხეში გემოთი. არაბიკა უფრო არომატული და გემრიელია, მაგრამ მასში ნაკლებია კოფეინი. მიუხედავად ამისა, არაბიკას მარცვლები დაახლოებით ათჯერ უფრო ძვირია რობუსტისაზე.

სხვადასხვა ქვეყანაში მოყვანილი არაბიკისა და რობუსტის მარცვლების განსხვავებული თანაფარდობის ნარევებით იქმნება ყავის სორტები. სორტების სიმრავლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ არაბიკა ნიადაგის, წყლის, კლიმატის და სხვა ფაქტორების გავლენით იძენს განსხვავებულ საგემოვნო და არომატულ თვისებებს.

ყავის სორტის სახელწოდება ძირითადად ეთანადება იმ ქვეყანას, ქალაქს, მთისა ან დაბლობის სახელწოდებას, სადაც იგი იყო მოყვანილი. მაღალი ხარისხის ყავა შედგება არაბიკისა და რობუსტის მინიმუმ 5-7 სახეობის კუპაჟისაგან (ნარევისაგან). თუკი უფრო „ძლიერი“ ყავა გინდათ, უნდა შეიძინოთ ის, სადაც რობუსტი მეტია, ხოლო თუკი უფრო გემრიელი გსურთ — მაშინ ის, სადაც არაბიკაა მეტი. ყავის სორტი „ექსპრესო“ რობუსტისა და არაბიკას თანაბარი (50/50) ნარევია.

დღევანდელ მომხმარებელთა უმრავლესობა უპირატესობას ხსნად ყავას (Instant coffee) ანიჭებს, რომელიც ძირითადად რობუსტისგან მზადდება. გემოს განსხვავება კი ტექნოლოგიასა და გამოყენებული ყავის წარმომავლობაზეა დამოკიდებული

ტექნოლოგიის მიხედვით იწარმოება სამი სახის ხსნადი ყავა:

ფხვნილისებური (sprei). ამ სახის ყავა მიიღება ყავის ექსტრაქტის (გამონაწვილის) გაფრქვევით გაშრობით. ხსნადი ყავის სეგმენტში ეს ყველაზე იაფფასიანი პროდუქტია;

გრანულირებული (აგლომერატი), ყავის ეს სახეობა მიიღება ფხვნილის დასველებით და შემდგომ მისი გრანულირებით. ეს პროდუქტი შედარებით მუქი ფერის „ხორკლიან“ გრანულებს წარმოადგენს;

სუბლიმირებული (Freeze-dried coffee) ყავა შედარებით ღია ფერის, გლუვი გრანულებია. ეს პროდუქტი ხსნად ყავებში ყველაზე ძვირია და განსაკუთრებით მაღალი ხარისხით ხასიათდება. მის მისაღებად ყავის ექსტრაქტი იყინება და შემდეგ შრება თხევადი ფაზის გავლის გარეშე. ამ ტიპის შრობით მიიღება ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით ნატურალურთან მაქსიმალურად მიახლოებული სასმელი.

ხსნადი ყავა იოლი მოსამზადებელია, მაგრამ მისი წარმოების დროს ყავის არომატი ნაწილობრივ იკარგება, ამიტომ გურმანები როგორც წესი ე.წ. „თურქულ ყავას“ ან აპარატის ყავას ამჯობინებენ. მათ მოსამზადებლად კი ან მარცვლოვანი ან დაფქვილი ყავა უნდა შეიძინოთ.

მარცვლოვანი ყავის შეძენისას უნდა შეეცადოთ შედარებით ღია ფერის, ნაკლებად მოხალული პროდუქტი აირჩიოთ. რატომ? საქმე იმაშია, რომ დაძველებული ყავის მარცვლები არომატს კარგავს. მის აღსადგენად მარცვლებს რეცხავენ და ხელახლა ხალავენ.

ასე, რომ რაც უფრო ბევრჯერ მოხალულია (მუქი ფერისაა) გასაყიდი ყავის მარცვლები, მით მეტია ალბათობა, რომ ყავა ძველია. გარდა ამისა, ყოველი მოხალვისას მარცვალში არსებული კოფეინის ნაწილი მარცვლის ზედაპირზე გამოიყოფა და თანდათან ორთქლდება . ამიტომ, რაც მეტჯერ არის მოხალული ყავა, მით ნაკლებია მასში კოფეინის შემცველობა.

მოკლედ ჩვენი რჩევა ასეთია: შეიძინეთ რაც შეიძლება ნაკლებად მოხალული ყავის მარცვლები და დაფქვის წინ თავად მოხალეთ ისინი. მაშინ ყავის ფინჯანს არომატიც კარგი ექნება და კოფეინიც საკმარისი იქნება მასში.

იმისთვის, რომ არ აგერიოთ, რომელ ყავას იძენთ, არაბიკას თუ რობუსტას — დაუკვირდით მარცვლის ფორმას. არაბიკა უფრო მოგრძო და ბრტყელია, რობუსტა კი — უფრო მომრგვალებული.

რაც შეეხება დაფქვილი ყავის შეძენას, აქ მთავარი ორიენტირია არომატი და შენახვის ვადა. გარდა ამისა:

თუ დაფასოებულ ყავას ყიდულობთ, უმჯობესია შეიძინოთ ვაკუუმშეფუთვაში დაფასოებული ყავა. შეძენისას კარგად დაათვალიერეთ, რომ შეფუთვა დაზიანებული არ იყოს (ვაკუუმ-ბრიკეტი ასეთ შემთხვევაში დარბილებული იქნება);

თუ ასაწონ დაფქვილ ყავას ყიდულობთ, ჯობს მარცვლები თქვენი თანდასწრებით დაფქვან;

ნუ შეიძენთ ქაღალდის პარკებში წინასწარ დაფასოებულ დაფქვილ ყავას, — მას შესაძლებელია არომატი უკვე დაკარგული ჰქონდეს;

სამწუხაროდ, ბაზარზე გვხვდება დაფქვილი ყავის ფალსიფიკაცია, რომელშიც ყავასთან ერთად სხვა მინარევები (მაგალითად რკოს, ვარდკაჭაჭს ძირების ან ყურძნის წიპწის ფქვილი) არის დამატებული. ამ ფალსიფიკაციის გამოვლენა საკმაოდ იოლია: ჩაყარეთ ცოტაოდენი დაფქვილი ყავა ცივ წყალში და მოურიეთ. ყავის ფხვნილი წყლის ზედაპირზე დარჩება, უცხო მინარევები კი ფსკერზე დაილექება.

სახლის პირობებში აგრეთვე საკმაოდ იოლია დაფქვილი ყავის სიძველის დადგენა: დაასხით ყავას მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2-3 წუთი და დაყნოსეთ. თუ ყავა ძველია, მას სიმჟავის სუნი ექნება.

## ჩაის არჩევა

პროდუქტი „ჩაი“ ჩაის ბუჩქის ნაზი ყლორტებისგან მზადდება. სამომხმარებლო ბაზარზე სხვადასხვა ჩაი იყიდება. შეგხვედრიათ ალბათ შავი ჩაი, ყვითელი ჩაი, მწვანე ჩაი და სხვა. ჩაის ფერი ფოთლის დამუშავების ტექნოლოგიით არის განპირობებული. რაც უფრო ღია ფერის არის ჩაი, მით უფრო ნაკლებად არის იგი დამუშავებული და მეტ სასარგებლო (ბიოლოგიურად აქტიურ) ნივთიერებებს შეიცავს. სამაგიეროდ უფრო მეტად დამუშავებული (უფრო მუქი) ჩაი უფრო არომატული და გემრიელია. კოფეინის შემცველობის მიხედვით შავი და მწვანე ჩაი არ განსხვავდება, ამიტომ გამომაფხიზლებელი ეფექტი ორივეს ერთნაირი აქვს.

ნებისმიერი ფერის ჩაი სხვადასხვა სახით შეიძლება იყიდებოდეს. კერძოდ შეიძლება იყოს ე.წ. ბაიხის ჩაი (ანუ ფანტია), დაწნეხილი ჩაი, ჩაი ერთჯერად პაკეტებში ან ჩაის ექსტრაქტი.

ყველაზე იოლი მოსახმარი და ამიტომ ყველაზე გავრცელებულია ერთჯერადი პაკეტების ჩაი. თუმცა, ვინაიდან მომხმარებელი ვერ ხედავს, თუ რა არის მოთავსებული პაკეტში, სამწუხაროდ ხშირია ამ ტიპის ჩაის ფალსიფიკაცია, როდესაც იყენებენ ძალზე დაბალი ხარისხის ჩაის მასალას, თითქმის მტვერს, რომელსაც გემოს, არომატისა და ფერის მისანიჭებლად სხვადასხვა საკვებდანამატებს უმატებენ. ამ ფალსიფიკაციის გამოსავლენად ასეთ მეთოდს გთავაზობთ:

დაასხით ჩაის პაკეტს ცივი წყალი — ჩაის ნატურალური მღებავი ნივთიერებები ძნელად იხსნებიან ცივ წყალში, ხოლო დამატებული საღებავები კი უცებ;

თუ ჩაის ჭიქაში ჩაგდებულმა ლიმონის ნაჭერმა ნაყენის ფერი არ შეცვალა, თქვენ ფალსიფიცირებული ჩაი შეგიძენიათ.

კარგი ხარისხის ჩაის არჩევა თუ გინდათ, გირჩევთ ბაიხის (ანუ ფანტია, ლოოსე ტეა) ფოთლოვანი ჩაი შეიძინოთ. ასეთ შემთხვევაში კარგად ჩანს ჩაის მასა და უფრო რთულია ფალსიფიცირება.

**შავი ჩაის არჩევისას დააკვირდით:**

ჩაის ნაწილაკები (ფოთლები) მუქი და მბზინვარე უნდა იყოს;

ჩაის უნდა გააჩნდეს დამახასიათებელი მძაფრი არომატი და არ უნდა ჰქონდეს რაიმე უცხო სუნი (ხორცის, თევზის, პარფიუმერიის — ამ პროდუქტებთან ერთად შენახვისას ჩაი ძალიან იოლად იძენს მათ სუნს. ასეთი ჩაის დალევა კი ნამდვილად არასასიამოვნოა.

გირჩევთ, ნუ შეიძენთ ჩაის, რომელიც მხოლოდ მუყაოს კოლოფშია შეფუთული — ასეთ შეფუთვაში ჩაი ძალიან მალე კარგავს არომატს. კარგი ჩაი ფოლგაში ან ცელოფანში მაინც უნდა იყოს შეფუთული.

momxmarebeli.ge

# ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

3/4/2016 kancelaria.cloud.gov.ge//nomfileserver/GetFile?file_id=28258502123901550125&obj_name=A&SessValue=slag43OEsRgnbO21SlehBehM8p2A1Hxt...

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990161735559216

№ 134 04 / მარტი / 2016 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

1.გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2.დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3.აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო" კომისიამ.

4.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

საფუძველი: ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება; ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის №4 დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ... ქვეპუნქტი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ოთარი ბუჯიაშვილი

http://kancelaria.cloud.gov.ge//nomfileserver/GetFile?file_id=28258502123901550125&obj_name=A&SessValue=slag43OEsRgnbO21SlehBehM8p2A1Hxt... 1/2

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე"–ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე"–ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390; 300563313.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე" — ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის 4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2016 წლის 8 აპრილს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2016 წლის 10 მარტიდან 7 აპრილის ჩათვლით საღამოს 18 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1 — ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993 ; 595 903 322; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

| ლოტის № | ქონების დასახელება და მისამართი | არასასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.) | შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.ყვარელი (შემოსასვლელთან) | 2525 | - | 57.06.58.147 | 15150 | 3030 | 758 | 50 |
| 2 | ქ. ყვარელი, (სათბურებთან) | 3088 | 29 | 57.06.52.234 | 18891 | 3778 | 945 | 50 |
| 3 | ქ. ყვარელი, (სათბურებთან) | 818 | 18 | 57.06.52.235 | 5088 | 1018 | 255 | 50 |
| 4 | ქ. ყვარელი, ი.ჭავჭავაძის ქ. #69-ში მდებარე ყოფ. სავაჭრო ცენტრი | 2998 | 1)3445; 2)429; 3)30; | 57.06.56.133 | 500000 | 100000 | 25000 | 50 |
| 5 | ს. ენისლის უნივერმაღის მე-2 სართული | - | 208,1 | 57.08.54.008.01.500 | 5203 | 1041 | 261 | 50 |
| 6 | ს.მთისძირის სახლი | 3128კვ.მ. (საკარმიდამო) | - | 57.01.08.024 | 11220 | 2244 | 561 | 50 |
| 7 | ს.ოქტომბრის სახლი | 10000კვ.მ (საკარმიდამო) | - | 57.03.18.132 | 12000 | 2400 | 600 | 50 |
| 8 | ქ. ყვარელი, გოგებაშვილის ქ.#40-ში მდებარე ყოფ. მეთესლეობის ინსპექცია | 1054 | 1)190; 2)26; | 57.06.57.187 | 21654 | 4331 | 1083 | 50 |
| 9 | ქ. ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. #160, რესტორნის მე-2 სართული | - | 498 | 57.06.35.066.01.501 | 33187 | 6637 | 1660 | 50 |
| 10 | ქ. ყვარელი, სააკაძის ქ.#2-ში მდებარე ყოფ. რედაქციის II-ე სართული | - | 468.4 | 57.06.59.080.01.501 | 32788 | 6558 | 1640 | 50 |
| 11 | ს.ახალსოფელი | 1865 (სასოფლო მიწა) | - | 57.02.68.094 | 1119 | 224 | 56 | 50 |

| ლოტის № | ქონების დასახელება | გამოშვების წელი | სახელმწიფო ნომერი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | ავტომანქანა „მერსედეს ბენცი" E320 | 1999 | KAX 997 | 2000 | 400 | 100 | 50 |
| 13 | ავტომანქანა „უაზ-31519" | 2004 | TOT-513 | 2500 | 500 | 125 | 50 |
| 14 | ბელარუსის მარკის ტრაქტორი | 2006 | - | 4100 | 820 | 205 | 50 |
| 15 | ბელარუსის მარკის ტრაქტორი | 2006 | - | 4300 | 860 | 215 | 50 |
| 16 | ბელარუსის მარკის ტრაქტორი | 2006 | - | 3900 | 780 | 195 | 50 |

თვალსაზრისი

# რა უნდა ვიღონოთ კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის

საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობა არის და უნდა იყოს მოწყობილი შემდეგშიც, კომპლექსური სახის წვრილი და მცირე ფერმერული მეურნეობების პრინციპებზე. რაც შეეხება მსხვილ და საშუალო ფერმერულ მეურნეობებს, ის საქართველოში ვერ გაამართლებს, რადგანაც ჩვენ არ ვართ რუსეთი, კანადა, აშშ, მექსიკა და სხვა დედამიწის დიდი რესურსებიანი ქვეყნები, სადაც მსხვილ ფერმერს შეიძლება ჰქონდეს 3500-5000 ჰა მიწის ფართობები.

საქართველო მიწის რესურსებით პატარა ქვეყანაა, მომავალში შესაძლებელია გამოჩნდეს ფერმერთა ახალ-ახალი ჯგუფები (რა თქმა უნდა მატერიალურად უზრუნველყოფილები) რომელთაც სურვილი ექნებათ დაამუშაონ მიწის ფართობები.

ამიტომ აუცილებელია, ჩვენს ქვეყანაში ამოქმედდეს დადგენილება მიწის ფართობების ლიმიტირების შესახებ. ის რომ მაქსიმუმ 40-50 ჰა მეტი ერთ ფერმერზე არ უნდა გაიცეს. წამყვანი დარგი კახეთის რეგიონში იყო და კვლავ დარჩება მევენახეობა, მებაღეობა და საერთოდ მემცენარეობა, რასაკვირველია მემცენარეობის განვითარებით, მესაქონლეობა და მეცხოველეობაც წინ წაიწევს. უკანასკნელ წლებში კახეთში (და არა მარტო კახეთში) უდიდესი გაქანება მიიღო



თხილის გაშენება-მოყვანამ. რა თქმა უნდა, მისასალმებელია ის, რომ საქართველოში მოყვანილი თხილის ნაყოფმა დიდი მოწონება დაიმსახურა ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე. წლებია უკვე, რაც კახეთში მოიმატა ფუტკრის მომრავლების მსურველთა რიცხვმაც. ესე იგი მეფუტკრეობაც ერთ-ერთი საინტერესო სამეურნეო დარგი ხდება.

ჩამოყალიბებულ, ბეჯით და ორგანიზებულ პუნქტუალურ კახელ გლეხს, წვრილ თუ მცირე ფერმერს აქვს იმის უნარი რომ ჰქონდეს წვრილი, თუ მცირე კომპლექსური სახის ფერმერული მეურნეობები, კერძოდ, ჰქონდეს ვენახის და თხილის ნაკვეთები, პარალელურად მისდევდეს მესაქონლეობას და მეცხოველეობას და სხვა.

ახლა კი ჩამოვთვალოთ რიგი საკითხები, რომლის შესრულებაც საწინდარი იქნება პერსპექტივაში კახეთის რეგიონის ეკონომიკის წინსვლისა. სხვადასხვა ბიზნეს-კომპანიებმა, ინვესტორებმა სახელმწიფოს მხარდაჭერით შესაძლებელია დაიწყონ.

1.ყურძნისა და თხილის გადამამუშავებელი სხვადასხვა სიმძლავრის საწარმოების მშენებლობა, რომელიც რა თქმა უნდა, მოწყობილი უნდა იყოს თანამედროვე ევროპული სტანდარტების დონეზე. ასევე, უნდა მოხდეს ყურძნის ძველი, გადამამუშავებელი საწარმოების მოდერნიზაცია, ღვინის ქარხნების შეიარაღება ახალი ტექნოლოგიური სქემებით.

2.ჩვენი კონკურენტუნარიანი ნატურალური პროდუქციის ღვინის, თხილის და სხვა საქონლის გასაღების ბაზრების ძიება რუსეთის, ევროპის და აზიის ქვეყნებში. როგორც ვიცით, უკანასკნელ პერიოდში ჩინეთის ბაზარზე უფრო მეტი რაოდენობით გავიდა და გადის ჩვენი სამარკო ღვინოები, ვიდრე წინა წლებში (პირველ რიგში საფერავი), რაც სასურველია და ეს ტენდენციის მასშტაბები გაგრძელდება და გაიზრდება ალბათ.

3.უცხოეთიდან შემოტანილი მცირე სიმძლავრის მექანიზაციაზე შეღავათიანი ფასდაკლება. ასეთი ტრაქტორები შესამჩნევად ძვირი ღირს. ამ შემოტანილ მექანიზაციას არ გააჩნია არავითარი სათადარიგო ნაწილები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ პროდუქციის შემომტან კომპანიებში, ეტყობა ადგილი აქვს კორუფციულ სქემებს და გარიგებებს.

4.ჩვენი კონკურენტუნარიანი პროდუქციის ყურძნის და თხილის და სხვა თვითღირებულების საწყისი ფასების დადგენა.

არსებობს ერთი ცნობილი გამოთქმა, რომ ბაზარი არეგულირებს ფასებს. მართლაც ასეა, მაგრამ ხომ არ არსებობს ის საწყისი ნიშნული, საიდანაც ხდება ფასების მატება, ან კლება. დღეისათვის 1 კგ. საფერავის ჯიშის ყურძნის თვითღირებულება (ჩვეულებრივი მათემატიკური ანგარიშით) 55-60 თეთრს უტოლდება, ხოლო რქაწითელის კი 35-40 თეთრს. ესე იგი დავუშვათ წვრილ თუ მცირე ფერმერს 1 კგ. საფერავის ყურძნის მოყვანა დაუჯდა 55 თეთრი, ხომ ამდენივე უნდა დაიხარჯოს, რომ მოსავალი მიიღოს, მაშინ რა რჩება მოგება? ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1 კგ. ყურძნის გასაყიდი ფასი მისსავე თვითღირებულებასთან მინიმუმ 2,5-3,0 ჯერ მეტი უნდა იყოს, ასე, რომ 1 კგ. საფერავის ჯიშის ყურძნის საწყისი ღირებულება გადამამუშავებელ ქარხნებში 1,5-1,6 ლარს უნდა აღწევდეს, ხოლო რქაწითელის კი 1,0-1,10 ლარის ფარგლებში უნდა მერყეობდეს. ამასთან უნდა იქნეს გათვალისწინებული ყურძნის საბაზისო შაქრიანობა, რომელიც 19-20 ერთეულის ფარგლებში უნდა ფიქსირდებოდეს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და გასაგებია, რომ ბაზარი არეგულირებს ფასებს, და თუ 1 კგ ყურძნის გასაყიდი ღირებულება ამ ციფრებს მიუახლოვდება, მაშინ კახეთის რეგიონში (რომელიც ვაზის ბუდედ არის მიჩნეული) უფრო მეტი ახალი ვენახის ნაკვეთები გაშენდება, ეს ნიშნავს, რომ მევენახეობა როგორც ასეთი წამყვანი დარგი უფრო ჩქარი ტემპებით განვითარდება. ასევე ყოველ წელიწადს შესაძლებელია 1 კგ თხილის მინიმალური ღირებულების ისეთნაირად დადგენა, რომ თხილის ბიზნესიც ასევე უკეთესად განვითარდეს.

5.მრავალწლოვანი ნარგავების (ვაზის, ხეხილის და სხვა) განკუთვნილი შხამქიმიკატების და მინერალური სასუქების შემოტანაზე სერიოზული კონტროლი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასურველია აღდგეს ისევ ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც უფრო გამართულად და ჯანსაღად იმუშავებს, ვიდრე იყო ადრე. ახალი, მრავალწლოვანი ნარგავებისათვის განკუთვნილი შესაწამლი პრეპარატები, ხშირად ვადა გასული და უხარიხსოა, რასაც თან მოსდევს ხოლმე ისეთი ვერაგი დაავადებები ამ კულტურაზე, როგორიც არის ჭრაქი და ნაცარი.



6.სადაზღვევო კომპანიებში ჯანსაღი საქმიანობის დამკვიდრება. ამ სისტემაში მომუშავე ადამიანები არ მუშაობენ ნორმალურად და სამართლიანად. იქ მომუშავე პერსონალს (თუმცა ყველაზე არ ითქმის) ახასიათებს მოჭარბებული პირადი ინტერესები, საიდანაც მუქთა ფულადი თანხების გადაქაჩვა ხდება საკუთარ „ყულაბაში“.

სადაზღვევო კომპანიებში მომსახურე ადამიანთა დიდი რაოდენობა შეგნებულად და შეუგნებლად ჯეროვნად არ აფასებს გლეხის შრომით უფლებებს (აქაც ადგილი აქვს შერჩევით სამართალს) ვგულისხმობთ სეტყვას, გვალვას, ქაიშხალსა და წყალდიდობისაგან მიყენებულ ზარალს.

7.სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების მუშა-ეფექტურობის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა. ჩვენი აზრით არსებული სეტყვის საწინააღმდეგო სასროლი დანადგარები მთლად საიმედო არ არის.

შარშანდელ 2015 წლის 20 აგვისტოს მოსულმა ჯერ არნახულმა ძლიერმა სეტყვამ (ძირითადად ყველაზე მეტად დააზარალა ყვარლის რაიონის სოფლები 70-100 პროცენტით) ცოტა არ იყოს ეჭვქვეშ დააყენა ამ დანადგარების ეფექტუნარიანობის საკითხი, სსიპ სსსტც „დელტამ“ უნდა იფიქროს სხვა ალტერნატიულ ვარიანტზე, უფრო საიმედო მოწყობილობების დამონტაჟებაზე.

8.შეღავათიანი კრედიტის მიღება სხვადასხვა ბარიერებისა და დაბრკოლებების გარეშე უნდა ხდებოდეს. საქართველოს სხვადასხვა ბანკების მიერ წამოყენებული პირობები კრედიტის გაცემის შესახებ, ცოტა არ იყოს მიუღებელი და მძიმეა წვრილი თუ მცირე ფერმერისათვის. ჩვენი აზრით წლიური საპროცენტო დანამატი 8-10 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

9.საკადრო აუცილებელი ცვლილებანი, როდესაც საპასუხისმგებლო თანამდებობას იკავებს, შედარებით ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არავითარი გამოცდილება, სამოქმედო პროგრამა ანუ გეგმა არა აქვს ჩამოყალიბებული და გათავისებული, არა აქვს იმის ძალა და უნარი შინაგანად, რომ თავის საკუთარ ინტერესებს მოერიოს, იფიქროს და იზრუნოს სახელმწიფოებრივად, მას არა აქვს მორალური და ზნეობრივი უფლება იკავებდეს საჭირო თანამდებობას, ხოლო ის, ვინც მწვანე შუქი აუნთო და აუნთებს დავუშვათ შემდეგშიც, უფლისა და ხალხის წინაშე უსამართლო ადამიანის იერსახედ გვევლინება. სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური პროგრამაც, როგორც სხვა პროგრამა თუ გეგმები არ არსებობს იდეალური, მაგრამ მოდით ასე ვთქვათ (შედარებითი პრინციპით) ყოველგვარი პროგრამა თუ გეგმა, თუ გინდა ცუდი დავარქვათ (შემდეგში შესაძლებელია ცუდიდან, საშუალო დონის პროგრამა გამოცხვეს) სჯობია საერთოდ უქონლობას.

იმედია მთავრობა გადახედავს საკადრო პოლიტიკასაც, ჩაატარებს სწორ სელექციურ სამუშაოებს, რაც კახეთის რეგიონის ეკონომიკურ წინსვლაზე აისახება დადებითად.

10.მიწის გადასახადების ამოღების საყოველთაობა, ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, არა მარტო კახეთის რეგიონის, არამედ, მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ საკითხის გარშემო ცოტა დწვრილებით შევჩერდებით.

2004 თუ 2005 წლის ადრეულ გაზაფხულზე ყოფილი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის ყოვლად არასერიოზული და გაუგებარი დადგენილებით 5 ჰამდე მიწის მფლობელი პირი სრულად თავისუფლდებოდა გადასახადისაგან, მხოლოდ 2004 წლამდე პრივატიზირებული მიწის ფართობებისაგან. კახეთის რეგიონში (და არა მარტო კახეთის) სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი 5 ჰა-ზე მეტ მიწის ფართობს ფლობს, მაგრამ მას მხოლოდ 5 ჰა აქვს გაფორმებული. სოფლად ცხოვრობენ ის მცირე ფერმერები, რომლებიც 10-12 ჰა და ზოგჯერ მეტსაც მიითვლიან და სარგებლობენ ამ მიწის ფართობებით, ამავე დროს ისინი არ ცხოვრობენ ხელმოკლედ, ჰყავთ მსუბუქი, კომფორტაბელური მანქანები, აქვთ აგრეთვე სატვირთო მანქანები და ტრაქტორები, ასევე შესაბამისად სათავსოები, ჰყავთ ცხვრის ფარები და საქონელი, მაგრამ გადასახადს არ იხდიან და როცა ამოქმედდება მიწის საყოველთაო წლიური ფიქსირებული გადასახადი, მაშინ სახელმწიფოს ბიუჯეტში შევა საკმაო რაოდენობის თანხები. მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს მიწის საყოველთაო წლიური გადასახადის შემოღებამდე სოციალურად დაუცველი ადამიანების, აგრეთვე მარჩენალ-დაკარგულები, მათზე აუცილებლად უნდა დაწესდეს განსაზღვრული შეღავათები.



ურჩი გადამხდელები კი, რომლებიც დავუშვათ პირველ წელიწადს არა და ვერ გადაიხდიან, მეორე წელიწადს მაინც უნდა დაფარონ სრული გადასახადი.მთავრობამ უნდა აამოქმედოს რაღაც ზეწოლის ბერკეტები და პრინციპები (ცხადია ამას მოფიქრებაც სჭირდება) უნდა გამოიძებნოს მიწის გადასახადის ამოღებისათვის შესაბამისი მეთოდები და ხერხები.

ერთხელ და სამუდამოდ, განსაკუთრებით კი სოფლის მოსახლეობამ უნდა ისწავლოს და იცოდეს, რომ თუ იხდის ელექტროენერგიის, გაზის და წყლის გადასახადს, ნება იბოძოს და პატივი სცეს მიწას და მიწის გადასახადიც უნდა გადაიხადოს, სწორედ ეს იქნება საკუთარი სოფლის მიწა-წყლის ყველაზე დიდი პატივისცემა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში კი შემოსული თანხები, უნდა მოხმარდეს სოფლის ინფრასტრუქტურას, გზების შეკეთებას, ნაგავსაყრელების მოწყობას, ბაგა-ბაღების, კულტსახლების რემონტს და სხვა.

ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმორიცხული თანხები სოფლის მისამართით არ არის საკმარისი, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან თუ დაემატებოდა, რაღაც განსაზღვრული თანხები, მაშინ სრულიად შესაძლებელი იქნება სარწყავ-სასმელი სისტემების საშუალო დონეზე მოწყობა მაინც.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შექმნა კახეთის (და არა მარტო კახეთის რეგიონის) ერთობ აუცილებელი საპასუხისმგებლო და საშური საქმეა.

**კობა ასაბაშვილი,**
**ყვარლის რაიონი, სოფ. შილდა**

# „უფრო მშვენიერი არაფერი მინახავს, ვიდრე ჩემი ყვარელია“

**დოსიე**

დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, მუშაობდა გაზეთ „ყვარლის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „კომუნისტის“, „საქართველოს რესპუბლიკის“, „კაბადონის“ და „ქალთა გაზეთის“ რედაქციებში. იყო გაზეთ „კახეთის“, „მშვიდობა ყოველთას“ და „თეთრი ბაირაღების“ — მთავარი რედაქტორი, ამჟამად გაზეთ „ფესვების“ მთავარი რედაქტორია. არის ათი წიგნის ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და სახელმწიფო ლიტერატურული პრემიით, არის ყვარლის საპატიო მოქალაქე.

*იმ უბანს მოლაანთ „უბანს ეძახიან“, რადგან იქ, სხვა გვარის ადამიანებს მოლაშვილები სჭარბობენ.*

*ამ უბანში გაიზარდა, აქ გაატარა ახალგაზრდობა მარადი ანასაშვილმა. სასიამოვნო გარეგნობის, ატმის ყვავილისფერი გოგონა ყველას ყურადღებას იპყრობდა. დები მარადი და მზიური ანასაშვილები ინტელექტით, თავაზიანობით, შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ, სკოლაშიც წარჩინებულები იყვნენ.*

*მარადიმ ჟურნალისტის პროფესია აირჩია, მზიურიმ კი უცხო ენის სპეციალობა.*

*მარადიმ პირველი ცხოვრებისეული გამოცდილება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟუნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაში მიიღო, აქ აიდგა ფეხი და აქედან გაიკვალა გზა ცხოვრების ფართო ასპარეზზე.*

*წლებია თბილისში ცხოვრობს, მაგრამ უზომოდ შეყვარებულია თავის მშობლიურ ყვარელზე და ამას მთელი გულით ამბობს — „ჩემი ყვარელი და მისი შემოგარენი რომ არ მეგულებოდეს და ჩემს მეხსიერებაში რომ არ ცოცხლობდეს, მაშინ მთელი სამყარო ჩემთვის გულგამოცლილი მკერდი იქნებოდაო“.*

*ჩვენ თითქმის თანატოლები ვართ. ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე ასე წარმატებულ ჟურნალისტთან ინტერვიუს აღება მომიხდებოდა. მე ხომ ჟურნალისტობაზე არც კი მიოცნებია, ჩვენ კი იმდენი სათქმელი დაგვგროვებია, ერთი გაზეთი მთლიანად რომ დაეთმოთ ჩვენთვის, ალბათ არ გვეყოფოდა.*

— რაო, დალი, რამ შეგაწუხა, — განა მე რა გამიკეთებია ისეთი, ყვარლის საზოგადოების ყურადღების ღირსი რომ იყოს — მითხრა მარადიმ და გაივსო ოთახი მოგონებებით.

**— მარადი, მოდი, ისევ „ყვარლის“ რედაქციიდან დავიწყოთ, როგორ მოხვდი აქ და რა იყო შენთვის ის პირველი სამსახური?**

— 21 წლისამ დავამთავრე უნივერსიტეტი, სწორედ იმ დროს ყვარელში გაზეთ „ყვარელმაც“ დაიწყო გამოცემა. მაშინ რაიკომის პირველი მდივანი ბატონი გივი ზაუტაშვილი ბრძანდებოდა. კაცური კაცი, კაცი, რომელმაც ყვარლისათვის იმდენი რამ გააკეთა, რაც შემდეგ ერთად აღებული არც რომელიმე რაიკომის მდივანს, არც გამგებლებს არ გაუკეთებიათ.

ყვარლელები გივი ზაუტაშვილის წინაშე დღემდე ვალში არიან.

სწორედ ამ სულმნათმა ადამიანმა შემომთავაზა გაზეთში პასუხისმგებელი მდივნობა.

საოცრად თბილი კოლექტივი დამხვდა. ერთადერთი ჟურნალისტი კი ვიყავი, მაგრამ რედაქციაში მუშაობის გამოცდილება არ მქონდა, თუ არ ჩავთვლით მოკლეხნიან პრაქტიკებს სხვადასხვა გაზეთებში.

ძალიან რთული აღმოჩნდა ნამდვილ რედაქციაში პასუხისმგებელი მდივნობა. მაგრამ ყველა თანამშრომელი: ბატონები რაფიელი, ბერდი ივანიჩი, გურამი მასწავლებელი, გივი, იურა, ციალა, ისეთი განათლებულები და გონიერები იყვნენ, მალე ავუღე ალღო სარედაქციო საქმიანობას. რა თქმა უნდა, იყო ბევრი სიძნელე, ნერვიულობა, მაგრამ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ყველაფერს გვალახინებდა.

მას შემდეგ ბევრ რედაქციებში ვიმუშავე, მაგრამ „ყვარლის“ რედაქციაში გატარებული ერთი წელიწადი ჩემი ცხოვრების მეორე უნივერსიტეტი იყო.

**— თითქმის 40 წელიწადი იმუშავე პრესაში. ბევრ საინტერესო ადამიანს შეხვედრიხარ. ყველაზე მეტად ვისთან აღებული ინტერვიუ დაგამახსოვრდა?**

— ბატონი ედუარდ შევარდნაძე საქართველოში ახალი ჩამობრძანებული იყო. მე „მშვიდობა ყოველთას“ მთავარი რედაქტორი გახლდით, გაზეთი „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ — ეს ორგანიზაციის გაზეთი იყო, მისი სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ნანული შევარდნაძე ბრძანდებოდა.

ერთ დღეს ქალბატონი ნანული მეუბნება: შენ ედუარდს უნდა შეხვდე და ინტერვიუ აიღო.

რას ბრძანებთ, — შევიცხადე, ყოველ ორშაბათს ბატონი პრეზიდენტი ნატო ონიანს ესაუბრება, მე ახალი რა უნდა მითხრას, ან მე რა უნდა ვკითხო ისეთი?!

ქალბატონ ნანულის ხმა აღარ ამოუღია. მე ვიფიქრე, რომ აქ დამთავრდა ჩვენი საუბარი. მეორე დღეს ქალბატონი ნანული გერმანიაში გაემგზავრა. შვებით ამოვისუნთქე.

ორიოდ დღის შემდეგ, შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს, პრეზიდენტის მდივანი ცისანა მირეკავს და მეუბნება: — მარადი, 11 საათზე შევარდნაძე გელოდება.

— ჩემგან რა უნდა პრეზიდენტს? — ამის თქმა მოვახერხე მხოლოდ, ცისანამ ყურმილი დაკიდა.

ნახევარ საათში უკვე შევარდნაძის მისაღებში ვზივარ, აფორიაქებული, როგორ მოვიქცე, ადრე რომ მცოდნოდა, მოვემზადებოდი მაინც. მაშინ ხომ ასე არ იყო, ახლა ხომ ნებისმიერ ჟურნალისტს შეუძლია ნებისმიერი კითხვა დაუსვან პრეზიდენტსაც და პრემიერსაც, მაშინ ეს უდიდესი პატივი იყო, მე კი ასე მოუმზადებელი აღმოვჩნდი პრეზიდენტის წინაშე. ზუსტად დათქმულ დროს შევედი მის კაბინეტში, პრეზიდენტი ისე შემხვდა, როგორც ახლობელს, გადამეხვია და ჩემს პირდაპირ დაჯდა...

ვაი, შენ, მარადის, ახლა რა მეშველება, რით დავიწყო, უცებ ვეუბნები.

**— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ჩემი რანგის ჟურნალისტი არ უნდა გაწუხებდეთ, მაგრამ ქალბატონმა ნანულიმ მოისურვა ჩვენი საუბარი რომ შემდგარიყო.**

შევარდნაძეს სახე მოეღუშა: ცუდი წარმოდგენა გქონია საკუთარ თავზე, მე შენ ყველა წერილს ვკითხულობ, შენ ხომ ნამდვილი პროფესიონალი ხარ, სწორედ ამიტომაც ხარ „მშვიდობა ყოველთას“ რედაქტორი, ნანული თითქმის არასოდეს არ ცდება, — მითხრა და ისე შემომხედა, რის კითხვასაც ვაპირებდი სულ დამავიწყდა.

მე მაინც გავაგრძელე თავის გადარჩენისთვის ბრძოლა და ამოვილუღლუღე.

**— ბატონო ედუარდ, მე უდიქტაფონოდ ვარ მოსული.**

პრეზიდენტს სახე გაებადრა:

— რა კარგი გოგო ხარ, ხომ იცი ვერ ვიტან დიქტოფონიან ჟურნალისტებს, ცხვირწინ რომ დამიდებენ ამ კოლოფს და შიშით თავისუფლად ვერ მისაუბრია, ემანდ ისეთი არაფერი წამომცდეს, მერე ხალხის სალაპარაკო რომ გახდესო.

ახლა დავიღუპე, მივხვდი, ყველა გზა მოჭრილი მქონდა, რაღა უნდა მექნა და პირველი კითხვა სახალხო დიპლომატიაზე დავუსვი. ახალი ჩამოსული ვიყავი ცხინვალიდან, სადაც რუსეთის ატაშე გვახლდა და მისი თანხლებით პირველი ქართველები ვიყავით, ვინც ომის შემდეგ შევიდა სამაჩაბლოში. ჩვენი ვოიაჟე ძალიან წარმატებული გამოდგა. ამ თემამ სხვა კითხვების დასმა გამიადვილა. თითქმის ერთი საათი ვსაუბრობდით. დავემშვიდობე პრეზიდენტს, გარეთ გამოსულმა შვებით ამოვისუნთქე და ცრემლები წამსკდა, ისეთი ღაპაღუპით ჩამომდიოდა, მოწმენდას ვერ ვასწრებდი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილი ეს ინტერვიუ თითქმის ყველა გაზეთმა გადაბეჭდა. ქალბატონმა ნანულიმ შემაქო და ბატონი პრეზიდენტის მადლობაც გადმომცა. თან დააყოლა, მე ვიცი, საყვარელო, შენ, მოზღვავებულმა ემოციამ და ყველაფერმა რომ კარგად ჩაიარა, იმან აგატირა, რა ჭორი გავრცელდა იცი? შევარდნაძემ შვილების საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნაზე უარი უთხრა და მარადიმ იმიტომ იტირაო. ედუარდი გაოცდა, მსგავსი არაფერი ყოფილაო.

მე კი ამ დროს არასოდეს ჩემი პირადი რაიმე არავისთვის არ მითხოვია, ჩემი შვილები დღემდე ამას მსაყვედურობენ. მაშინ ჩემზე ამბობდნენ: რა ადგილს აცდენსო!

**— ცხოვრებაში თუ გითქვამს ტყუილი, ან მეგობრისთვის თუ გიღალატია?**

— მეგობრისთვის კი არა, არავისთვის არასოდეს მიღალატია, ჩემთვის კი იცოცხლე, ვისაც ყველაზე მეტად ვენდობოდი, ჩემთვის ძირის გამოთხრა უცდია, მაგრამ, საბედნიეროდ, არაფერი გამოსვლია. რაც შეეხება ტყუილს — მითქვამს, ისიც სასამართლოზე. ამ სიტუაციამ ჩემი მეგობარი და მისი შვილი გადაარჩინა. ბავშვს გვარიც მისცეს და ალიმენტიც დაუნიშნეს. ის თავხედი კაცი კი ყველაფერს უარყოფდა. ეს გრძელი ისტორიაა, აქ ვერ მოვყვები. ისე, თუ ტყუილი კაცს სასიკეთოდ წაადგება, ზოგჯერ უნდა იცრუო კიდეც.

**— როგორია შენთვის 8 მარტი?**

— საშინელი; რვა მარტს, გამთენიისას, 44 წლის ულამაზესი მამა ჩაგვაკვდა ხელში, დედას, მე და ჩემს დას. — ასე დაგვტოვა მარტო ქალები და შავი მარტი გაგვითენა ჩემმა უსაყვარლესმა ადამიანმა. დღემდე მზარავს ამ ამბის გახსენება.

ახლა თავად განსაჯე როგორია 8 მარტი ჩემთვის.

მე ამ დღეს არავის ვულოცავ, მე კი მილოცავენ, ყველამ ხომ არ იცის ჩემი ეს განსაცდელი.

**— როგორც ვიცი, მოგზაურობა ძალიან გიყვარს. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რომელიც დღემდე არ გავიწყდება?**

— ნახევარი მსოფლიო მოვიარე, ფილიპინებზე, სინგაპურში, მალაიზიაზე, პირველი საბჭოთა ადამიანი ვიყავი, არც იტალია, ესპანეთი, არ დამკლებია, დუნაის ქვეყნები ვენიდან გემით მოვიარე, — მაგრამ ყველაფერს ჩემი სვანეთი აფერმკრთალებს.

როდესაც იქაურობით მოხიბლული (მთები უსაშველოდ მიყვარს) უშგულში იქაური მუზეუმის ეზოში ვიჯექი და შხარას შევცქეროდი, მუზეუმის დირექტორმა გვარი მკითხა, ანასაშვილიო რომ ვუთხარი, ჩაიღიმა და მითხრა: — შენ დადეშქელიანი ხარო, შვილო, ყურები ვცქვიტე, გამახსენდა მამაჩემის მამას მიხაკო სვანს რომ ეძახდნენ, მე მაშინ პატარა ვიყავი, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია.

იქ, უშგულში, ევროპაში ყველაზე მაღლა მდებარე სოფელში მოვისმინე პირველად ჩემი გვარის ისტორია.

**— იქნებ მომიყვე, საინტერესოა.**

— მკითხველს თუ არ გადავღლით, სიამოვნებით. სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მფლობელები იყვნენ დადეშქელიანები, ბოლო თავადი ფუთუ დადეშქელიანი, ძალიან მკაცრი და შეუვალი მბრძანებელი ყოფილა, მისი სურვილის გარეშე ამ მხარეში ჩიტი ვერ გაჭაჭანდებოდაო, საბჭოთა ხელისუფლებას უკვე შემოეღწია სვანეთამდე, მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლიდა, განაგრძობდა გლეხების ჩაგვრას, ის კი არა პირველი ღამის უფლებითაც სარგებლობდა თურმე. სვანები დიდი ხანია ფიქრობდნენ მის მოკვლას, მაგრამ თან ეშინოდათ, ვაი, თუ გადარჩეს და რა რისხვას დაატეხდა თავზე, კარგად იცოდნენ, დედა-ბუდიანად ამოწყვეტდა მთელ გვარს, ამიტომაც მოილაპარაკეს და თამარობის დღესასწაულზე ღვინით სავსე ფიალაში, ყველა გვარის წარმომადგენლებმა თითო-თითო წვეთი შხამი ჩააწვეთეს. ფიალა მიართვეს ბატონს, მან გამოცალა და სული განუტევა.

დადეშქელიანებს იქ ერთი პატარა ვაჟიღა ჰყავდათ დატოვილი, დანარჩენები საზღვარგარეთ იყვნენ წასული, სვანები ქალებს არ ერჩოდნენ და ამ ბიჭს დაუწყეს მოსაკლავად ძებნა. დადეშქელიანის ქვრივმა მოასწრო და ერთგულ გლეხებს ცაგერში გაატანა ბიჭი. მთელი სვანეთი ეძებდა დადეშქელიანების ვაჟს. ბოლოს ცაგერში მიაკვლიეს კიდეც.

— არაო, ეგ დადეშქელიანი კი არა ანას შვილიაო — უთქვამთ მეზობლებს.



თურმე ქვრივი ანასთვის მიუბარებიათ ფუთუს ნაბოლარა ვაჟი, ასე გავხდით მისი შთამომავლები ანასაშვილები, ძალიან პატარა გვარია.

ამის შემდეგ სვანეთში ხშირად დავდიოდი, წელიწადის ყველა დროს შეუდარებელია იქაურობა. ცხონებულმა საქართველოს გმირმა ჯიმი მაისურაძემ თავისი ვერტმფრენით მომატარა მთელი სვანეთი, ორკაპა უშბაში შუაშიც გავმძვრალვარ, თეთნულდის კალთაზეც დამჯდარი ვერტმფრენიდან გადმოვსულვარ და მის კიჩოზე სანთელიც ამინთია, ედელვაისიც მინახავს და იისფერი თოვლიც.

ერთხელ მესტიის ალმასკომის თავმჯდომარეს უსაყვედურეს — სტუმარს რატომ არ გვაცნობ, რას მალავო.

— მე თვითონ არ მინახავს, ჯერ ენგურის პირზე ცხენი გააჭენა და მერე მესამე დღეა ცაშია — უპასუხია გაოცებულ თავმჯდომარეს.

მართლაც ასე იყო, დღემდე მთები ჩემი სიყვარულია და ცა და თვითმფრინავი, ეჰ, გული მწყდება ხშირად რომ ველარ დავფრინავ.

**— დიდი ჟურნალისტური გამოცდილება გაქვს და ისე როგორ დავამთავროთ საუბარი, რომ არ გკითხო: ჟურნალისტისთვის მთავარი რა არის და რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ქართული ჟურნალისტიკა?**

— დღესაც და ალბათ, ყოველთვის, მთავარია პროფესიონალიზმი, სამწუხაროდ, არა მარტო ჟურნალისტიკაში, არამედ ყველა სფეროში დღეს პროფესიონალიზმის სიმწირეა.

დღეს გაზეთებიდან და ეთერიდან იღვრება შეურაცხმყოფელი სიტყვების ნიაღვარი, დღეს, სამაგიეროს გადახდის და ბოღმის ნთხევის ასპარეზად ქცეულა პრესა.

დაიკარგა ჟანრები, აღარც ფელეტონია, აღარც ნარკვევი, აღარც ჩანახატი, აღარც რეპორტაჟი.

ზოგიერთმა ჟურნალისტმა (ყველა თავისთავს ჟურნალისტს უწოდებს) ვერა და ვერ ისწავლა ნამდვილი, კონსტრუქციული კრიტიკა, ზოგიერთი მათგანი მზად არის თვითმიზნურ გონებამახვილობას ყველაფერი, თვით ჭეშმარიტებაც კი ანაცვალოს.

ჟურნალისტი კი მხოლოდდამხოლოდ საქმეზე უნდა წერდეს და ვინმეს პიროვნული ნაკლი ნაკლებად უნდა აინტერესებდეს, თუკი იგი საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს, ნაკლიც უნდა აინტერსებდეს.

იმის მაგივრად, რომ ქართული ჟურნალისტიკა ერთ უღელში იყოს შებმული და ერთ საქმეს აკეთებდეს, ემსახურებოდეს საქართველოს ხვალინდელ დღეს, არის ერთი „გამიშვი“ და „გამოუშვი“. ისინი საკუთარი პოლიტიკური მიზნისთვის იბრძვიან და არა იმისათვის, რომ საქართველო და ქართველი ხალხი მართლა თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს.

**— სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, ჟურნალისტები მკითხველში ემოციის გამოწვევის მიზნით კიდევ უფრო ამძაფრებენ ტკივილს, არადა ავიწყდებათ, რომ ხალხი დაიღალა უარყოფითი განცდებისგან და აუცილებელია მათი განთავისუფლება სტრესისგან.**

— სამწუხაროდ მართალი ხარ.

— თავს მოხვეული ომისა და მწარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ქვეყანას ძალიან სჭირდება ჟურნალისტის დროულად ნათქვამი გაბედული სიტყვა, გონიერი ნააზრევი, მომავლის განჭვრეტის უნარი, მაგრამ არა გაუთავებელი ბოღმის ნთხევა და ყველაფრის და ყველას გინება.

ჟურნალისტის ვალია ობიექტურად, მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობით ასახოს რეალური ცხოვრება, გადაჭრით შეებრძოლოს ყოველგვარ უკანონობას, შუღლსა და მტრობას, მთელი ძალისხმევა მოახმარონ ადამიანთა შორის კეთილგანწყობის განმტკიცებას.

რადგან პუბლიცისტიკას, როგორც სხვა არაფერს შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანის ცხოვრებასა და ქცევაზე, ილია ამ თვისებას ერის წინამძღოლობის უნარს უწოდებდა. ეს უნარი კი მხოლოდ ჭეშმარიტ პუბლიკაციას აქვს, რომელიც ცხოვრების ყოველ ფაქტს თავის სახელს არქმევს, რომელიც სინამდვილეს ცრუანალიზით არ აყალიბებს. ან იდეოლოგიური მიზნით შეპყრობილი თავგზას არ უბნევს საზოგადოებას. სამწუხაროდ, ზოგიერთი რედაქციისთვის მთავარია პარტიული ინტერესები და იდეოლოგია და არა ოპონენტთან საერთო ენის გამონახვა. დღეს საზოგადოება „ქოცებად“ და „ნაცებადაა“ დაყოფილი.

— მინდა გავიხსენო ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „ ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმეა, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ“... უნდა გვიყვარდეს და უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. შენს წერილებში, ყველგან, კრიტიკულშიც კი ნათლად ჩანს ადამიანების სიყვარული და თითქოს იმ დამნაშავესაც უფრთხილდები.

— მე ჩემს თავს კეთილი და კარგი ადამიანების კოლექციონერს ვუწოდებ, აბა მიმოიხედე ირგვლივ რამდენი კარგი რამ ხდება, რამდენი საინტერესო ადამიანია, თვითული მათგანი ხომ ქვეყნის ისტორიის ნაწილია. ხოდა რა გვიშლის, რომ გავაცნოთ ისინი ფართო საზოგადოებას. გვაქვს ათეული წლობით დაგროვილი ხელუხლებელი თემები, პრობლემები და სხვა უამრავი საკითხია, რომლებიც გამომზეურებას, საჯაროდ განსჯას და გადაჭრას მოითხოვენ.

ჩემი დევიზია: გაუფრთხილდით და მოეფერეთ ადამიანებს!

— გახსოვს მურმან ლებანიძე?... მალე გაზაფხული მოვა, მალე გაზაფხული მოდის, ამას მეუბნება თოვა ტყემლის თეთრი ტოტის“... გენატრება ხოლმე ილიას გორაზე მოკრეფილი ენძელებისა და ყოჩივარდების თაიგული და საერთოდ რა არის შენთვის გაზაფხული?

— გაზაფხული არ მიყვარს დალი, არ ვიცი ეს ისევ და ისევ იმ დაწყევლილი რვა მარტის ბრალია, თუ რისი? ყოჩივარდებისა და იების სიყვარული კი სიბერეშიც არ გამნელებია.

ილიას გორაზე კი არა კუის წყაროზეც თავად მომიკრეფია უამრავი. ჩემი გიორგის და ლევანის ბიჭები მათე და ნიკოლოზი ხშირად მანებივრებენ ხოლმე ია-ენძელებით. მათი პაწაწინა ხელებით მორთმეული უძვირფასესი საჩუქარია ჩემთვის.

**— ვიცი, შენ განსაკუთრებით გიყვარს მთვარე და ვარსკვლავები?**

— ამ კითხვაზე მეუხერხულება პასუხის გაცემა, ალბათ ახალგაზრებს ჩაეცინებათ, 70 წელს მიღწეული ქალისათვის რაღა დროს ამაზე საუბარიაო.

დამიჯერეთ, სასიამოვნო ამბების გახსენების დრო ყოველთვის არის, ასი წლისაც რომ იყოს ადამიანი. სხვათა შორის, სულ ახლახან ამოვიკითხე „დამავოიში“, მთვარე ქალების პლანეტა ყოფილა თურმე და ქალებს ურჩევენ: „ქალებო, ხშირად შეხედეთ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და მთვარეს“.

გაგრძელება მე-14 გვ. -ზე

# მაჟორიტარმა დეპუტატმა ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

## დარწმუნებული ვარ, იგი უფრო მეტი შემართებით იბრძოლებს ამომრჩეველთა ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებისათვის



მხარდაჭერისა და თანადგომისათვის დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს, ამავე სამინისტროს „სერვისების მართვის სააგენტო“-ს ხელმძღვანელს, ბატონ შიო ხეცურიანს, საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, ბატონ ილია დარჩიაშვილს, რომელთა ძალისხმევით ყვარლის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო დამატებითი თანხები 170 ათასი ლარის ოდენობით.

სტუდენტებმა მადლიერება გამოხატეს აღნიშნული სამინისტროების და ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მისამართით. თუმცა აქვე დასვეს კითხვა ვინ დაიცავს საზოგადოებრივ ცენტრსა და კეთილმოწყობილ სკვერს.

ამ საკითხზე პასუხისმგებლობას ვიღებთ ყვარლის მუნიციპალიტეტი, დღისა და ღამის დარაჯების ასაყვანად გამოვყოფთ დაფინანსებას, მაგრამ თითოეული შილდელის ვალია გავუფრთხილდეთ და დავიცვათ დასასვენებელი პარკი.

მისასალმებელია, რომ შილდის „განვითარების ფონდი“ თავისი ინიციატივით კეთილმოაწყობს მარიამ ღვთისმშობლის მოქმედი ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიას. ამასთანავე, დათა მამუკიშვილი შემოვიდა წინადადებით „შუაგორის“' ტერიტორიაზე არსებული მჟავე მინერალური წყლის ჩამოსხმა-რეალიზაციის პრობლემების გადასაწყვეტად მოხდეს მუშაობის წარმართვა. აქვე გადაწყდა მინერალურ წყალს გაუკეთდეს ქიმიურ-ბაქტერიული ანალიზი და მიღებული შედეგის შესაბამისად მოხდეს ღონისძიებების განხორციელება.

შეხვედრის მიმდინარეობის დროს წამოჭრილი საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა: ამალია ასაბაშვილმა, თამუნა აღნიაშვილმა, ალექსი დინგაშვილმა, გიორგი ჯავახიშვილმა, გიორგი იანქოშვილმა, ვალერი ბახსოლიანმა, გიორგი ბურდიაშვილმა, ეთერი კანტროშვილმა, ნინო შაშიაშვილმა, ლევან ზუბიტაშვილმა და სხვებმა.

მათ მადლობა გადაუხადეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას სოფლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროული გატანის, სასაფლაოების გაუმჯობესებული მოვლა-პატრონობის და ზოგადად, შილდისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღების გამო.

ამასთან, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სთხოვეს მომავალში



იზრუნონ კულტსახლის გარემონტებაზე, ახალგაზრდობის განათლების ამაღლების და გაჯანსაღების პირობების შექმნაზე, გზების მოასფალტებაზე, მკლავჭიდელთა კლუბის შექმნაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაზე.

ბატონმა ჯემალმა ხაზგასმით მიანიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ნაყიდია კულტურის სახლის კაპიტალური შეკეთების (ფასადი, სახურავი და მარცხენა ფლიგელი) სამუშაოების ჩატარების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, თანხის მოძიების შემთხვევაში მოხდება აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, რომლის შემდგომ ახალგაზრდებს მიეცემათ საშუალება აიმაღლონ განათლების დონე (შეეძლებათ ბიბლიოთეკაში არსებული უნიკალური წიგნების გამოყენება), გაიკაჟონ სხეული, ისწავლონ მეოჯახეობა, მოაწყონ ახალგაზრდული ღონისძიებები. იფუნქციონირებს საჭიდაო, მკლავჭიდის, ტენისის, ჭადრაკის კლუბები. ასევე მოვაწყობთ პენსიონერების შესახვედრ ოთახს, სადაც შეეძლებათ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სერვისების მიღება. აგრეთვე ვგეგმავთ დღის ოთახის მოწყობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

დეპუტატის ელექტორატთან შეხვედრის შედეგების გაანალიზების შემდგომ დავრწმუნდი, რომ ბატონი ჯემალი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უდგება თითოეულ პრობლემას და უანგაროდ იღწვის მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის, რაც ჭეშმარიტად დაგვანახვა წარმოდგენილმა ანგარიშმა. დარწმუნებული ვარ იგი უფრო მეტი შემართებით იბრძოლებს ამომრჩეველთა ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებისათვის.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**



# უფრო ძვირფასია სითბო, სიყვარული და ერთგულება



ძნელია მამაკაცისთვის ცხოვრება ქალის გარეშე, მაგრამ უფრო ძნელია ქალისთვის ცხოვრება მამაკაცის გარეშე. როგორ მტკიცე და სასახელო ოჯახს შექმნიან, ორივეზეა დამოკიდებული. ხშირად ურთიერთგაუგებრობა თუ ღალატი, ოჯახს მტკიცეს ვერ ხდის და დანგრევის მიზეზი ხდება. ოჯახის უკეთესად წარმართვა კი უმეტესად მამაკაცზეა დამოკიდებული, — იმაზე, თუ როგორ როლს მოირგებს და როგორ, რა გზით განავითარებს იგი ოჯახურ ტრადიციებს. ამ თემაზე ვთხოვეთ თავისი აზრი გამოეხატა შპს „უნიმედი“ კახეთის ყვარლის სამედიცინო ჰოსპიტალის ქირურგს, ბატონ **ოთარ ბახუტაშვილს**.

**— ბატონო ოთარ! ყველა დროის ცვალებადობა თავისებურად ლამაზია, მაგრამ უმეტესთა აზრით გაზაფხულს არაფერი შეედრება. მის მოსვლას და ხასიათს ქალის ხასიათის ცვალებადობასაც ადარებენ, ზოგჯერ წყნარი და ზოგჯერ ბობოქარი — ქალიც ხომ ასეთია. თქვენ როგორ შეადარებთ ქალს და გაზაფხულს?**

— ქალი თავისი ბუნებით ყოველთვის იყო იდუმალი და ამოუცნობი, ამიტომ ყოველთვის იქნება სასურველი და მიმზიდველი. ქალი არის სიცოცხლის საწყისი და მიმნიჭებელი. ქალი არის აქტიური ბუნებით და ნამდვილად წააგავს გაზაფხულს, რომლის დადგომასთან ერთად იწყება ცხოვრების ახალი ციკლი.

**— გყავთ საუკეთესო მეუღლე, გაქვთ კარგი ოჯახი; გარეგნულად მომხიბვლელ და ახალგაზრდა ექიმ ქირურგს ბევრი ლამაზი ქალი უმზერდა. თქვენ რა თვისებებით შეარჩიეთ თქვენი მეორე ნახევარი. რა უნდა მოეწონოს პირველ რიგში მამაკაცს ქალში. რამეთუ ნათქვამია: ერთი ფუთა მარილი უნდა ჭამო, რომ ადამიანი კარგად შეიცნოო, და ამ დროს ის მთელი ცხოვრების თანამგზავრად უნდა გაიხადოთ?**

— ხშირად მომისმენია „ყველა ქალი სხვადასხვანაირია გათხოვებამდე და გათხოვების შემდეგ ერთნაირი“ — რაც სიმართლესთან ახლოა. ყველას სურვილი ხომ წყნარი და მყარი ოჯახის შექმნაა, ვინაიდან ქალი ბუნებით ამოუცნობია, არ იქნება სწორი ქალი თავისი თვისებებით აარჩიო მეუღლედ. იგი უფალმა უნდა მოგცეს და შეხვდე. შენ უნდა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის სისწორეს ცხოვრება გიჩვენებს.

**— რა არის თქვენთვის ქალი, ყველაზე მეტად რა არ მოგწონთ მასში. როგორი უნდა იყოს მეუღლის, შვილების მიმართ.**

— ქალი ოჯახში ყველაფერია. დღევანდელი ცხოვრების რიტმი მას ბევრ დამატებით საქმიანობას აკისრებს, მაგრამ მისთვის მთავარი ალბათ მაინც ოჯახია. სასურველია ოჯახში ფუსფუსებდეს თბილი და ალერსიანი ქალი. მტკიცე ოჯახის შესანარჩუნებლად ეს აუცილებელიცაა. არ მომწონს მედიდური და ამაყი ქალები.

**— რამდენად უნდა იყოს ქალი დასაქმებული, — ერთფეროვანია თუ არა თქვენთვის ქალი სახლში, ქალი მხოლოდ დიასახლისი, შვილები, ოჯახი.**

— დღესდღეობით ქალი საზოგადოების სრულფასოვანი წევრია და ის აუცილებლად უნდა იყოს დასაქმებული, რათა მოახდინოს სრული თვითრეალიზირება, მაგრამ არა ოჯახის ინტერესების საზიანოდ.

**— როგორია ქალის ღვაწლი ოჯახის წინაშე, — რას გვეტყოდით მის მძიმე ტვირთზე.**

— ენით აუწერელია ქალის ტვირთი. ბევრი ეცადა მის შეფასებას, მაგრამ დღემდე ვერავინ შეძლო და მეც უძლური ვარ. შეიძლება მხოლოდ აღტაცებული იყო ქალის თავდადებით, რომელსაც ხშირად ვერ ვამჩნევთ და შესაბამისად ვერ ვაფასებთ.

**— დიდი ილია ამბობდა: „ჩვენს ქალებს თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთ მოქმედებისათვის და შესდგომიან, რომ თავის საკუთარის ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდამ თავიანთი სვე-ბედის ბურთი“.**

**რა აზრის ხართ საქართველოდან წასულ ემიგრანტ ქალებზე, — ისინიც ხომ თავიანთი ოჯახის, თავიანთი სვე-ბედის ბურთის გასატანად გადაიკარგნენ იმ შორეულ ქვეყნებში; (რაკიღა ემიგრანტი ქალები ვახსენეთ, გაზეთის რედაქცია მთელი სულითა და გულით ულოცავს ყვარლის რაიონიდან წასულ ყველა მათგანს ქალთა ღირსშესანიშნავ დღეებს და უსურვებს მეტ გამძლეობასა და მხნეობას, წარმატებებს თავიანთ საქმიანობაში) თქვენის აზრით, რამდენად ღირს ამ მძიმე ტვირთის ტარება, რის გამოც ხშირ შემთხვევაში მათ შეიძლება თავიანთი ახლობელიც კი ვერ დაიტირონ და გააცილონ სამუდამო სასუფეველში.**

— ემიგრაცია და კერძოდ ქალის ემიგრაცია ეს არის ქვეყნის და ოჯახის ტრაგედია. არ არის სწორი როცა ქალი ლუკმა-პურის საშოვნელად უცხო ქვეყანაში მიემგზავრება. ყურადღებით შეხედეთ ჩვენს ემიგრანტ ქალებს როგორ ეტყობათ სახეზე მძიმე შრომის და ჯაფის კვალი, ოჯახზე დარდი. ვუერთდები თქვენი რედაქციის მილოცვას და თითოეულ მათგანს ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდ გამძლეობას და მოთმინებას. გამოვთქვამ სურვილს, რომ მალე დაუბრუნდნენ ოჯახებს.

**— თქვენი სპეციალობიდან გამომდინარე, თუ გქონიათ რაიმე ინციდენტი პაციენტ ქალებთან დამოკიდებულებაში, რაც ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე.**

— ჩემდა საბედნიეროდ პაციენტ ქალთან ინციდენტი არ მომსვლია უფლის შემწეობით.

**— ხშირად იტყვიან: „ქალი მაცდურიაო!“...**

— მე ვიტყოდი — და არა მარტო ქალი. მაპატიონ, მაგრამ არიან მაცდური მამაკაცებიც, რომლებიც ქალს გათხოვებამდე ოქროს კოშკებს პირდებიან და შემდგომ როცა უკვე ოჯახი შეიქმნება ჩუმად და შეუმჩნევლად მაცდურობენ თავის საყვარელ ქალთან და დროთა ვითარებაში თავიანთი ოჯახის დანგრევის მიზეზი თავად ხდებიან. კარგი და გონივრული მამაკაცი ადვილად მიუხვდება ქალს მაცდურობაში, ოჯახის სიმტკიცის შენარჩუნება ხომ უფრო მეტად მამაკაცზეა დამოკიდებული.

**— რა სიურპრიზებია, რომელსაც თქვენს საყვარელ ქალს უკეთებთ. თქვენთვის მარტო სადღესასწაულო დღეებია ხოლმე შერჩეული, თუ?**

— ყველა ქალს უხარია საჩუქარი და სიურპრიზი. მით უმეტეს მისთვის ძვირფასი ადამიანისგან, მაგრამ უფრო ძვირფასია სითბო, სიყვარული, ერთგულება, რომლის გაცემაში ხშირად რატომღაც კაცები ვძუნწობთ.

**— ქალებისადმი მიძღვნილი თქვენი სარვამარტო სურვილები.**

— ვუსურვებ კაცობრიობის ძვირფას მეორენახევარ ქალს, დედას ჯანმრთელობას, სიყვარულს, სითბოს, ერთგულებას.

ესაუბრა
**დალი ტატულიშვილი**

## შეხვედრა წარსულთან — კოლორიტი ადამიანების მოღვაწეობა არ უნდა დავივიწყოთ

# შეწყვეტილი სიმღერა



დასაწყისი იხ. #1-3, 2016

ამ ამბის მოყოლებიდან, გავიდა თითქმის ექვსი-შვიდი წელი. გარდაიცვალა ჰამლეტიც. მე გონებაში მქონდა, თუ სად დაიკარგა მისი ლექსები, ვფიქრობ რომ იქ აუცილებლად იქნებოდა სხვა შედევრებიც. 1989 წლის ივლისში, სრულიად შემთხვევით, წასვლა მომიხდა წითელწყაროს რაიონში, ელდარის საძოვრებზე ტარიბანაში, სადაც მეცხვარეები თავიანთ საქონელს აზამთრებენ ამ ადგილებში, თუში მეგობარი ელდარ ბაინდურაშვილი, რომელიც იქ მუშაობდა, საბჭოთა მეურნეობის ფერმის გამგედ, სულ მეხვეწებოდა, ოღონდ ჩამოდი ჩემთან და ცხოვრებაში არ დაგავიწყდება იქ გატარებული დროო. მართლაც ივლისის ცხელი დღე იყო. დავჯექი ჩემს მანქანაზე, ჩავედი ზემოქედში, სადაც ასევე მყავს, ძალიან ძვირფასი მეგობარი, მურად ციგროშვილი, მას ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა, ისიც დიდი ხნის უნახავი მყავდა, ავუხსენი მას სიტუაცია და მითხრა რომ, მე თვითონ გამოგყვები და გაჩვენებ, სადაც არის სოფელი ტარიბანაო, მაგრამ სანამ იქ წავალთო მითხრა, მანამდის აქ მოვილხინოთო და ხვალ დილით გავაგრძელოთ გზა, ნაბახუსევზე უფრო კარგი არის ქეიფიო, მე რა თქმა უნდა დავთანხმდი.

მეორე დილით მითხრა, რომ შენი მანქანა აქ გავაჩეროთ და წავიდეთ, ჩემი რაფით, რამეთუ ძალიან ცუდი გზებია და სადმე მანქანით არ ჩავრჩეთო, მეორე დილას ადრიანად წავედით და საათი საათნახევრის შემდეგ, ჩვენ მივაღწიეთ საქართველოს, ამ ერთ-ერთ განაპირა სოფელს, რომლის იქით იწყება აზერბაიჯანის რესპუბლიკა. მისვლისთანავე, მანქანა გავაჩერეთ ერთ პატარა დასახლებული ადგილის ცენტრში, რომელსაც შეადგენდა ალბათ, ერთი ათიოდე ან ხუთმეტიოდე კომლი, ძირითადად მწყესები, აღმოსავლეთ საქართველოს კერძოდ კახეთიდან სადაც აზამთრებდნენ კოლმეურნეობების საქონელს, ცხვარს, ძროხას და კიდევ სხვა დანარჩენ პირუტყვს. გადმოვედით მანქანიდან და პირველსავე შემხვედრს ვკითხე თუ სად შეიძლებოდა მენახა ელდარ ბაინდურაშვილი, ფერმის გამგე. მან მიმასწავლა მისი სახლი, რომელიც შედგებოდა ორი სართულისაგან და სადაც ძირითადად მწყემსები ცხოვრობდნენ. მე და ჩემი მეგობარი მურად ციგროშვილი, გავემართეთ ამ სახლისაკენ, შევედით პირველ სართულზე და პირველსავე კარებზე დავაკაკუნეთ, მაგრამ კარები არავინ გაგვიღო, ავედით მეორე სართულზე და პირდაპირ შევედით ღია კარებში, სადაც ლოგინზე წამოწოლილი იყო ერთი შუახნის კაცი. მივესალმეთ და ავუხსენით ჩვენი მისვლის მიზეზი, რომ ვეძებთ მეგობარს სახელად ელდარ ბაინდურაშვილს. ის საკმაოდ დინჯად წამოდგა საწოლიდან, ზრდილობიანად მოგვესალმა, როგორც მთის ხალხს ჩვევია და გვითხრა რომ ელდარი გუშინ წავიდა წითელწყაროში ქორწილში და აქამდისაც უნდა ჩამოსულიყოვო, ჩვენ მადლობა გადავუხადეთ მას, ცოტა შევწუხდით კიდეც, რომ არ დაგვხვდა, ჩავჯექით მანქანაში და ვაპირებდით უკან დაბრუნებას, სოფელ ზემოქედში, ამ დროს დავინახეთ რომ, მოედანზე შემოვარდა ეგრეთწოდებული „ კოლხოზნიკი“ სადაც იჯდა, ჩვენი მეგობარი ელდარი. მე გახარებული გადმოვხტი მანქანიდან და წავედი პირდაპირ მისი კაბინისაკენ. ელდარმა დამინახა, მანქანიდან გადმოვიდა გახარებული, გულში ჩამიკრა, მეხვეოდა და მკოცნიდა, რაკი შენ აქ ჩამოხვედი, მე ნამდვილად აღარ მოვკვდებიო. ის საკმაოდ შექეიფიანებული იყო , მან თავის მეგობარს მისცა წინადადება, რომ მოეყვანათ კარგი საკლავი და შედგომოდნენ საპატიო „სტუმრისათვის“, როგორც თვითონ ამბობდა, სუფრისთვის სამზადისს, მართლაც, სულ რამდენიმე ხანში, ალბათ საათნახევარში, იქვე ახლოს, მშვენიერ მდელოზე, ხის ჩრდილში, გაშალეს ნამდვილი მწყემსური სუფრა, სადაც ყველაზე მეტად ჭარბობდა ცხვრის ხორცისაგან დამზადებული კერძები და ძალიან კარგი, ზემო ქედური რქაწითელი. მითხრა რომ თამადა უნდა იყო შენო, მე რა თქმა უნდა ვიუარე და მერჩივნა მასპინძელი ყოფილიყო თამადა, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა, რა გაეწყობოდა, მე შევუდექი ჩვეულებრივ თამადის მოვალეობას და რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ მთხოვა რომ, იქნებ რაიმე გვემღერა, მე მასთან შეხუმრებული ვიყავი და ვუთხარი რომ მე კი ვიმღერებ მაგრამ შენ რა უნდა ქნა მეთქი, ხმა შენ არა გაქვს და სმენა და მარტოკამ როგორ ვიმღერო, მან მითხრა რომ მე ნამდვილად ვერ მოგეხმარები, მაგრამ ჩონგურს კი გიშოვიო. მე ვუთხარი, მაგ სიკეთეს თუ იზავ, საქმეს წაადგება მეთქი, სუფრასთან მჯდომ, ერთ-ერთ ახალგაზრდა ბიჭს, მისცა მანქანის გასაღები და სთხოვა რომ, ასულიყო იმ მაღალ გორაზე, ხელი გაიშვირა აღმოსავლეთისაკენ, სადაც მოსჩანდა მაღალ გორაზე ერთი პატარა ქოხის მაგვარი სახლი და სთხოვა რომ, იქ ცხოვრობდნენ ცოლქმარი ციგროშვილები და ამ კაცს აქვს ჩონგური, უთხარი ჩემი სახელით, რომ გვათხოვოსო. ეს ბიჭი წავიდა მანქანით, სადამდისაც იქნებოდა, სამასი, ოთხასი მეტრი და მალევე უკან დაბრუნდა ხელცარიელი, მოხუცს უთქვამს რომ, მე ჩემს ჩონგურს ვერავის ვერ ვათხოვებო, ჩემი მეგობარი ელდარი სასტიკად განრისხდა, ახლა მეორე ბიჭი გაგზავნა, სულ რამდენიმე წუთში ისიც ხელცარიელი დაბრუნდა. ელდარი, ძალიან ნაწყენი დარჩა, მე ის დავამშვიდე და შევეცადე სხვადასხვა საშუალებით რეპერტუარი ისედაც ბევრი მქონდა ყოველთვის და ჩონგურის გარეშეც საკმაოდ მხიარულად და კარგად ვიქეიფეთ გვიანობამდის. შემდეგ მიგვიჩინეს ჩვენ-ჩვენი ადგილები და დილამდე მართლაც შესანიშნავად მეძინა. გამომეღვიძა, გავიხედე ფანჯარაში და რიჟრაჟი უკვე დაწყებულიყო, წამოვდექი ლოგინიდან, ჩავიცვი ტანსაცმელი, ჩავედი ეზოში და ვცდილობ როგორმე, ბახუსიდან გამოვიდე, რატომღაც გამახსენდა გუშინდელი ამბავი, ჩონგურის შესახებ. გულში ჩამრჩა, ვიფიქრე, ალბათ ეს რაღაც განსაკუთრებული ოსტატობით გათლილი ჟღერადობაც ალბათ შესაბამისი ქონდა, ძალიან მომინდა ამ ჩონგურის ნახვა. ამ დროს ეზოში დავინახე ერთი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც მანქანას უჩხრიკინებდა რაღაცას, მივესალმე მას და აღმოჩნდა ჩვენი გუშინდელი სუფრის წევრი, ვთხოვე: ძმობილო, წამომყე იმ კაცთან, ჩონგური მინდა ვნახო, მას გაეცინა და მითხრა, კი წამოვალ სტუმარო კაცო, მაგრამ, მაგ კაცს ყველა იცნობს, განსაკუთრებული ჩამოსხმაა, ფშაველებს ნამდვილად არ ჰგავს თავისი ხასიათით, მერე მე ვუთხარ: არა უშავს, შენ წამომყე და ნახე თუ პურმარილიც არ ვაკისრებინო, ერთი სიტყვით, როგორც იქნა დავითანხმე წამოსვლაზე. მე ისევე, კარგად ღრმა ბახუსში ვიყავი და დავიწყეთ მაღალ ფერდობზე ნელ-ნელა სვლა. თანდათან უფრო ნათდებოდა და მზეც უკვე აპირებდა ამოსვლას, როგორც იქნა, ავედით და მივედით ქოხამდე, დავინახე ერთი მოხუცი ქალი, ალბათ 60-65 წლის, მივესალმე ფშავურ კილოზე რიხიანად, გამარჯობა ბებიაჩემო, ის შემობრუნდა უცბად ჩვენსკენ, ეტყობა ამ დილაადრიან არავის ელოდა, გაგვიღიმა და პასუხიც დაგვიბრუნა. ღმერთმა გამარჯობა არ მოგაკლოთ შვილებო, მობრძანდით, ხინკალს ვაკეთებ და ახლავე მოგართმევთ ათ წუთში, მართლაც არ გასულა დიდი ხანი, სინით ხელში მოგვიტანა ხინკალი და ერთი დოქი ღვინოც, შემდეგ გამოგვკითხა თუ სადაურები ვართ, მაგრამ მე პასუხის ნაცვლად ველარ მოვითმინე და ვუთხარი: ბებო მაიტა ის ჩონგური გვათხოვე, გუშინ რომ გთხოვეთ ორჯერ, კაცი გამოგიგზავნეთ, იქ არ მომეცა საშუალება ჩონგურზე სიმღერისა და აქ მაინც უნდა გიმღერო, თან დავაყოლე სად არის თქვენი კაცი ბებო? ჩემმა კაცმა ძროხები გარეკა ეხლახანს და მაგ ჩონგურის გულისთვის წუხელ კარგადაც შევჯორე. მართლაც კარგი ჩონგური არ გეგონოთ, თავის ხელით გამოჩორკნა დაჯდება თვითონ არც ხმა აქვს და არც სმენა, არც დაკვრა იცის და ხანდახან მთელი დღე უკრავს, გული მაქ წაღებული მაგისგან. ერთიც იქნება და გადავუგდებ ხევში ამ ჩონგურს. ამ იუმორზე მე თან გულიანად ვიცინოდი და თან ვაქებდი ამ მოხუცს, რა კარგი ქალი ყოფილხარ ბებო, ღმერთმა აგაშენოს მეთქი, დავლიე ერთი სადღეგრძელო მისი და მისი მეუღლის, მერე ვთხოვე რომ, გამოეტანა მაინც, მინდოდა მენახა ეს ჩონგური, თან ვიმღერებდი რამეს, ის შებრუნდა სახლში, გამოიტანა სპეციალურად შეკერილ ბუდეში ჩასმული ჩონგური, თან დააყოლა: არ მოგვისწროს თორემ დაგვხოცავს სუყველას, მე ვუთხარ: ნუ გეშინია ბებო, ფშაველების წესი არ არის, სტუმარს ცუდად მოექცეს და ამიტომაც არ მეშინიან და თანაც მეც ფშაველი ვარ წარმოშობით. გოგოლაურის გვარისა გახლავართ, ვლაპარაკობდი და თან ჩონგურს ვიღებდი ბუდიდან, ამოვიღე, ხელში შევატრიალ შემოავატრიალე. გადავხედე ჩემს ახლად გაცნობილ ბიჭს და ისეთი სიცილი აგვიტყდა რომ ერთმანეთს ველარ ვაჩერებდით.

ბებიაჩემო: ამ ჩონგურს მიმალავდით მეთქი, თვითონაც იცინოდა და გვეუბნებოდა : რა ვქნა, ასეთი მყავს ეგ უბედურ დღეზე გაჩენილი, ნეტავ სიმღერა მაინც იცოდეს და ჯანდაბას, და თან დააყოლა. ღმერთი გიშველით, ფრთხილად მოექეცით ჩონგურს, სადმე ნაკაწრი არ გაუჩნდეს, თორემ ვერ გადაურჩები ცოცხალი, ამ სიტყვებმა უფრო დიდი სიცილი გამოიწვია ჩვენში, წამოვხტი ჩონგურიანად, მაგრად მოვეხვიე და ვაკოცე, როგორც აღმოჩნდა, ეს ჩვენი მოხუცი კაცი თურმე ცაცია ყოფილა და მარცხენაზე ჰქონდა აწყობილი ჩონგური, როგორც იქნა მარჯვენაზე გადმოვაწყე, ბევრი ვეცადე რომ, ჩონგური ამეწყო ნორმალურად, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ეგრეთ წოდებული ჯორი ხან იქით გარბოდა და ხან აქეთ, ვერ გავაჩერე ერთ ადგილზე. ლარები იმდენად უზუსტოდ იყო ჩასმული, რომ წყობას ვერ იჭერდა, მაგრამ ვინაიდან ძალიან ვიყავი სიმღერის ხასიათზე, ჩემთვის ვთქვი გუნებაში, რა მნიშვნელობა აქვს, გინდა ეს მჭერია ხელში, გინდა ჩვენებური გრძელი თონის დედას პური, მეც ავდექი და ჩამოვკარ და ჩამოვაფხაკუნე და შემოვძახე.

ლექსო ამოგთქვომ ოხერო
თორო იქნება ვკვდებოდე
და შენ კი ჩემად სამღერლად
სააქაოსა რჩებოდე.
გიმღედნენ ჩემებრ სწორები
ფანდურის ხმაზე ჰყვებოდე
ქვეყანა მხიარულობდეს.........
და მე საფლავში ვლპებოდე.

სიმღერა არ მქონადა ბოლომდე ჩამთავრებული რომ, მოხუცი ქალბატონი ქოხში იყო შესული, აპირებდა სუფრისთვის კიდევ რაღაც შემოემატებინა, უცბად დავინახე რომ მოხუცი ქალისთვის შეუფერებელი სწრაფი მოძრაობით ის გამოვარდა ქოხიდან, საოცრად ფართე, გახელილი, გაკვირვებული თვალებით, მომიახლოვდა ნელა-ნელა და მეუბნება: შენ, საიდან იცი, მამაჩემის ლექსი? ამ ხმაში იგრძნობოდა, რაღაც განსაკუთრებული სიამაყე და მძიმე სევდაც, მე გავაჩერე დაკვრა, უცებ ვერ მივხვდი, თუ რას მეკითხებოდა, შევუტრიალე კითხვა, ბებიაჩემო ვინ მამაშენი? ხო, მამაჩემი იყო მიხა ხელაშვილი, ეგ ლექსი მამაჩემის ლექსია, მე მოულოდნელობისაგან შოკში ჩავვარდი, უცებ მე გამახსენდა 7 წლის უწინდელი ამბავი, ჰამლეტ გონაშვილთან საუბარი ამ ლექსის შესახებ. სადაც მან მითხრა: ამ ლექს ყავს თავისი კონკრეტული ავტორი, ფშაველი ბიჭი ვინმე მიხა ხელაშვილიო.

ჩემო მკითხველო, არ დაგიმალავთ და გეტყვით, ასეთი განცვიფრებული არასოდეს ვყოფილვარ, მე, რომელიც მთელი ცხოვრება მას შემდეგ რაც ეს

გაგრძელება მე-11 გვ.-ზე



დასაწყისი მე-10 გვ.-ზე

ლექსი წავიკითხე და შევისწავლე ზეპირად, არ არსებობდა სუფრა ან ჩვეულებრივად პოეზიაზე საუბარი, რომ ის მე ზეპირად არ მეთქვას და მე არ ვიცოდი ვინ იყო მისი ავტორი, ყოველთვის ფიქრებში ვიყავი ხოლმე მასთან, ან ჩემთვის, შორეულ და უცნობ ადამიანებთან მაგრამ სულიერად ძალიან ახლოს მყოფთან, მე ხშირად მიფიქრია ხოლმე მასზე ჩემთვის, ნეტავ როგორი ბიჭი იყო, როგორი შეხედულების, როგორ დადიოდა, როგორ ქეიფობდა ან როგორ იგონებდა ლექსებს და როგორ წერდა და ამ დროს სრულიად მოულოდნელად ჩემს წინ დგას ადამიანი, რომელიც მეუბნება, რომ მე ვარ მიხა ხელაშვილის შვილიო, ხომ წარმოგიდგენიათ იმ მომენტისათვის ჩემი მდგომარეობა, მე ჩონგური ნელა დავდე მაგიდაზე, მივუახლოვდი მას, ხელი მოვხვიე, უკვე არა როგორც ჩვეულებრივ ერთ უცხო დედაბერს, არამედ როგორც მიხა ხელაშვილის შვილს შეყვარებული თავის სამშობლოზე და თავის დედაზე, მე აბსოლიტურად განვთავისუფლდი ბახუსისაგან და კიდევ ვეკითხები: ბებო მართლა მიხას შვილი ხარ? რა გქვია ( თამარი მქვია) არ მატყუებ? მან შემომხედა ცრემლიანი თვალებით და ძალიან ნაღვლიანად მეუბნება: ტკვილი რა საკადრისია შვილო, ახლავე გაჩვენებ ის შევიდა ქოხში და რამდენიმე წამში გამოიტანა ჩანთა, ეგრეთ წოდებული აბგა, რომელსაც ჩემს ბავშობაში მოწაფეებს, ვისაც საშუალება არ ჰქონდათ ეყიდათ ჩანთა, მშობლები შეუკერავდნენ ხოლმე, რაღაც სქელი მატერიისგან ან ტყავისგან. მოიტანა ჩანთა და დადო მაგიდაზე. მე დიდი მოწიწებით მოვკიდე ჩანთას ხელი, გავხსენი და შიგ აღმოჩნდა მიხა ხელაშვილის ხელით ნაწერი ლექსები, მოთხრობები, დედასთან მიწერილი წერილები და იმ ლექსის დედანი, რომელიც ესოდენ ძალიან მიყვარს და მიყვარდა: „ ლექსო ამოგთქომ ოხერო“. ასევე აღმოჩნდა ერთი ფოტო სურათი, უკვე გარდაცვლილი მიხა ხელაშვილისა, როგორც აღმოჩნდა დახვრეტის შემდეგ, რომელსაც მძინარეს ესროლეს ტყვიები, ის ტყეში დიდი წიფლის გადაქცეულ ხეზე დააწვინეს სიგრძეზე, თავთით დაუდგნენ ტყავ-კეპკიანი, ჩეკისტები და გადაიღეს სურათი, მათ სახეს რომ დავაკვირდი, გამოკრთოდა მხოლოდ ერთი რამ, მონადირე რომ მოკლავს ნადირს და დასთამაშებთ ღიმილი მოუთმენლობის, რომ ნანადირევი გაიყონ ჩქარა, მაგრამ ამ უბედურებმა არ იცოდნენ თუ ვინ მოკლეს, ისევე როგორც არ იცოდნენ, როგორ მოკლეს ილია ჭავჭავაძე, მათ მხოლოდ ერთი მიზანი აერთიანებდათ, როგორ მოეკლათ საქართველო და დღესაც ბევრნი არიან ასეთები, ვინც ასეთ საქმეს მოაწერენ ხელს. სისწორე გითხრათ ამ ფოტოს ნახვის შემდეგ, რამდენიმე წუთს, ფიქრებში ჩავიძირე და ჩემს გარშემო ვერც ვერაფერს ვხედავდი, ვერც ვერავის ვამჩნევდი, ისევ მოხუცმა დაარღვია დუმილი, შეამჩნია ჩემი განცდა და მიხას მოსაგონარი სადღეგრძელოს თქმა შემომთავაზა, მე დავასხი დოქიდან ღვინო, შევავსე ჭიქები, მაგრამ სანამ სადღეგრძელოს ვიტყოდი მე ვთხოვე მიხას შვილს, ქალბატონ თამარს, რამდენიმე სიტყვით მაინც ეთქვა თუ როგორ დაიღუპა მიხა ხელაშვილი. მიხა ხელაშვილის სახელი იმდენად აკრძალული იყო, ხშირად ეშინოდათ მისი სახელის ხსენებით და თვით მის შვილსაც კი შევამჩნიე ეს კოპლექსი იმდენად ძვალსა და რბილში ქონდა გამჯდარი, თუმცალა ხათრი ვერ გამიტეხა და დაახლოებით მომიყვა, მიხას უკანასკნელი წუთები, ის ჩუმად მეგობრებთან მისულა სახლში, მეგობარს ძალიან გახარებია მისი მისვლა( მეგობრის სახელი და გვარი არ სთქვა) და ხინკლის მომზადება დაუწყია, მაგრამ მიხა ამჩნევდა თურმე მას, რომ ხელები უკანკალებდა და არაბუნებრივად იქცეოდა, ამ დროს მეორე მეგობარიც შემოსულა, ის კი უკვე „ კომკავშირელი“ იყო, შემდეგ დაუწყიათ ქეიფი და აძალებდნენ არაყს, მიხამ ეს ყველაფერი შეამჩნია და უთხრა: ვიცი, დღეს თქვენ ჩემი მოკვლა გინდათ, დავალებული გაქვთ, მაგრამ ერთსა გთხოვთ, კაცურად მოიქცეთ, მაგათი ტყვიით არ მომკლათ და ამოიღო თავისი ტყვია და დაუდო მაგიდაზე. მათ ძალიან შეუცხადებიათ, ერთ-ერთს ტირილიც კი დაუწყია, მიხა, როგორ გვკადრებ მაგასაო, მაგრამ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო, მიხა დაათვრეს, იქვე მიაძინეს და მისი ბავშვობის მეგობარმა, ხელის აუკანკალებლად, მთვრალი მიხა ხელაშვილი მძინარე ჩაცხრილა. მე კარგახანს გაოგნებული ვიჯექი ამ ამბის მოყოლის შემდეგ და იმ თუშის ბიჭთან ერთად, სიტყვის უთქმელად ვცლიდი ჭიქიდან ღვინოს, შემდეგ ქალბატონ თამარს ვთხოვე, რომ ეს ჩანთა გაეტანებინა ჩემთვის, რამეთუ არ დაკარგულიყო, სამწუხაროდ, მან ცივი უარი მითხრა, ამ ჩანთას ის ვერ შეელეოდა — სანამ ცოცხალი ვიქნები, ის ჩემთან დარჩებაო, მე გამოვემშვიდობე მას, გადავკოცნე ერთხელ კიდევ და ვუთხარი, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდი, ვნახავდი ისეთ ვინმეს, ვინც მიხას ამ შემოქმედებას მიხედავდა, ჩვენ დავეშვით დაბლა, ჩვენი მეგობრებისკენ, მზე უკვე კარგა ხანს ამოსული იყო, გარშემო ყველაფერი ბრწყინავდა, მხოლოდ, ვერაფრით ხასიეთზე ველარ მოვედი, ჩემს მეგობრებს, ელდარსა და მურადის აუტეხიათ ერთი ამბავი რომ, ამ ხნის განმავლობაში სად არ მეძებეს და ვერ მიპოვეს. ზუსტად ამ დროს მოვედით, როცა ბჭობდნენ თუ საით მხარესლა ვეძებნეთ. მათ ვერც წარმოიდგინეს, რომ თურმე შეიძლებოდა ჩვენ იმ ჩონგურის სანახავად ვყოფილიყავით ასული, ძალიან მაღალ გორაზე, სადაც ჩონგურთან ერთად ვიპოვე, ბრწყინვალე პოეტის და დიდი ვაჟკაცის მიხა ხელაშვილის შვილი, ქალბატონი თამარი, და ის ჩანთა რომელშიც ინახებოდა მიხა ხელაშვილის უკვდავი შედევრები. მე ჩემს მეგობრებს დაახლოებით მოვუყევი ყველაფერი, მიუხედავად დიდი ხვეწნისა ჩვენ აღარ გავჩერდით იქ, კიდევ პურმარილის გასაგრძელებლად და წამოვედით ქედში, სადაც მანქანა მყავდა ჩემი მეგობრის ეზოში გაჩერებული, მეორე დღეს წამოვედი თბილისისაკენ, მინდოდა მენახა ვინმე, ვინც მიხა ხელაშვილის შემოქმედებას მოაბამდა თავს, მაგრამ მაშინდელ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის გამო ვერავინ დავაინტერესე, ყველა თავის პრობლემებს ჩიოდა, თუმცა ახლახან გავიგე რომ მწერალი გიგი ხორნაულს დაუწერია შესანიშნავი წიგნი მიხა ხელაშვილზე, რაც უთუოდ დიდი საქმეა ამ შესანიშნავი პოეტის უკვდავსაყოფად და მეც პირადად დიდ მადლობას ვუხდი ბატონ გიგი ხორნაულს.

დარწმუნებული ვარ ჰამლეტი რომ შესწრებოდა ყველაფერს ამას, რაც მოგიყევით, დიდად გახარებული დარჩებოდა.

* * *

ერთხელ ბორჯომში, ერთ ჩვეულებრივ ქართულ სუფრაზე ვიყავით მიწვეულნი, ასევე მოწვეულნი იყვნენ ცნობილი პიროვნებები, ხელოვნების მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები და ბევრი სხვა. თამადად გახლდათ ჯანსულ ჩარკვიანი. უნდა გითხრათ, რომ ჩარკვიანი არის ერთ-ერთი უბრწყინვალესი თამადა, საოცარი იმპროვიზაციით მიჰყავდა სუფრა. სიტყვა-სიტყვას ენაცვლებოდა, სადღეგრძელო-სადღეგრძელოს. მართლაც საზეიმო განწყობილება სუფევდა სუფრაზე. შემდეგ ჰამლეტს სთხოვეს, რომ შეესრულებინა „დაიგვიანეს“. მეგობრები, ამ სიმღერას ჰამლეტიმდეც მღეროდნენ, მაგრამ მან დროთა განმავლობაში ისე დახვეწა, ისეთი მელიზმებით შეამკო, ისე ჰქონდა გათვლილი ყველა ბგერა, ყველა სიტყვა, თუ სად უნდა მოემატებინა ხმა, ან სად უნდა დაეკლო, რომ შეიძლება ითქვას, მართლაც უნაკლოდ მღეროდა. განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ხასიათზე იყო. ვეხუმრებოდი ხოლმე, დიმიტრიჩ, რომ დაიბადე ალბათ თან ტიროდი, თან „დაიგვიანეს“ მღეროდი მეთქი. მასაც ეცინებოდა და მპასუხობდა: ნამდვილად არ მახსოვს, ალბათ ასეც იყოო.

ჰამლეტ გონაშვილი, ძალიან ბევრს მუშაობდა თავის თავზე. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, რადიოთი მოვისმინე მისი პირველი ჩანაწერი „დაიგვიანეს“. თუ არ ვცდები, ეს სიმღერა ჩაიწერა 1953-1955 წლებში, როდესაც ის ახალი მისული იყო სახელმწიფო ანსამბლში. აშკარად ეტყობოდა, რომ ის, სრულიად ახალგაზრდა, დამწყები მომღერალი იყო. ძალიან დიდი განსხვავება იყო „დაიგვიანეს“ იმდროინდელ და ახლანდელ ჩანაწერებს შორის. ამიტომ, დამწყებმა მომღერალმა უნდა იცოდეს, რომ რაც არ უნდა კარგი ხმა ჰქონდეს და კარგი მონაცემები, აუცილებლად საჭიროა დიდი მეცადინეობა მიზნის მისაღწევად. დავუბრუნდეთ სუფრას. ჰამლეტს მაინც და მაინც არ უყვარდა, როდესაც სთხოვდნენ სუფრაზე სიმღერის შესრულებას, მაგრამ ამ სუფრაზე ისეთი კარგი განწყობა იყო, რომ ფეხზე ამდგარმა დიდი ემოციით, ძალიან მუსიკალურად და შთამბეჭდავად იმღერა „დაიგვიანეს“. ხალხი ფეხზე წამოდგა და დიდხანს უკრავდა ტაშს. ცხონებულმა ნოდარ დუმბაძემ უთხრა: — ჩემო ჰამლეტ, როდესაც შენ გისმენ, ისტორიის წაკითხვა აღარ მჭირდება, ისედაც შენ ხმაში ყველაფერი იკითხებაო.

* * *

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ალბათ გახსოვთ, კომუნისტურ ეპოქაში რა დიდი ამბით იხდიდნენ ხოლმე ლენინის დაბადების დღეს. და აი, მოახლოვდა ასი წლისთავი მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადისა (ასე უყვარდათ ხოლმე კომუნისტებს გამოთქმა). მოსკოვმა გადაწყვიტა დიდი ზარ-ზეიმით აღენიშნათ მისი იუბილე. ყველა შემავალი რესპუბლიკიდან მოწვეულნი იყვნენ შემოქმედებითი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. საქართველოდან ეს მისია დაეკისრა ანსამბლ „რუსთავს“.

მოსკოვში ყველა ერთი თვით ადრე ჩავედით და დაიწყო მზადება საიუბილეო კონცერტისათვის. რეპეტიციები ტარდებოდა კრემლის ყრილობათა სასახლეში ყოველდღე, დილას და საღამოს. როგორც იქნა მოახლოვდა კონცერტის ჩატარების დღეც. ზუსტად იმ დღეს, რეპეტიციის ჩატარების შემდეგ, გამოვედით ქუჩაში და ფეხით ვაპირებდით წასვლას სასტუმრო „მოსკოვში“, სადაც ვცხოვრობდით. საკმაოდ ყინავდა, მიწაზე გაყინული თოვლი იდო. ჰამლეტი მიდიოდა წინ, ხოლო უკან მივყვებოდით ცხონებული ომარ კელაპტრიშვილი და მე. უცებ ჰამლეტს გაუსხლტა ფეხი და მოსხლეტით დაეცა უკანა მხარეს ისე, რომ ჯიბეებიდან ხელების ამოღებაც ვერ მოასწრო. მე და ომარი მივცვივდით, რომ წამოგვეყენებინა, მაგრამ ის ადგილიდან ვერ იძვროდა. აშკარა იყო, რაღაც მოიტეხა. სახეზე ეტყობოდა, რომ განიცდიდა ძლიერ ტკივილს. ჩვენ სასწრაფოდ გავაჩერეთ ტაქსი, რის ვაი-ვაგლახით შევიყვანეთ ახლო მდებარე რომელიმე საავადმყოფოში. იქ გადაუღეს რენტგენი და აღმოჩნდა, რომ მას მოტეხილი ჰქონდა კუდუსუნის ძვალი. ექიმმა მიგვითითა, რომ აუცილებლად უნდა დაგვეწვინა იქ და ჩატარებულიყო სტაციონალური მკურნალობა, მაგრამ ჰამლეტმა უარი განაცხადა საავადმყოფოში დაწვენაზე, რამეთუ ის ფიქრობდა, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გამოსულიყო კონცერტზე, რადგან სოლოს მღეროდა. მასში იმდენად დიდი იყო პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ვერაფრით დავითანხმეთ ნომრის შეცვლაზე. ექიმმა გააფრთხილა, რომ თანდათან მოემატებოდა ტკივილი და უბრალოდ ვერ შესძლებდა სცენაზე დადგომას. მან კი ექიმს კატეგორიულად უპასუხა, რომ სიცოცხლის ფასადაც რომ დაჯდომოდა, მაინც უნდა ემღერა. ექიმმა ეს მას ფანატიზმად ჩაუთვალა. ერთი სიტყვით, ვერ დავითანხმეთ, რომ დაწოლილიყო. დიდი გაჭირვებით წამოვიყვანეთ სასტუმროში. ყრილობის საკონცერტო დარბაზში ერთი საათით ადრე უნდა მივსულიყავით. ჰამლეტს კიდევ რამდენჯერმე ვთხოვეთ გადაეფიქრებინა კონცერტზე გამოსვლა, მაგრამ ის მაინც მტკიცე უარზე იდგა. იძულებულნი გავხდით ხელში აყვანილი ჩაგვეყვანა ქუჩაში მანქანამდე. აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან სტკიოდა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად მას ერთხელაც არ დაუკვნესია. როგორც იქნა ის თავის ფეხით შემოვიდა ყრილობათა სასახლის სამსახიობო ოთახამდე. დავაწვინეთ დივანზე და ჩავაცვით საკონცერტო კოსტუმი. უკვე იმაზე ვფიქრობდით, რომ არავის შეემჩნია მისი მდგომარეობა. გვტანჯავდა ფიქრი იმაზე, თუ როგორ გავიდოდა სცენაზე. და, აი, მოვიდა ჩვენი სცენაზე გასვლის დროც. მეგობრებო, დღესაც მიკვირს, როგორ შესძლო მან იმ საშინელი ტრამვის შემდეგ სცენაზე გასვლა. ერთი სიტყვით, ის უკვე თავის ფეხით წამოვიდა სცენის კულისებამდე. ანსამბლის ერთი ნაწილი გადავიდა სცენის მეორე მხარეს. დანარჩენები დავრჩით იმავე ადგილზე. იქითა მხრიდან ჰამლეტს გამოჰყავდა ბიჭები. აქეთა მხრიდან მე უნდა გამეყვანა. გამოცხადდა ნომერი და ჩვენც დავიწყეთ მოძრაობა სცენის ცენტრისაკენ. ვხედავ, ჰამლეტი წამოვიდა ჩემსკენ და მე თვალებს არ ვუჯერებ: მოდის ლაღად, სცენისათვის დამახასიათებელი ღიმილით, მას არაფერი ეტყობა ავადმყოფობის. ჩვენ მივუახლოვდით ერთმანეთს, ხალხისაკენ შემოვტრიალდით და მე ჰამლეტს ოდნავ წელზე შევახე ხელი, რამეთუ მას, ერთი ნაბიჯი წინ უნდა გადაედგა როგორც სოლისტს. ხელის შეხებისას ვიგრძენი, რომ მას მთელი სხეული უკანკალებდა, მაგრამ სახეზე არაფერი ეტყობოდა. როდესაც უკნიდან შევხედე, ოფლის მსხვილი წვეთები კეფიდან ნიაღვრად ჩამოსდიოდა პერანგის საყელოში. მან ბრწყინვალედ იმღერა თავისი სოლო, გამოვედით კულისებში. ჩვენ სასწრაფოდ გადავედით სცენის უკნიდან, რომ გვენახა თუ რა მდგომარეობაში იყო ჰამლეტი. მას ჩვენი ბიჭები უკვე ულოცავდნენ, რომ კარგად დამთავრდა ყველაფერი. ის გვთხოვდა, ჩქარა გადაგვეყვანა სამსახიობო ოთახში. როდესაც შევიყვანეთ ოთახში, იგი წამიერად გაითიშა და დავარდა სავარძელზე, თუმცა მალევე მოვიდა გონს. მივეცით გამაყუჩებელი და ვთხოვეთ, რომ ის გადაგვეყვანა საავადმყოფოში, მაგრამ მან, კვლავ, უარი განაცხადა, რამეთუ მეორე დღეს მოვდიოდით საქართველოში.



მე, როგორც ქართველი კაცი, უდიდესი სიამაყითა და პატივისცემით ვიხსენებ ჩვენი დიდი წინაპრების მოწამეობრივ ცხოვრებას, ჯერ კიდევ იმ დროს რამხელა პასუხისმგებლობის გრძნობით იყვნენ შეპყრობილნი და არასოდეს ღალატობდნენ იმ პრინციპებს, ფასეულობებს, ეროვნულ შეგნებებს და კრიტიკულ მომენტში თავის თავზე მაღლა დგებოდნენ და ჩვენ დროს, ჩვენს გვერდით, პირადად ჩემს თვალწინ კაცმა ჩაიდინა ნამდვილი გმირობა, არ უღალატა არც თავის ქვეყანას და არც იმ საქმეს, რასაც ემსახურებოდა და არც დიდი წინაპრების ამაღლებულ სულს. განა ეს გმირობა არ არის? და ამის შესახებ არავინ არაფერი იცის და მისთვის იმდროინდელი მთავრობიდან ერთი მადლობაც არავის უთქვამს. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის ეს საქციელი იყო მაგალითი, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი ქართველი კაცი იმ კრიტიკულ მომენტში, როდესაც საქმე ეხება პირადად შენი და შენი სამშობლოს ღირსებას....

* * *

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ძველი თაობის ხალხს, კარგად ახსოვს ეგრეთ წოდებული რკინის ფარდა. ეს იყო დრო, როდესაც საბჭოთა ხალხს, არ შეეძლო თავისუფალი მოძრაობა საზღვარგარეთ და პირიქით, საზღვარგარეთის ხალხებს თავისუფალი შემოსვლა საბჭოთა კავშირში, თუ განსაკუთრებულ შემთხვევასთან არ ჰქონდათ საქმე. მაგალითად, ხელოვნების ხალხი, სპორტსმენები, ტურისტები და სხვა სპეციალისტები. მაშინდელ ადგილობრივ მთავრობას სპეციფიკური მიდგომა ჰქონდათ მათ მიმართ და რათქმაუნდა არა ყოველთვის. ჩვენც ზუსტად ასეთ შემთხვევასთან გვქონდა საქმე.

1970 წლის გაზაფხულზე მოწვევა მივიღეთ საფრანგეთის ქალაქ კონფოლადან, სადაც ყოველწლიურად ტარდებოდა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი და გვთხოვდნენ მონაწილეობა მიგვეღო ამ ფესტივალში, მაგრამ მაშინდელი საქართველოს პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის რომ არ მიგვეღო მონაწილეობა ამ ფესტივალზე (მიზეზად მოგვიდეს ის, რომ იმ წელიწადს მსახიობი ნუგზარ შარია დარჩა საფრანგეთში და ეშინოდათ, რომ ვინმესთვის ეს ცუდი მაგალითი არ გამხდარიყო), მაგრამ მაშინდელ პარტიულ ნომენკლატურაშიც იყვნენ ეროვნული მუხტის მატარებელი ხალხი და დაარწმუნეს ზემდგომი ორგანოები, ჩვენი წასვლა აუცილებელი იყო ამ ფესტივალზე. ხუმრობა ხომ არ იყო, იმ უძრაობის პერიოდში ანსამბლ „რუსთავს“ იწვევენ დიდ საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად 44 ქვეყანასთან ერთად, სადაც მან უნდა აჩვენოს და მოასმენინოს დიდი ქართული ფოლკლორის შედევრები. როგორც იქნა მივიღეთ ვიზა და გავემგზავრეთ. ანსამბლ „რუსთავისთვის“ ეს იყო პირველი საკონცერტო მოგზაურობა კაპიტალისტურ ქვეყანაში, კერძოდ საფრანგეთის რესპუბლიკაში. ჩვენ იქ გამოვედით ბრწყინვალედ და ანსამბლმა „რუსთავმა“ მოიპოვა ქ. კონფილანის საერთაშორისო ფესტივალის წოდება. ქართულმა სიმღერებმა, ცეკვებმა და ომარ კელაპტრიშვილის მიერ შეკრულმა სალამურმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფესტივალის ორგანიზატორებზე. ფრანგულ პრესაში რანაირი ქებით აღარ მოგვიხსენებიებდნენ. ფრანგ ემიგრანტ ქართველებს თვალზე სიხარულის ცრემლი არ შეშრობიათ. მე ამის შესახებ ვწერდი 2008 წლის 30 იანვრის გაზეთ „ყვარელში“ და კიდევ ერთხელ შეგიძლიათ გადაიკითხოთ.

ფესტივალის ორგანიზატორები გაკვირვებას და კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ, ასეთი მაღალი დონის პროფესიონალიზმის გამო. ფესტივალის დამთავრების შემდეგ, შემოგვთავაზეს ერთთვიანი გასტროლები საფრანგეთის საკურორტო ქალაქებში, სათანადო, სამთავრობო მოლაპარაკების შემდეგ, ყველაფერი დადებითად გადაწყდა და ჩვენ დავიწყეთ მოგზაურობა ქალაქიდან-ქალაქში, ეს ყველაფერი იყო ძალიან დამღლელი. მანძილი ქალაქიდან-ქალაქამდე მერყეობდა 300-500 კმ-მდე, ხშირად 700-800 კმ-მდეც კი. როგორც შემდეგ მივხვდით, იმპრესარიომ კონცერტები მეტი მოგების მიზნით დაგეგმა, ერთი მეორისგან შორს.

და აი, ბოლოს, მივედი იქამდე, რისთვისაც დავიწყე წერა.

ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ანზორ ერქომაიშვილმა გამოაცხადა: — მე ვიცი, ზოგიერთ თქვენგანს ეხერხება ლექსის წერა, მოდით გამოვაცხადოთ კონკურსი, ვინც უფრო კარგ ლექსს დაწერს, პრიზად მოვაგროვოთ თითო ფრანკი. გამარჯვებულად გამოცხადდება ის ლექსი და იმ ლექსის ავტორი, რომელიც მოიპოვებს საერთო მოწონებას. დრო მოგვ-

გაგრძელება მე-12 გვ.-ზე



# შეწყვეტილი სიმღერა

დასაწყისი მე-11 გვ.-ზე

ცა ნახევარი საათი. ზოგმა რა დაწერა და ზოგმა რა, მათ შორის მეც, მაგრამ საერთო მოწონება დაიმსახურა ომარ კელაპტრიშვილის ლექსმა ჰამლეტ გონაშვილზე.

ჰამლეტ გონაშვილს ჰქონდა თავისი ხასიათიდან გამომდინარე ორი გამოკვეთილი თვისება: ის იყო ღრმად განათლებული, ბრწყინვალედ იცოდა საქართველოს ისტორია, შესანიშნავად ერკვეოდა რუსეთ-საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხში, რაზეც ხშირად გვისაუბრია. მე შევსწრებივარ მის კამათს მაღალი რანგის ისტორიკოსებთან. და ხშირად ისინი ჩიხში მოუქცევია, რამეთუ ისინი ხშირად გამოდიოდნენ საბჭოური ისტორიის პოზიციიდან. ჰამლეტს კი საშინლად ეჯავრებოდა ისტორიის დამახინჯება და გაყალბება. ხშირად უკითხავთ: საიდან იცის ამ კაცმა ამდენიო? აგრეთვე ის კარგად ერკვეოდა ბიოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის საკითხებში. როდესაც ჰამლეტი საუბრობდა ამა თუ იმ თემაზე, სიტყვა გაუგრძელდებოდა ხოლმე და აგვიანებდა აზრის დამთავრებას. მეგობრები ხშირად ვეხუმრებოდით და ვახსენებდით რუსთაველის აფორიზმს „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“. ის, კი როგორც ნამდვილი ქიზიყელი, ჯიუტად იდგა თავის პრინციპზე და სანამ არ დაამთავრებდა აზრს, სათქმელს შუა გზაზე არ მიატოვებდა. მოყოლა იცოდა ისეთი საინტერესო, რომ თვალსა და ყურს ვერ მოაცილებდი. მაგალითად, ერთხელ კონცერტის დაწყებამდე, ერთი საათით ადრე ჰამლეტმა წამოიწყო ერთი მეტად საინტერესო ამბის მოყოლა, რომელსაც შემთხვევით თვითონ შეესწრო. გასული საუკუნის 50-იან წლებში, ჰამლეტი, ტურისტულ ბაზაში მუშაობდა ექსკურსიამძღოლად და რუსი ტურისტები წაუყვანია გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად. მოგეხსენებათ, ქართლში, დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული ჭიდაობა, ქალაქის დათვალიერების დროს, ერთ-ერთ ქუჩაზე, რუსული სამხედრო ბაზის ახლოს, ყოფილა საჭიდაო მოედანი. ნახეს, რომ ხალხით სავსე მოედნის შუაგულში იდგა ვეებერთელა ტანის, რუსი გოლიათი მოჭიდავე (როგორც შემდეგ გვითხრა ჰამლეტმა, ის ყოფილა გორში მდგომი, რუსული ბაზის სამხედრო მოსამსახურე) და ელოდებოდა მოწინააღმდეგეს, როცა ჰამლეტმა იკითხა: ვინ უნდა აჭიდაონ ამ გოლიათსო, უპასუხეს: ამ რუსმა სანდრო კანდელაკი გამოიწვია საჭიდაოდო, მაგრამ კანდელაკი არ ჩანდა, იმიტომ, რომ თავისი ზომის საჭიდაო ქვედა ფორმა (ტრუსი) ვერ უშოვეს და ბიჭები გააგზავნეს, იქნებ ქალის დიდი ზომა ქვედა საცვალი მაინც იშოვოთო. მეგობრებო, მე თქვენ ამას ძალიან სწრაფად გიყვებით, თორემ ის კონცერტი ისე ჩავატარეთ, ისე დავბრუნდით სასტუმროში, მისი დამთავრება მაინც ვერ მოასწრო. ყვებოდა საოცარი სიდინჯით, ემოციით, მეტყველებით და აზარტით. ერთი სული მქონდა, ჩქარა დაემთავრებინა, მაინტერესებდა ბოლოს რომელმა რომელი წააქცია. ის კი დინჯად გვეუბნებოდა, ნუ ხართ სულსწრაფებიო, მიუხედავად ჩემი რამდენიმე თხოვნისა, მან მაინც არ მითხრა საბოლოო შედეგი. იძულებული ვიყავი მეორე დღემდე მეცადა და მართლაც, მეორე დღეს კონცერტის დაწყების წინ, ისევ განაგრძო თხრობა, თუ როგოს იშოვეს ქვედა საცვალი, როგორ მოიტანეს ნაძვის წიწვები და დაყარეს მოედანზე, როგორ დაიწყო შერკინება და როგორ მოუგრიხა კისერი სანდრო კანდელაკმა იმ რუს „ურჩხულს“. ამ ყველაფერს გვიყვებოდა დეტალებში და ისე გავერთეთ მისი მოსმენით, რომ ჩვენი ნომერი გამოგვეპარა და სცენაზე დაგვიანებით შევედით, რისთვისაც დიდი საყვედური მივიღეთ. ბოლოს, როგორც იქნა დაამთავრა თხრობა და ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ, რამეთუ სანდრო კანდელაკმა გაიმარჯვა.

მისი მეორე თვისება იყო ის, რომ ყველგან აგვიანებდა. მის ამ თვისებაზე, არაკებიც კი დადიოდა ქალაქში. ამ გამორჩეული თვისებების გამო, ის კიდევ უფრო მეტად უყვარდა ხალხს. ეხლა მინდა, ის დაპირებული ლექსი დაგიწეროთ, რომელიც ექსპრონტად უძღვნა ომარ კელაპტრიშვილმა:

თვით ტიტო გობის და
კარუზოს შეშურდებოდა,
შენი ხმის ტემბრი და სილამაზე,
კაცო კაცურო, ტკბილმოუბარო,
სიტყვაძვირო და გასაოცარო,
ახ, თვითმფრინავზე დამაწია და
ამბობს ჰამლეტი არაგვიანი,
ვით ჭიანჭველას, თავის ძმობილსა
ისე ჩაუგდეს, თოკი ტიალი.
და ამის შემდეგ, ამის ჩამდენი
ჰამლეტი მისვლას კვლავ აგვიანებს,
ეხლა კი ვხვდები, რომ ასე კარგად
თუ რატომ მღერი „დაიგვიანეს“.

რა თქმა უნდა, ამ ყველაფერმა საერთო მოწონება დაიმსახურა, ჯილდო ომარ კელაპტრიშვილმა გამოიყენა იმაში, რომ საღამოს კონცერტის დამთავრების შემდეგ, წითელი ფრანგული ღვინით ერთმანეთის სადღეგრძელოებს ვსვამდით.

* * *

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მე ბევრი რამის გახსენება ველარ შევძელი, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია. მისი პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტის დასახასიათებლად, და რაც გავიხსენე და დავწერე, მხოლოდ იმიტომ, რომ უსაზღვროდ მიყვარდა ჩემი უფროსი მეგობარი. ამდენი ხანი გავიდა მისი გარდაცვალებიდან, დღესაც ვერ მოვიშორე მისგან გამოწვეული ტკივილი. ის დაკარგა არა მარტო მისმა ოჯახმა, არამედ მთელმა საქართველომ. მას ბევრი სიმღერა დარჩა, რომელიც უნდა ემღერა, მაგრამ მუხთალმა წუთისოფელმა არ დააცადა.

1985 წლის ივლისში დავბრუნდით ლენინგრადიდან. გეგმიური კონცერტების ჩასატარებლად უნდა წავსულიყავი კახეთში. ჩამოსვლისას დამხვდა ცუდი ამბავი, ჩემს ახლობელს უნდა გავყოლოდი მოსკოვში, ონკოლოგიის ცენტრში, ოპერაციის გასაკეთებლად, ამიტომ, კახეთის მაგივრად მომიწია მოსკოვში წასვლა.

„რუსთავმა“ კონცერტები დაიწყო. საგარეჯო, გურჯაანი, თელავი და ბოლო კონცერტები ჩაატარა ყვარელში. ჰამლეტს თან ახლდა სტუმრები მოსკოვიდან, ცოლ-ქმარი პროფესორები მედიცინის დარგში. საღამოს როგორც გადმომცეს, ყვარლელებმა კარგად აქეიფეს. ჰამლეტს კარგად მოულხენია. მე არ მახსოვს, რომ მას ეცეკვოს, უცეკვია კიდეც და გვიან ღამე თავისი მანქანით (02 მარკის ჟიგულით) დაბრუნებულა ანაგაში.

გათენდა 1985 წლის 25 ივლისი. დილის საუზმის შემდეგ, მანქანაში დაიწყეს ბარგის ჩალაგება, უნდა დაბრუნებულიყვნენ თბილისში. ჰამლეტმა მანქანა დაქოქა გასახურებლად, ბედისწერამ, ზუსტად აქ, თავის ეზოში, სადაც ფეხი აიდგა, სადაც პირველად დაირწა მისი აკვანი, საიდანაც უყურებდა ყვარლის ულამაზეს მთებს, რომელიც მედიდურად დაჰყურებს ალაზნის ველს, სადაც ხშირად უოცნებია საქართველოს მომავალზე. ბედისწერამ ზუსტად აქ დაარღვევინა ის წმინდა სისხლი, რომელიც მის ძარღვებში ჩქეფდა. რამდენიმე დღით ადრე, მეზობელს უთხოვია დეიდა მარგოსთვის, შენმა ლეღვის ტოტებმა ძალიან დამიჩრდილა ჩემი ნათესები და ჰამლეტი რომ ჩამოვა, იქნებ შეაჭრევინოო. დეიდა მარგომ ამის შესახებ უთხრა ჰამლეტს, მაგრამ ხან ვერ ჩამოვიდა, ხან დაავიწყდა, საბედისწეროდ ახლა გაახსენდა. იფიქრა, სანამ მანქანა გახურდება, შევაჭრი ტოტებსო. აიღო წალდი, კიბით ავიდა ტერასაზე. მოგეხსენებათ ანაგა მთაგორიანი ადგილია, ტერასას სიმაღლე იქნებოდა დაახლოებით სამი მეტრი და დაიწყო ასვლა ტერასის ნაპირზე გამავალ ბილიკზე, რომელსაც თან ასუფთავებდა გადმოშვერილი ტოტებისგან. ეს ბილიკი მიდიოდა მეზობლის ღობესთან, სადაც უნდა მოეჭრა ლეღვის ტოტები. ბილიკი ნახევრად არ ჰქონდა გავლილი, რომ მოესმათ მეზობლის ხმა, რომელიც ღობესთან უცდიდა ჰამლეტს. მარგო, მარგო, ჰამლეტი გადმოვარდა ტერასიდან. ამ ყვირილზე ყველა მოვიდა და ნახეს, რომ ჰამლეტი ცოცხალი აღარ იყო. ის სისხლში ცურავდა, არავინ არ იცის მას რა დაემართა. როგორც ფიქრობდნენ ფეხი დაუცდა და ქვევით წამოვიდა სახით. ტერასიდან მეტრნახევარში იყო ძველი ხის მონაჭრელზე მიმაგრებული მის მიერ ჩარჭობილი ჩვეულებრივი რკინა. ზუსტად ამ რკინაზე, მარცხენა მკერდით დაესო და გადაეჭრა არტერია, რომელიც გულს ამარაგებს სისხლით. წამიერად მან შეძლო განთავისუფლება, ის გვერდზე გადაწვა, მაგრამ ისე დალია სული რომ სიტყვაც ვერ სთქვა. მე შემდგომში, სპეციალურად ჩავედი ანაგაში, გულდასმით დავათვალიერე ყველაფერი, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, ასჯერ რომ გადმოვარდნილიყავი იქიდან, ზუსტად ასე, დამიზნებით, ალბათ გაგიჭირდებოდა იმ ადგილზე მკერდის შეხება, რითაც ჰამლეტი დაეცა. რუსმა პროფესორმა ცოლ-ქმარმა სცადეს რაღაც გაეკეთებინათ, მაგრამ ის უკვე მთლიანად სისხლისგან იყო დაცლილი. ჩემო მეგობრებო, მე ძალიან მიჭირს ამაზე წერა, მაგრამ ჩემი თავი ჩავთვალე ვალდებულად, მისი გარდაცვალება ზუსტად ისე დამეხატა, როგორც იყო... იმიტომ, რომ ხალხში გაბნეულია მცდარი აზრი, თითქოს ხიდან გადმოვარდა.

როდესაც ილია ჭავჭავაძეს მიასვენებდნენ მთაწმინდაზე, მისი ცხედარი შეაჩერეს იმ ადგილას, სადაც ავადმყოფი აკაკი წერეთელი ცხოვრობდა სასტუმროში. აკაკი წამოდგა ლოგინიდან, გავიდა აივანზე და რამდენიმე სიტყვა უთხრა ილია ჭავჭავაძეს და ბოლოს დაამატა: — სანამ საქართველო იარსებებს, შენც მასთან ერთად უკვდავი იქნებიო!

მეც ასე მინდა ვუთხრა ჩემს აწ გარდაცვლილ, უფროს მეგობარს: — სანამ იქნება საქართველო, სანამ იარსებებს ქართული ხალხური სიმღერა, მანამ იარსებებს „ჩაკრულო“, „მრავალჟამიერი“, „დაიგვიანეს“, „ურმული“, „ოროველა“, მანამ იქნება ჰამლეტის ხსოვნა! გავა დრო, მოვლენ ახალი თაობის მომღერლები და ღრმად ვარ დარწმუნებული, ჰამლეტის ხმა და მისი ნამღერი ხალხური სიმღერა, მათთვის ყოველთვის ეტალონად დარჩება. ცხონდეს მისი სული, ღმერთმა გაანათლოს იმ ქვეყნად!

* * *

ჰამლეტ გონაშვილს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მშვენიერთა სქესის მიმართ, მას მამაკაცური ღირსებით უყვარდა ქალები. როდესაც საუბრობდა ქალთა ფენომენზე, ყოველთვის ხაზს უსვამდა, როგორც ბუნების საოცარ ქმნილებას. და ამბობდა: — ისე ლამაზად და ფერწერულად ვერავინ ხატავს ქალს, როგორც ეს შეუძლია ბუნებასო. განსაკუთრებით, გარეგნულ სილამაზესთან ერთად ხაზს უსვამდა ქალის შინაგან კდემამოსილებას. ასეთ ქალად მას საქართველოში მიაჩნდა, ულამაზესი ქართველი ქალბატონი, შესანიშნავი მსახიობი მედეა ჯაფარიძე.

ჰამლეტი ძალიან მოსწონდათ ქალებს და ვიცი, რომ მას ჰქონდა სასიყვარულო, სათავგადასავლო ფლირტებიც, მაგრამ ჩვენი მრავალწლიანი ურთიერთობის მანძილზე მიუხედავად იმისა, რომ მე მასთან ძალიან ახლო ვიყავი, არასოდეს არ მახსოვს, რაიმე ინტიმურ კავშირზე ესაუბროს. მოგეხსენებათ, მამაკაცებს გვიყვარს ტრაბახი. თვლიდა, რომ ღირსეულმა კაცმა ასეთ თემებზე არ უნდა ისაუბროსო.

ერთხელ, ჯერ კიდევ სანამ დაოჯახდებოდა, კარგა ხნით ადრე, მარჯანიშვილის თეატრის მოპირდაპირე მხარეს უნივერმაღში, რაღაცის საყიდლად შევედი, უცბად, იქ მოფუსფუსე ხალხში, თვალი მოვკარი ჰამლეტს, ვილაც მშვენიერ ქალბატონთან ერთად. მე შეგნებულად თვალი მოვარიდე, ისე რომ მას არ დავუნახივარ. ქუჩაში გამოვედი, რამეთუ უხერხულობაში არ ჩამეყენებინა, რამდენიმე დღის შემდეგ გადავწყვიტე, რომ გავხუმრებოდი. უნდა გითხრათ, რომ მასთან „წარამარა“ ხუმრობას ვერავინ გაბედავდა. ზედმეტად არც არავის მისცემდა ამის უფლებას. თუმცა, სხვასთან მიმართებაში, ყოველთვის ზომიერი იყო. მე ვეკითხები ჰამლეტს, ოდნავ, ნიშნის მოგებით, იუმორნარევი ღიმილით, ჩემო დიმიტრიჩ, ვინ იყო ის ლამაზი ქალბატონი, ორი დღის უკან, უნივერმაღში რომ დაგვყვებოდა? მან გამომცდელად შემომხედა, ცალი წარბი მაღლა ასწია, როგორც იცოდა ხოლმე და ოდნავ გაწითლებული მპასუხობს: სად? როდის? ის ჩქარა მიხვდა ყველაფერს და ასევე იუმორით მპასუხობს: რა ყმაწვილო, იმ უნივერმაღში, ჩემს მეტი ვერავინ დაინახე? ჩემო დიმიტრიჩ, იმ მომენტისთვის იქ მხოლოდ შენ და ის ქალბატონი ჩანდით. — ყმაწვილო, შენ მოლასი იცი? ჩემო დიმიტრიჩ, მოლას ამბავი მე, ძალიან ბევრი ვიცი! — ხოდა თუ იცი, მოლას უთხრეს: მოლა, ამ წუთას ტაბაკით ღვეზელები ჩამოატარეს, მოლა პასუხობს: მერე მე რაა, იქნებ შენთვის მოჰქონდათ, მერედა შენ რაა,... და დააყოლა, ამდენ ხალხში, რაღაცა მაინცდამაინც მე დამინახე?! მეც მოლა მოვიშველე: დიმიტრიჩ, მოლა ზის მეჩეთის წინ და კრიალოსანს მარცვლავს, უცბად მოლას მივარდა პატარა შეშინებული ბიჭი და ეუბნება: მოლა დამმალე სადმე, მოსაკლავად მომდევენ, მოლამ უთხრა, აგერ, შედი მეჩეთში და დაიმალე, იქ არავინ შემოვაო. მართლაც, გავიდა რამდენიმე წუთი და შეიარაღებული ხალხი მიადგა მეჩეთთან მჯდარ მოლას, აქ პატარა ბიჭი ხომ არ დაგინახია, მოლა პასუხობს: მე ბრმა ვარ, ვერაფერს ვხედავო. მოლას პასუხს არ დაუცადეს და დააპირეს მეჩეთში შესვლა, მოლამ შეუძახა. ე...ე... სად მიდიხართ? მანდ არავინ არ არის! ისინი მოტრიალდნენ უკან და მოლას ეკითხებიან, მოლა, აკი თუ ბრმა იყავი? მოლა პასუხობს: თვალები ჩემია, მინდა დავინახავ, მინდა არა? ჰამლეტს, ძალიან მოეწონა ჩემი მოსწრებული პასუხი და მრავალმნიშვნელოვნად, ტუჩებზე თათის მიდებით, უსიტყვო გაფრთხილება მივიღე. მე, კიდევ უფრო გამეცინა და ვეუბნები. ისე გაფრთხილებ, თითქოს რაიმე დანაშაული ჩაგედინოს. შევამჩნიე, რომ კარგ ხასიათზე დადგა და ვეუბნები, დიმიტრიჩ, ღვეზელივით ქალი კი იყო, მაგრამ ღვეზელის ჭამას ნამდვილად ჯობდა მეთქი. მან მსუბუქად ხელი წამომიქნია კისერში, ხმა უფრო დაიბოხა და მეუბნება: ყმაწვილო შენთვის ასეთი რამეები, ჯერ კიდევ ადრეაო. მეგობრებო, არ დაგავიწყდეთ და მე მაშინ უკვე 23-24 წლის ბიჭი ვიყავი.

ჰამლეტი, ქალებთან ურთიერთობის დროს იყო საოცრად დახვეწილი, მოკრძალებული, ინტელიგენტური. უნდა გენახათ, რა ფაქიზად იცოდა ქალებთან ხელზე ამბორი, განსაკუთრებით, ახლად გაცნობილ ქალბატონზე. ვერ იტყოდით, რომ ეს კაცი, სოფელში დაბადებულ-გაზრდილი იყო. თუმცა, როდესაც გავიცანი მისი მშობლები, ჩემთვის ნათელი გახდა, მამაც და დედაც ზედმიწევნით განათლებული, ინტელექტუალური ხალხი იყვნენ და რა თქმა უნა, შვილებიც ასე აღზარდეს.

1970 წ. საფრანგეთში ვართ მიწვეული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე. ფესტივალის დამთავრების შემდეგ, კონცერტები გავმართეთ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. ერთ-ერთ პატარა ქალაქში, სასტუმროს მაგივრად, მასპინძლებმა შემოგვთავაზეს ოჯახებში გაგვეთია ღამე. დაგვანაწილეს ორ-ორი კაცი. ბუნებრივია, ჩვენც გამოგვიჩნდა მასპინძელი, ახალგაზრდა 30-35 წლის ფრანგი ცოლ-ქმარი, რომელთაც ჰყავდათ, ერთი გოგონა, 10-12 წლის მშვენიერი სოფი. მისი სახელი ახლაც მახსოვს. ჩვენ მას ვაჩუქეთ საჩუქრები, ჩვენი ეროვნული ნიშნით, რამაც ძალიან გაახარა ფრანგები. კარგი მასპინძლობა გაგვიწიეს, მოგვართვეს მთლიანი შემწვარი ინდაური, რაღაც ფრანგული საწებლით, რომელიც ძალიან გემრიელი იყო და წითელი ღვინო. ვერ გეტყვით რომ ჩვენ ქინძმარაულს ჯობდა, მაგრამ სასიამოვნო დასალევი იყო. მე და ჰამლეტმა მშვენივრად მოვულხინეთ, ბევრი ვიმღერეთ, ვიმხიარულეთ და ვამხიარულეთ მასპინძლებიც. მოგეხსენებათ, ჩვენი ქართველი ხალხური მრავალხმიანი სიმღერა, ბანის გარეშე წარმოუდგენელია. ჰამლეტი შეეცადა, რომ ჩვენი მასპინძელი ფრანგისათვის ესწავლებინა „წინწყაროს“ ბანი. მხოლოდ ერთხელ უმღერა მას, ჩვენდა გასაკვირად, ფრანგმა მასპინძელმა უშეცდომოდ გაიმეორა და იმღერა ჩვენთან ერთად. მე და ჰამლეტი გაკვირვებული ვუყურებდით ერთმანეთს, როგორც გაირკვა, ის აღმოჩნდა პროფესიონალი მუსიკოსი, პედაგოგი, რომელიც ასწავლიდა ქალაქის მუსიკალურ კოლეჯში. დილით ავდექით, ჩვენი მასპინძელი, რომლის სახელიც აღარ მახსოვს, უცდიდა ჩვენს გაღვიძებას, ისევ მიგვიწვია სუფრასთან, დაგვალევინა, კარგი ფრანგული კონიაკი, ყავა, ჩაი, შემოგვთავაზა ფრანგული ფუნთუშეული, რათაც მართლაც მადლობები დავრჩით და მოვემზადეთ წასასვლელად, ქალაქის ცენტრისკენ, სადაც გვიცდიდა ჩვენი ავტობუსი. მასპინძლებმა გამოგვაცილეს ქუჩამდე, სათითაოდ ჩამოვართვით ხელი, გადავკოცნეთ, განსაკუთრებით მოვეფერეთ პატარა სოფის, მან გადაგვილო სამახსოვრო სურათები. ამ დროს, ვხედავ, ამ მშვენიერ მასპინძელ ქალბატონს, თვალები აქვს ცრემლებით სავსე, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რამეთუ, ჩემი თაობის ახალგაზრდობა, იმდენად ვიყავით საბჭოური, იდეოლოგიის წნეხის ქვეშ, არ მეგონა, კაპიტალისტურ სამყაროში, მცხოვრებ ადამიანს, ტირილი ან შებრალება თუ შეეძლო. ჰამლეტი მივიდა მასთან და ხელზე ემბორა, ქალბატონი ჩამოეკიდა კისერზე და პირდაპირ, ყოველგვარი მორიდების გარეშე დაუწყო მას კოცნა. მე ძალიან დავიბენი. ვუყურებ ხან ამ ქალის ქმარს, რა რეაქცია ექნება, ხან ამ ქალბატონს, რომელიც თავდავიწყებით კოცნის ჰამლეტს, თან ტირის. თვითონ ჰამლეტიც ჩავარდა უხერხულობაში, ცდილობს მალე დამთავრდეს ეს მოულოდნელი კურიოზი. მოგეხსენებათ, ქართველი კაცისთვის ცოტა მიუღებელია სხვისი ცოლისგან მოფერება, ქმრის თანდასწრებით, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ფრანგი მასპინძელი, საოცარი სიმშვიდით ეწევა სიგარეტს, გაღიმებული, გაბადრული სახით უყურებს ამ სცენას. ალბათ, შეიძლება კიდეც ფიქრობდა გუნებაში, ოღონდ ეს ქალი წაიყვანეთ და მადლობასაც გეტყვითო. მართლაც არ ვიცი, ის კაცი, იმ წუთას რას ფიქრობდა, მაგრამ ერთი სული გვქონდა, როდის დავემშვიდობებით ამ ხალხს. როგორც იქნა დავემშვიდობეთ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადეთ ყველაფრისთვის და დავიწყეთ მოძრაობა ამ პატარა, ლამაზი ქალაქის ცენტრისკენ, სადაც ავტობუსი გველოდებოდა. ჰამლეტს სახეზე ეტყობოდა, რომ საკმაოდ უხერხული მდგომარეობა გადაიტანა, მე კი სიცილს ძლივს ვიკავებდი.

**ავტორი ირაკლი მათიკაშვილი**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## მილოცვა

### ქალბატონ მარინე ბაწილაშვილს!

ალმატის საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ მარინე ბაწილაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

**პატივისცემით ალმატის საჯარო სკოლის პედკოლექტივი**

# გაერო-ს ეზოში ქართული ქვევრი განთავსდა

ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში ქართული ქვევრის განთავსების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

იუნესკო–ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეყვანილი ქვევრი, საქართველოს მთავრობამ გაერო–ს ორგანიზაციის დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით უსახსოვრა.

ჟენევაში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მიხეილ ჯანელიძემ და გაერო–ს გენერალურმა დირექტორმა მიხაელ მიოლერმა. ღონისძიებას ესწრებოდა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩუსი.

„მოხარული ვარ, რომ საქართველოს კულტურული იდენტობის და უძველესი ტრადიციის ამ ელემენტმა გაერო–ში დაიდობინა, როგორც საქართველოს ხელისუფლების საჩუქარმა ორგანიზაციის დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით.საქართველო ღვინის აკვანია, ქვევრით ღვინის დაყენებას კი ჩვენს ქვეყანაში 8000 წლის ტრადიცია აქვს“ — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

ღონისძიების ფარგლებში გაიხსნა მემორიალური დაფა, რომელიც ქვევრთან განთავსდა და დამთვალიერებელს ინფორმაციას აწვდის ძეგლის წარმოშობის შესახებ.

ღონისძიების ფარგლებში სტუმრებისთვის გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია. ასევე მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმის „ღვინის გზა“ ჩვენება. დამთვალიერებელს ქვევრის ისტორიისა და საქართველოში ღვინისწარმოების შესახებ სამახსოვრო ბროშურები გადასცეს.

# როგორ მოვიქცეთ ხანძრის დროს

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოს მასშტაბით დაფიქსირებული ხანძრების რაოდენობა გაიზარდა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2011 წელს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 8 160 ხანძარი დაფიქსირდა, მაშინ როდესაც 2015 წელს მსგავს შემთხვევათა რაოდენობამ 14 440 შეადგინა. რაც შეეხება ხანძრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობას, 2011 წელს დაიღუპა 45 ადამიანი, 2015 წელს კი 67.

ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა თბილისში დაახლოებით, ათი დღის წინ მოხდა, როდესაც ოსეთის ქუჩაზე გაჩენილ ხანძარს მამაკაცი ემსხვერპლა.

როგორ უნდა მოვიქცეთ ხანძრის დროს და რა უნდა გავითვალისწინოთ იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევების დროს, ტრაგიკული შედეგები მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ?

კატასტროფის შედეგები შესაძლოა, გაცილებით მცირე იყოს იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობა კარგად ინფორმირებული იქნება და ეცოდინება პრევენციის მეთოდები.

**რჩევები, რომელიც ხანძრის დროს უნდა გავითვალისწინოთ:**

- თუ ღამე შენიშნეთ ხანძარი და არ გაქვთ სახანძრო სიგნალიზაცია, მიირბინეთ ფანჯარასთან ან გაიქეცით სადარბაზოში და დაიძახეთ „ხანძარია“! შეიძლება გამოიწვიოს ხანძრის გავრცელება.
- მზად იყავით ცეცხლისგან და კვამლისგან თავის დასაცავად, თუ არის დრო ჩაიცვით სქელი ქურთუკი და სქელძირიანი ფეხსაცმელი; პირზე და ცხვირზე აიფარეთ სველი ნაჭერი ან პირსახოცი.
- ხანძრის დროს არასდროს ისარგებლოთ ლიფტით, რადგან კვამლი ადვილად აღწევს ლიფტის შახტაში და კაბინაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ლიფტში მყოფების გაგუდვა.
- თუ ცეცხლი უშუალოდ თქვენ არ გემუქრებათ (ხანძარი თქვენს ბინაში არ არის), მაშინ თქვენთვის ყველაზე უსაფრთხოა თქვენსავე ბინაში დარჩენა. კვამლის შეღწევის თავიდან ასაცილებლად დაკეტეთ კარები, ფანჯრები და ნაპრალები ამოქოლეთ სველი პირსახოცით.
- თუ გარეთ კვამლი არ დგას – გადით აივანზე, გამოიკეტეთ კარი და დაელოდეთ დახმარებას.

**როგორ ავიცილოთ თავიდან ხანძარი? დაიცავით შემდეგი წესები:**

- გაიტანეთ ადვილად აალებადი საგნები – ძველი ჟურნალები, საღებავის კონტეინერები, გამხსნელები, ძველი ავეჯი და სხვა ნივთები, რომლებიც ინახება სარდაფში, ავტოფარეხში,



სხვენში და ა.შ.

- გააღვიძეთ ოჯახის წევრები და მეზობლები.
- დარეკეთ 112-ზე და მიაწოდეთ მკაფიო ინფორმაცია ხანძრის ზუსტ ადგილზე: მისამართი, სართული და ბინის ნომერი.
- თუ ხანძარი გაჩნდა თქვენი ბინის მხოლოდ ერთ ოთახში დახურეთ კარი და გამორთეთ შუქი. გამოიძახეთ სახანძრო დახმარება და მოახდინეთ თქვენი ოჯახის წევრების ევაკუაცია. მცირე ხანძრის შემთხვევაში სცადეთ მისი თვითონვე ჩაქრობა.
- ძლიერი ხანძრის დროს, დატოვეთ ბინა და დაკეტეთ ყველა ფანჯარა და კარები, რადგან ბინაში სუფთა ჰაერის ნაკადის შესვლა ხელს შეუწყობს ცეცხლის სწრაფ გავრცელებას.
- ევაკუაციის დროს აუცილებელია ოჯახის ყველა წევრი შეგროვდეს ერთ ოთახში და მხოლოდ ყველას შეგროვების შემდეგ დატოვეთ ბინა.

**გახსოვდეთ!** არ გამოიყენოთ წყალი აალებული ელექტროგაყვანილობის და ელექტროხელსაწყოების ჩასაქრობად, რადგან აღნიშნულმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს დენით დაზიანება. ბენზინის და ნავთობპროდუქტების ჩასაქრობად, რადგან ისინი ექცევიან წყლის ზედაპირზე და ამიტომ აღნიშნულმა მცდელობამ შე-

- რეგულარულად მოაწესრიგეთ და არ ჩახერგოთ სახანძრო კიბეები და გასასვლელები, რადგან უმეტეს შემთხვევებში ისინი წარმოადგენენ თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების გადარჩენის ერთადერთ გზას.
- შეამოწმეთ თქვენი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის: ცეცხლმაქრების, სახანძრო სახელოების (შლანგები), ჰიდრანტების გამართულობა და გქონდეთ ისინი სამუშაო მდგომარეობაში.
- ისწავლეთ თქვენ და ასწავლეთ თქვენი ოჯახის წევრებს ცეცხლმაქრის სწორად გამოყენება, რადგანაც ხანძრის შემთხვევაში არ გექნებათ ინსტრუქციების კითხვის დრო
- ასწავლეთ ბავშვებს ხანძრის შემთხვევაში დარეკონ 112-ზე.
- შენობაში ხანძრის შენიშვნისას ან კვამლის არსებობისას დაუყოვნებლივ დარეკეთ სახანძრო-სამაშველო სამსახურში და არავითარ შემთხვევაში არ იფიქროთ, რომ ეს უკვე სხვამ გააკეთა.
- არასდროს გადააგდოთ ჩაუმქრალი სიგარეტი ფანჯრიდან ან აივნიდან, რადგანაც არსებობს თქვენს ქვემოდ მდებარე ბინის ოთახში ან აივანზე მისი მოხვედრის და ხანძრის გამოწვევის დიდი ალბათობა.

# ილია ჭავჭავაძე გენდერული თანასწორობის შესახებ



**ქალთა თანასწორობა**

ერთს დროს დიდი და გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდა ევროპიის ლიტერატურას და ნამეტნავად რუსეთისას ეგრეთწოდებულ „დედათა ემანსიპაციის თაობაზედ. მომხრენი ამ საქმისა ჰხედავდნენ, რომ ეხლანდელი ურთიერთობა მამათა და დედათა სქესისა ვერ არის სამართლიანად მოწყობილი და აშენებულია უმართლო მოძღვრებაზედ, ვითომ დედაკაცი მამაკაცთა ტყვე და მონა არისო და ამის გამო ბევრში უფლებას თავისუფალის ადამიანისას მოკლებულიაო. ამის მიხედვით დაჩაგრულთა დედათა მომხრენი სწერდნენ და ჰქადაგობდნენ, რომ ქალებს უნდა მიენიჭოთ ყოველივე უფლება, რაც მამაკაცთა აქვთ მინიჭებული, ასე რომ ამ ორ სქესთა შორის ურთიერთობა სამართლიანის თანასწორობით დადგენილ იქმნას კაცთა ცხოვრებაშიო.

ბევრი კარგი რამ ითქვა ამაზედ, ბევრი საბუთიანი „ჰო“ და „არა“ გამომჟღავნდა და ბევრიც უქმი, წინდაუხედავი სიტყვა დაიხარჯა. მაინცდამაინც საბუთი აქვს კაცს სთქვას, რომ ეს საგანი საკმაოდ გამორკვეულია დღეს და თეორიულად მრავალკეცად და გონებადასმით გარჩეული და გაჩხრეკილი. ჩვენ ეს ბუნება და ისტორია ამ ფრიად საყურადღებო საქმისა აქ დღეს ორიოდე სიტყვით მოვიხსენიეთ, იმიტომ რომ აზრად არა გვაქვს ამ საგნის ბუნება და ისტორია დაწვრილებით გამოვიკვლიოთ.

ჩვენ მარტო ის გვინდა ვსთქვათ, რომ ამ თეორიულად საკმაოდ კარგად გარჩეულმა საქმემ საზოგადოების ყურამდე სრულის სავსებით ვერ მიაღწია. ბევრს კაცსა, თუ ქალსა ჰგონია დღესაც რომ აქ მარტო იმაზეა ლაპარაკი, ვითომც ამ ემანსიპაციის საქმეში სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ქალთა, თუ დედათა მხოლოდ უფლება მიენიჭოთ და იმას კი აღარავინა ჰფიქრობს, რომ არ არის არც ერთი იმისთან უფლება კაცთა ურთიერთობაში, რომელსაც არ მოსდევდეს მოვალეობაცა. მართალია, მამაკაცს ეხლანდელს ცხოვრებაში ბევრი იმისთანა უფლება აქვს, რომელიც სამართლიანად ქალსაც ეკუთვნის, მაგრამ მამაკაცი ამასთანავე მსახურია სახელმწიფოსი, ქვეყნისა, საზოგადოებისა, ოჯახისა და ყოველგვარი მძიმე ტვირთი ადამიანთა რთულის ცხოვრებისა კისრად ადევს. დღეს ქალები რომ იძახიან, — მოგვეცით უფლებაო, ეს ძახილი თუმცა სამართლიანია, მაგრამ ჰრჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა: იმიტომ რომ ყველანი ჰხედვენ, რომ ქალები ბევრწილად უქმნი და უვარგისნი არიან იმ მოკლედ შემოხაზულ წრეშიაც კი, რომელშიაც დღეს იმყოფებიან, და იმ მცირეოდენს მოვალეობასაც ვერ უძლვებიან, რაც დღეს მიზომილი აქვთ საზოგადოებასა, თუ ოჯახობაში.

ეს დღევანდელი უქმობა და უვარგისობა ქალებისა ხელზედ დახვეული აქვთ ყველას, ვინც კი დედათა ემანსიპაციას არ ემხრობა და ეწინააღმდეგება. თითო-ოროლა მაგალითი საქმითა და გამჭრიახობით გამოჩენილ ქალებისა ამ წინააღმდეგობის საბუთს ბევრს არას არღვევს. ამ მაგალითებს მარტო ბედნიერ შემთხვევად სთვლიან და უფროს-ერთს ქალზედ კი ისევ ის უვარგისობის აზრი ჰრჩება.

ამერიკაში იგრძნეს ქალებმა, რომ ეს ასეა და სამართლიანის ემანსიპაციის მოსაპოვებლად იმას აღარა სჯერდებიან, რომ იძახონ: უფლება მოგვეცითო. იმათ უფრო უკეთესი სახსარი, უკეთესი გზა ამოურჩევიათ. იმათ უფიქრნიათ, რომ ქვეყანას უნდა დავანახვოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან რადმე ყოფნა ქვეყანაზედ, ჩვენც შეგვიძლიან ყველა მოვალეობას ადამიანისას გავუძღვეთ, ჩვენც შეგვიძლიან არამც თუ ხელით გარჯა, შრომა, საქმის კეთება, არამედ გონებითაც, ჭკვითაც და არც ერთსა და არც მეორეში მამაკაცს არ ჩამოვუვარდებითო. ამ პატიოსანს გაზრახვას შესდგომიან და, როგორც ჰნახავთ, საკვირველის ძლევამოსილობითაც შეუსრულებიათ.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ საოცარს ამბებს, ერთის გერმანულის ჟურნალიდამ ამოკრებილს. ამ ამბების მიხედვით უტყუარად გამოარკვევს კაცი თუ, რის შემძლებელი არის ქალი და რა მონაწილეობას ჰღებულობს იგი ამერიკაში საზოგადო ცხოვრების წარსამატებლად და რარიგად ეცილება მამაკაცს ცხოვრების მოედანზედ, სატეხნიკო სარბიელზედაც კი. ეს ამბები მით უფრო საკვირველია, რომ ქალის გამჭრიახობასა და შემძლებლობას იმისთანა საქმეში გვიჩვენებს, რომელიც დღეს აქამომდე ქალისათვის უფრო ხელმიუწვდომელი ეგონა ადამიანს.

იგი გერმანული ჟურნალი ამბობს: ჩრდილო-ამერიკის არხივებიდამ ამოკრებილიაო ცნობანი, რომ ქალებს ამერიკაში 1900 პატენტი მიუღიათ მათ მიერ მოგონილ სხვადასხვა მაშინების გამო. ერთი ამ საქმის მცოდნე ამერიკელი უმატებს: ის კი ანგარიშში არ მოგვყავს, რომ ბევრი ქალი დაჰხმარებია მამაკაცს ამისთანა საქმეშიო. ეს ხომ საოცარია და საოცარი, უფრო საკვირველი ის არის, რომ იქაურ ქალებს იმისთანა საქმეშიც გამოუჩენიათ თავი, რომელიც ქალის ცხოვრებაზედ ერთობ შორს არის და ქალის ბუნებას უნდა ეუცხოვებოდეს. მაგალითებრ, ერთს ქალს, გვარად მატერს, ნიუიორკში მოუგონია ტელესკოპი მიწის ქვეშეთისათვის (подземный телескоп), ქალს გვარად მონტგომერს — ფოლადის ჯავშანი საომარ ხომალდისათვის, ქალს გოშამს — ახალგვარი ზარბაზანი, ქალს ბიზელს — წყლისაგან გადასარჩენი ნავი, ქალს ტანნეის — მაშინა ზღვაში დაღუპულ ხომალდების ამოსაღებად და სხვანი. საქალო საქმეშიაც გამოუჩენიათ თავი. მაგალითებრ, ქალს როზენტალს უფრო უკეთესი საკერავი მაშინა მოუგონია, ვიდრე აქამომდე იყო.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძლიერი საბუთია „დედათა ემანსიპაციის“ მომხრეთათვის და ამისთანა საბუთს სიტყვას შეუბრუნებს მხოლოდ კერპობა და ჯიუტობა ადამიანისა. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყური ათხოვონ ამისთანა მაგალითებს და ხალისი მოიპოვონ ამისთანა მოღვაწეობისა და მოქმედებისათვის.

**ტფილისი, 3 ივლისი**

**ილია ჭავჭავაძე/ თხზულებათა აკადემიური გამოცემა/ ტ. X/ თბ. 1988/ გვ. 279–282**

# როგორი საფულე „იზიდავს“ ფულს — რვა ოქროს რჩევა ბარაქისთვის

**დასაწყისი მე-2 გვ.-ზე**

სასურველია, საფულით ატაროთ ე.წ. „ბედნიერი მონეტა“ — პირველი ხელფასიდან, საუკეთესო მეგობრის მიერ ნაჩუქარი ან წარმატებული საქმიანობიდან შემორჩენილი კუპიურა ან ხურდა ფული.

გახსოვდეთ, ლატარიაში ან აზარტულ თამაშებში მოგებული, ნაპოვნი ან არცთუ პატიოსანი გზით ნაშოვნი ფული რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიხარჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი თანხა, თქვენს სამომავლო შემოსავალსაც „დაავადებს“ და ვერასოდეს გამოისწორებთ ფინანსურ მდგომარეობას.

ფული უნდა გიყვარდეთ და მათ პატივისცემით ეპყრობოდეთ. ამიტომ ნებისმიერი კუპიურა კარგად უნდა გაასწოროთ საფულეში მოთავსების წინ. დაჭმუჭნულ-ჩაკუჭულ ფულს ბედნიერება არ მოაქვს.

აუცილებლად გაათავისუფლეთ საფულე სხვადასხვა ტიპის ხარახურისგან — ფული არ მოდის იმ საფულეში, რომელიც სავსეა ძველი ქვითრებით, ქაღალდზე მიწერილი ტელეფონის ნომრებით და სხვა ტიპის უსარგებლო რამე-რუმეებით.

**7. რა არ უნდა ვატაროთ საფულით**

აუცილებლად გადაეჩვიეთ საფულით ოჯახის წევრებისა და ახლობელი ადამიანების სურათების ტარებას! ჯერ ერთი, ეს ფინანსურ ნაკადს ბლოკავს თქვენკენ, მეორეც თავად ფულის ენერგეტიკა იმოქმედებს იმ ადამიანებზე ვის ფოტოებსაც ატარებთ. რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან ენერგეტიკული ბალანსის დარღვევის მაგალითზე შეიძლება გამოვლინდეს.

**8. როდის უნდა შევცვალოთ საფულე**

თუკი საფულემ ე.წ. „პეწი“ დაკარგა, გაიხა, გაუფუჭდა ელვა-შესაკრავი, გაჩნდა ნახვრეტი რომელიმე ჯიბეში — ეს პირველი ნიშანია იმისა, რომ მალე შესაძლოა თქვენი მატერიალური შემოსავალი განახევრდეს. გახსოვდეთ, ხარვეზებში ფული მიედინება უმისამართოდ და თან მიაქვს თქვენი ბარაქა!

აუცილებლად შეიძინეთ ახალი საფულე, ხოლო ძველს დაუნანებლად გადაუძახეთ სანაგვე ყუთში. მისი შენახვა თუნდაც სასიამოვნო რელიქვიის სახით (ვთქვათ იგი ახლო მეგობარმა ან საყვარელმა ადამიანმა გაჩუქათ) კატეგორიულად იკრძალება!

**წყარო:** ASTRO-STEPS.RU



# თავისუფალი ჭიდაობა

## ზურაბ იაკობაშვილი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონია



18-19 თებერვალს ქ. მინსკში — ბელორუსიის დედაქალაქში ჩატარდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე მედვედის ტრადიციული, დიდი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას იღებდა საქართველოს ნაკრები გუნდი. ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ ასევე ამერიკის, ირანის, ბულგარეთის, თურქეთის, ბელორუსიის, უკრაინის, რუსეთის და სხვა უძლიერესი ქვეყნის მოჭიდავეები. ჩვენი რაიონიდან ტურნირში მონაწილეობდა ზურაბ იაკობაშვილი, რომელმაც 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი შეხვედრა მოუგო იტინოვს (რუსეთის წარმომადგენელს). მეორე შეხვედრა მოიგო ტლაშაძესთან (ქ.გორი), მესამე შეხვედრა მოუგო ამერიკელ არონ პიკოს (ამერიკის შეერთებული შტატები), ხოლო მეოთხე შეხვედრა მოუგო რუსეთის წარმომადგენელს მასხადოვს. მან ფინალში დაამარცხა კვლავ რუსეთის წარმომადგენელი ამირ ბირიუკოვი და გახდა საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

სულ ახლო მომავალში — 8-12 მარტს ქ. რიგაში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც საქართველოს ნაკრებიდან კვლავ იასპარეზებს ზურაბ იაკობაშვილი. მოგახსენებთ, რომ წლევანდელი წელი არის ოლიმპიური წელი და ზურაბს ვუსურვებთ კვლავ წარმატება მოეპოვებინოს ევროპის ჩემპიონატზე, შემდგომში კი ოლიმპიურ თამაშებში. (მწვრთნელები გ.მეტრეველი, მ. როზომაშვილი და ვ. ჭანტურიძე).

**დალი ტატულიშვილი**

# დედათა ემანსიპაციის შესახებ

ერთს დროს დიდი და გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდა ევროპიის ლიტერატურას და ნამეტნავად რუსეთისას ეგრეთწოდებულ „დედათა ემანსიპაციის“ თაობაზედ. მომხრენი ამ საქმისა ჰხედავდნენ, რომ ეხლანდელი ურთიერთობა მამათა და დედათა სქესისა ვერ არის სამართლიანად მოწყობილი და აშენებულია უმართლო მოძღვრებაზედ, ვითომ დედაკაცი მამაკაცთა ტყვე და მონა არისო და ამის გამო ბევრში უფლებას თავისუფალის ადამიანისას მოკლებულიაო. ამის მიხედვით დაჩაგრულთა დედათა მომხრენი სწერდნენ და ჰქადაგობდნენ, რომ ქალებს უნდა მიენიჭოთ ყოველივე უფლება, რაც მამაკაცთა აქვთ მინიჭებული, ასე რომ ამ ორ სქესთა შორის ურთიერთობა სამართლიანის თანასწორობით დადგენილ იქმნას კაცთა ცხოვრებაშიო.

ბევრი კარგი რამ ითქვა ამაზედ, ბევრი საბუთიანი „ჰო“ და „არა“ გამომჟღავნდა და ბევრიც უქმი, წინდაუხედავი სიტყვა დაიხარჯა. მაინცდამაინც საბუთი აქვს კაცს სთქვას, რომ ეს საგანი საკმაოდ გამორკვეულია დღეს და თეორიულად მრავალკეცად და გონებადასმით გარჩეული და გაჩხრეკილი. ჩვენ ეს ბუნება და ისტორია ამ ფრიად საყურადღებო საქმისა აქ დღეს ორიოდე სიტყვით მოვიხსენიეთ, იმიტომ რომ აზრად არა გვაქვს ამ საგნის ბუნება და ისტორია დაწვრილებით გამოვიკვლიოთ.

ჩვენ მარტო ის გვინდა ვსთქვათ, რომ ამ თეორიულად საკმაოდ კარგად გარჩეულმა საქმემ საზოგადოების ყურამდე სრულის სავსებით ვერ მიაღწია. ბევრს კაცსა, თუ ქალსა ჰგონია დღესაც რომ აქ მარტო იმაზეა ლაპარაკი, ვითომც ამ ემანსიპაციის საქმეში სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ქალთა, თუ დედათა მხოლოდ უფლება მიენიჭოთ და იმას კი აღარავინა ჰფიქრობს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა უფლება კაცთა ურთიერთობაში, რომელსაც არ მოსდევდეს მოვალეობაცა. მართალია, მამაკაცს ეხლანდელს ცხოვრებაში ბევრი იმისთანა უფლება აქვს, რომელიც სამართლიანად ქალსაც ეკუთვნის, მაგრამ მამაკაცი ამასთანავე მსახურია სახელმწიფოსი, ქვეყნისა, საზოგადოებისა, ოჯახისა და ყოველგვარი მძიმე ტვირთი ადამიანთა რთულის ცხოვრებისა კისრად ადევს. დღეს ქალები რომ იძახიან, — მოგვეცით უფლებაო, ეს ძახილი თუმცა სამართლიანია, მაგრამ ჰრჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა: იმიტომ რომ ყველანი ჰხედვენ, რომ ქალები ბევრწილად უქმნი და უვარგისნი არიან იმ მოკლედ შემოხაზულ წრეშიაც კი, რომელშიაც დღეს იმყოფებიან, და იმ მცირეოდენს მოვალეობასაც ვერ უძღვებიან, რაც დღეს მიზომილი აქვთ საზოგადოებასა, თუ ოჯახობაში.

ეს დღევანდელი უქმობა და უვარგისობა ქალებისა ხელზედ დახვეული აქვთ ყველას, ვინც კი დედათა ემანსიპაციას არ ემხრობა და ეწინააღმდეგება. თითო-ოროლა მაგალითი საქმითა და გამჭრიახობით გამოჩენილ ქალებისა ამ წინააღმდეგობის საბუთს ბევრს არას არღვევს. ამ მაგალითებს მარტო ბედნიერ შემთხვევად სთვლიან და უფროს-ერთს ქალზედ კი ისევ ის უვარგისობის აზრი ჰრჩება.

ამერიკაში იგრძნეს ქალებმა, რომ ეს ასეა და სამართლიანის ემანსიპაციის მოსაპოვებლად იმას აღარა სჯერდებიან, რომ იძახონ: უფლება მოგვეცითო. იმათ უფრო უკეთესი სახსარი, უკეთესი გზა ამოურჩევიათ. იმათ უფიქრნიათ, რომ ქვეყანას უნდა დავანახვოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან რადმე ყოფნა ქვეყანაზედ, ჩვენც შეგვიძლიან ყველა მოვალეობას ადამიანისას გავუძღვეთ, ჩვენც შეგვიძლიან არამც თუ ხელით გარჯა, შრომა, საქმის კეთება, არამედ გონებითაც, ჭკვითაც და არც ერთსა და არც მეორეში მამაკაცს არ ჩამოვუვარდებითო. ამ პატიოსანს გაზრახვას შესდგომიან და, როგორც ჰნახავთ, საკვირველის ძლევამოსილობითაც შეუსრულებიათ.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ საოცარს ამბებს, ერთის გერმანულის ჟურნალიდამ ამოკრებილს. ამ ამბების მიხედვით უტყუარად გამოარკვევს კაცი თუ, რის შემძლებელი არის ქალი და რა მონაწილეობას ჰღებულობს იგი ამერიკაში საზოგადო ცხოვრების წარსამატებლად და რარიგად ეცილება მამაკაცს ცხოვრების მოედანზედ, სატეხნიკო სარბიელზედაც კი. ეს ამბები მით უფრო საკვირველია, რომ ქალის გამჭრიახობასა და შემძლებელობას იმისთანა საქმეში გვიჩვენებს, რომელიც დღეს აქამომდე ქალისათვის უფრო ხელმიუწვდომელი ეგონა ადამიანს.

იგი გერმანული ჟურნალი ამბობს: ჩრდილო-ამერიკის არხივებიდამ ამოკრებილიაო ცნობანი, რომ ქალებს ამერიკაში 1900 პატენტი მიუღიათ მათ მიერ მოგონილ სხვადასხვა მაშინების გამო. ერთი ამ საქმის მცოდნე ამერიკელი უმატებს: ის კი ანგარიშში არ მოგვყავს, რომ ბევრი ქალი დაჰხმარებია მამაკაცს ამისთანა საქმეშიო. ეს ხომ საოცარია და საოცარი, უფრო საკვირველი ის არის, რომ იქაურ ქალებს იმისთანა საქმეშიც გამოუჩენიათ თავი, რომელიც ქალის ცხოვრებაზედ ერთობ შორს არის და ქალის ბუნებას უნდა ეუცხოვებოდეს. მაგალითებრ, ერთს ქალს, გვარად მატერს, ნიუიორკში მოუგონია ტელესკოპი მიწის ქვეშეთისათვის (подземный телескоп), ქალს გვარად მონტგომერს — ფოლადის ჯავშანი საომარ ხომალდისათვის, ქალს გოშამს — ახალგვარი ზარბაზანი, ქალს ბიზელს — წყლისაგან გადასარჩენი ნავი, ქალს ტანნეის — მაშინა ზღვაში დაღუპულ ხომალდების ამოსაღებად და სხვანი. საქალო საქმეშიაც გამოუჩენიათ თავი. მაგალითებრ, ქალს როზენტალს უფრო უკეთესი საკერავი მაშინა მოუგონია, ვიდრე აქამომდე იყო.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძლიერი საბუთია „დედათა ემანსიპაციის მომხრეთათვის და ამისთანა საბუთს სიტყვას შეუბრუნებს მხოლოდ კერპობა და ჯიუტობა ადამიანისა. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყური ათხოვონ ამისთანა მაგალითებს და ხალისი მოიპოვონ ამისთანა მოღვაწეობისა და მოქმედებისათვის.

**ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ტ. X, თბ. 1988**

# ილია ჭავჭავაძე: ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსაწონებელი?!



ქართველნო დედაკაცნო, დღეს თქვენთან მინდოდა პატარა საუბარი გამემართნა, მაგრამ პირველ სიტყვაზედვე ძალიან შევფრთხი, შევღონდი: აქ დედაკაცად გახსენეთ ჩვენი დედები, ჩვენი დები, ჩვენი მეუღლენი, ერთობ დიდი და პატარა დედათა სქესისანი და შევშინდი, ვაი თუ ეს სახელი ითაკლოთ, იუკადრისოთ, გვიწყინოთ. ვაი, რა დრო მოვიდა, რომ კაცობით ხსენება დედათა სათაკილოდ გაგვიხდა!

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო, უთქვამს რუსთაველს. ლომი ლომია, ერთია — ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო, ამბობს დღესაც გლეხკაცი. მართალია, სწორია ერთია. ამას ჰმოწმობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველი დედასაც კაცად გახდის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას — „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთი სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით, არსება კი ერთია, ორნივ კაცნი ვართ, ორნივ ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო. სხვა რაა უდიდესი და უპატიოსნესი კაცობის სახელზედა ადამიანისთვის, რომელის სქესისაც გინდა იყოს! ჩვენო მეუღლენო და ერთობ გასათხოვარნო თუ გათხოვილნო, შეირჩინეთ ან შეგარჩინეთ კი ყოვლად პატიოსანი, მაღალმნიშვნელოვანი სახელი დედაკაცობისა? ვაი რომ არა!..ეხლა დედაკაცად თქვენი ხსენება საწყენია, სათაკილოა. ეს დიდი სახელი დაიფუყა, შეიკუმშა, დაპატარავდა. საგანი დადნა და დადნა სახელიცა. დღეს დედაკაცი კი არ არის, ქალია. მთა ბექად გადაიქცა, მუხა ლელწმად, ზღვა წყაროდ, ადამიანი პეპელად. ცოდვა არ არის, სად დედაკაცობა და სად ქალობა! დღეს „დედაკაცი“ მდაბიოთა სახელიღაა, თითქოს „კაცი-დედა“ მარტო მათრა შერჩენიათ. დღეს დედაკაცი რომ თავადის ან აზნაურის ქალს, ან ერთობ „შლიაპოსანს“ უწოდოთ, გიწყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს: „მე ქალი ვარ და არა დედაკაციო“, თითქო ქართული „დედაკაცი“ და რუსული „ბაბა“ ერთი და იგივე იყოს. ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსაწონებელი?! „დედაკაცი“, ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი, „ქალად“ დავადნეთ... ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ დავკარგეთ და „ქალი“ შევიძინეთ! ეს რას ჰნიშნავს, წინსვლას, თუ უკან დაწევას? აბა დაუკვირდით, დაუფიქრდით...

ქალი და ვაჟი ყმაწვილებს გვიქვიან და არა მოზრდილებს, არა დამთავრებულებს სულითა და ხორცით ადამიანებს, არა უკვე კაცამდე მოყრილს, კაცად დასრულებულს. როგორც კვირტი ჯერ ხილი არ არის, ისე ქალი ან ვაჟი ჯერ კაცი არ არის. ქალი თუ ვაჟი ისევ მოზარდია, კაცი უკვე გაზრდილი. ჩვენ აქ მარტო ხორციელ ასაკოვანობაზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ სახეში გვაქვს ასაკოვანებაც სულისა იმიტომ, რომ მარტო ასაკოვანება სულისა ადამიანს კაცადა ჰხდის. სხვა ყველაფერი მარტო ქალვაჟიანობაა და სხვა არაფერი, თუნდაც ორივენი ას-ასის წლისანი იყვნენ და შვილებგარშემორტყმულნი. ქალი გასათხოვარია თუ გათხოვილი, შვილებიანია თუ უშვილოა — მარტო სულიერ ასაკოვანებით მიაღწევს დედაკაცობამდე და სანამ არ მიუღწევია, იგი ქალია და არა დედაკაცი.

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედაენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედაქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედაბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს — „დედაბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედააზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნისდედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავლგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით! ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა?! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“!

ამიტომაც „დედაკაცის“ „ქალამდე“ ჩამოსვლა და „მამაკაცის“ — ვაჟამდე ცხენოსნის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, გარდაცვლაა აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუყვაა. მამაკაცი კიდევ ბევრს არას დაჰკარგავს, რომ „ვაჟამდე“ ჩამოვიდეს. იმას კიდევ მიეკერება სახელი კაცისა — „ვაჟიკაციაო“, ქალს კი ჩამოეცალა სახელი კაცისა. „ქალი-კაცი“ არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. იქნება იმიტომაც, რომ ქალი მეტად სუსტია და ვერ ატარებს, ვერ ჰზიდავს „კაცის“ მძიმე სახელს. თუნდ ეგეც არ იყოს, აქ სიტყვა არ უხდება საგანს და საგანი სიტყვას. ქალი ქალიღაა და თითქო არა კაცი. სად ქალობა და სად დედაკაცობა! ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისთვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისთვის სახლია პატიოსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, საომარი ჭკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!

ვაი რომ „დედაკაცნი“ წავიდნენ, აღარ გვყვანან და „ქალებიღა“ დაგვრჩნენ და ჩვენის ფიქრით, ესაა სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურებისა.

# „უფრო მშვენიერი არაფერი მინახავს, ვიდრე ჩემი ყვარელია“

დასაწყისი მე-8 გვ.-ზე

მე კი ჩემი დიდი მასწავლებელი რეზო დვალიშვილი ცხოვრებაშიც და ჟურნალისტიკაშიც მეუბნებოდა: „ როდესაც შენთვის საყვარელი ადამიანი კვდება, ის მთვარეზე სახლობსო, მეც როცა მთვარეს ვუყურებ, ასე მგონია მათთან ვურთიერთობ. ძალიან სენტიმენტალური ხომ არ გამოვიდა ჩემი პასუხი?

— **მოდი, ბარემ სკოლის პერიოდიც გაიხსენე.**

— კარგი კლასი გვქონდა, მასწავლებლებიც ძალიან ძლიერები, — მარიკა კევლიშვილი, ჟუჟუნა გავაშელი, ეთერ გურასპიშვილი, ტიტე კვიჟინაძე.

უკვე სტუდენტი ვიყავი ეთერი მასწავლებელმა ერთი ვაშლი რომ გამომიგზავნა თბილისში, მწერდა: „ამბობენ, ვინც პირველ ნაყოფს შეჭამს, ბედნიერი იქნებაო“... ამას რა დამავიწყებს.

ჩემმა ტიტე მასწავლებელმა კი ჩვენი დიდი სიყვარული ისე დააგვირგვინა, რომ შვილი მომანათლინა. დღემდე ჩემს სათაყვანებელ ადამიანად რჩება, ჩვენი დირექტორი, ქართულის მასწავლებელი, ვახტანგ შავგულიძე. იგი ჩემთვის კაცურ კაცობის და მასწავლებლობის ეტალონად რჩება.

„როგორც იისფერ სილაში ვარდი, ჩვენი ცხოვრების გზა სიზმარია“... კითხულობდა გალაკტიონს და საოცარი ამოუცნობი სითბო იღვრებოდა მისი ცასავით ლურჯი თვალებიდან და ისეთ სამყაროში შევყავდით, რომელსაც მაშინ ჩვენი სკოლის სახელმძღვანელო არ ითვალისწინებდა. აი, ეს არის ჩემი ბავშვობის ყველაზე წარუშლელი და მძაფრი მოგონება. რაც შეეხება კლასელებს, იქიდან ორნიღა შემომრჩნენ თამაზი ყარალაშვილი და ნოდარი სეფაშვილი.

დღემდე ისინი არიან ჩემი ავ-კარგის გამზიარებლები. განსაკუთრებით კარგი და თბილი ურთიერთობა მაქვს ნოდარიკოსთან, ის დებით მდიდარია, მაგრამ მე მაინც იმათ მარაქაფში გავდივარ. მეცხრე კლასში ვიყავით, თითები რომ გავიჭერით, სისხლი აურიეთ და და-ძმობა შევფიცეთ ერთმანეთს.

დღემდე ყველაფერზე მას ვაწუხებ, მგონი თავიც კი მოვაბეზრე, მაგრამ არაფერს ამბობს, უძლებს, ღმერთმა გააძლებინოს.

— დიდი სამოღვაწეო ასპარეზი —

ქალი დამსახურებული ჟურნალისტი, საერთაშორისო ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი, ქალი ღირსების ორდენის კავალერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ათამდე წიგნის ავტორი, ყვარლის საპატიო მოქალაქე... კიდევ რა წარმატებების მიღწევას აპირებს მარადი ანასაშვილი?

ყველაზე დიდი ოცნება უკვე ახდენილი მაქვს. მიშიკოს, ნიკოლოზის და ელენიკოს ბებიდობას, უკვე ჩემი საკუთარი შვილიშვილები მარიამი და ნიკოლოზიც მიემატა, მეტი რაღა მინდა, უკვე ჩემი მისია ამ ქვეყნად შესრულებული მაქვს. ბებია ვარ, თუმცა წერას მაინც არ ვიშლი, რა ვქნა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, კვლავ საინტერესო წიგნზე ვმუშაობ, რომელსაც სულ მალე დავამთავრებ.

„ყვარლის“ რედაქციას დიდ მადლობას ვუხდი ჩემთვის ამდენი დროის დათმობისათვის.

**საუბარს უძღვებოდა**
**დალი ტატულიშვილი**

**P.S. პროფესიით არც ფილოლოგი და არც ჟურნალისტი არა ვარ, მაგრამ ჩემი რედაქციაში მუშაობის ამდენწლიანი გამოცდილებით არ ვიცი როგორი კორესპონდენტი გამოვდექი ჩემი რესპოდენტის, დამსახურებული ჟურნალისტის მიმართ, ამას ალბათ გავიგებ მას შემდეგ როცა ამ ჩანაწერს თავად და გაზეთის მკითხველიც წაიკითხავს. რაიონულ გაზეთ „ყვარლის“ სახელით მარადის ვულოცავთ 8 მარტს, დედის დღეს, პირველ რიგში ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.**

# პოეზიის სამყაროში

**ილია ჭავჭავაძე**

**ქართვლის დედას**

ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ, სადღაა მამაპაპური
ხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

**იოსებ ნონეშვილი**

**დედა**

დედავ — სიცოცხლის დიდო საწყისო,
დედავ — ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.
ჩემს აკვანს ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი „ნანას“, „მზე შინას“,
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.
შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
არ მშორდებოდი წუთით, საათით,
რომ სიარული გესწავლებინა
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.
მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი,
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტიტინებდი ჩემთან ბალღივით.
დედავ, ვიყავით თითქოს ტოლები,
თითქოს ფიქრები გვქონდა საერთო,
შენც ჩემს გაკვეთილს იმეორებდი,
რომ ჩემში ცოდნის შუქი აგენთო.
თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.
როცა მაცნობდი წარსულს დარდიანს,
შენს ხმაში კრთოდა სევდა ფარული,
შენ შემაყვარე, დედავ, ნამდვილად
ჩემი ქვეყანა, ჩემი მამული.
ახლაც შენა ხარ ჩემი კანდელი,
სიცოცხლის დიდი გასხივოსნება,
შენ შემაყვარე დღე დღევანდელი,
ხვალინდელ დღეზე ტკბილი ოცნება.
შენ დამილოცე ქვეყნად კაცობა,
თავზე ნამუსის ქუდი დამხურე,
სულ შენ გეკუთვნის თუ რამ მადლობა
და სიყვარული დავიმსახურე.
დედავ — სიცოცხლის ტკბილო საწყისო,
დედავ — ცხოვრების დვრიტავ მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

# 10 საკვები და მცენარე, რომელიც რეკომენდებულია თირკმელების გასაწმენდად

თირკმელები ლობიოს ფორმის წყვილი ორგანოა. ისინი განთავსებულია მუცლის ღრუს უკანა კედელზე ხერხემლის ორივე მხარეს . მათი მთავარი ფუნქციაა ორგანიზმის ტოქსინებისა და წიდებისაგან განთავისუფლება, სისხლის პლაზმისა და უჯრედშორისი სითხის ქიმიური შედგენილობის მუდმივობის შენარჩუნება სხვადასხვა ნივთიერების შერჩევითი გამოტანის გზით. თირკმელები მონაწილეობენ ორგანიზმში წყლის, ელექტროლიტებისა და მჟავა-ტუტე წონასწორობის შენარჩუნებაში. ისინი ორგანიზმის სხვა ორგანოებთან სრულ ჰარმონიაში ფუნქციობენ, არეგულირებენ სისხლის წნევას და ამავე დროს ასინთეზებენ ვიტამინს.



აქედან გამომდინარე, ადამიანის ორგანიზმისათვის თირკმელების ჯანმრთელობასა და ნორმალურ ფუნქციობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია მათი პერიოდულად გაწმენდა. დიეტაში გარკვეული ცვლილებების შეტანა დაეხმარება თქვენს თირკმელებს ტოქსინებისგან გაწმენდაში და ამავე დროს დაგიცავთ კენჭების წარმოქმნისგან. გაეცანით საკვებისა და მცენარეების იმ ტოპ ათეულს, რომელიც ყველაზე მეტად ეხმარება თირკმელებს დეტოქსიკაციაში.

### თირკმელების გაწმენდისთვის რეკომენდებული საკვები

**კენკრა**

კენკრა ანტიოქსიდანტების უნივერსალური წყაროა. მას აქვს აგრეთვე სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლის ბუნებრივი თვისებები. კენკრის რეგულარულად მიღება ეხმარება თირკმელებს შარდის მჟავას გამოთავისუფლებაში. ეს კი მათ ჯანმრთელობას განამტკიცებს. ძალიან სასარგებლოა შტოში და ყურძენი. ისინი შეიცავს ქინინებს, რომლებიც ხელს უწყობს შარდის გამოყოფას, ამიტომაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თირკმელებისათვის.

**კოჭა იგივე ჯანჯაფილი**

კოჭა საუკეთესო გამწმენდი თვისებებით გამოირჩევა. ეხმარება თირკმელებსა და სისხლს წიდებისა და ტოქსინებისაგან გათავისუფლებაში.

**წითელი ბულგარული წიწაკა**

წითელი ბულგარული თირკმელების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად გამორჩეული საკვებია, რადგანაც კალიუმს მცირე რაოდენობით შეიცავს. სამაგიეროდ მდიდარია A, B6, C ვიტამინებით, ფოლის მჟავითა და ბოჭკოებით. წითელ ბულგარულში უხვადაა აგრეთვე ლიკოპენი და ანტიოქსიდანტები, რომლებიც გვიცავს სიმსივნური პათოლოგიისგან. შეეცადეთ ხშირად მიირთვათ ეს ბოსტნეული. სალათები და სხვადასხვა კერძები მაქსიმალურად გაამდიდრეთ წითელი ბულგარულით. გახსოვდეთ, ამით ჯანმრთელობას უნარჩუნებთ არა მხოლოდ თირკმელებს, არამედ სხვა ორგანოებსაც.

**იოგურტი**

იოგურტი ჯანსაღ სკავებად მიიჩნევა, რადგანაც შეიცავს სასარგებლო პრობაქტერიებს, რომლებიც ეხმარება თირკმელებს გაწმენდაში და ამის გამო მნიშვნელოვანია ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის. საკვებ რაციონში იოგურტისა და სხვა რძემჟავა პროდუქტების წილი დაბალანსებული უნდა იყოს.



**გოგრის თესლი**

გოგრის თესლი ბევრისთვის საყვარელი სასუსნავია. ის ტოქსინებისა და წიდების გამოდევნის ეფექტური საშუალებაა. მდიდარია ანტიოქსიდანტებით, ვიტამინებითა და მინერალებით, რომლებიც მნიშვნელოვანია თირკმელების ჯანმრთელობისთვის.

### თირკმელების გაწმენდისათვის რეკომენდებული მცენარეები

**ჰორტენზიას ფესვი**

ჰორტენზია ფართოდ გავრცელებული და ძალზედ პოპულარული მცენარეა. მისი ფესვის ნაყენი გამოიყენება როგორც გამხსნელი და ერთგვარად გამაშალაშინებელი საშუალება თირკმელებში არსებული დაკბილული, მახვილკიდეებიანი კენჭების (ქვების) წინააღმდეგ. ის ეხმარება ორგანიზმს კალციუმის შეწოვა-შეთვისებაში (აბსორბციაში), რითაც ხელს უშლის თირკმელებში კენჭების განვითარებას.

**ნიახურის ფესვები**

ნიახურის თესლი და ფესვები შარდმდენი თვისებებითაა ცნობილი. შარდის წარმოქმნის გაძლიერების ხარჯზე ხელს უწყობს ორგანიზმს ტოქსინებისაგან გაწმენდაში. ნიახურის ფესვი იმავდროულად მდიდარია მინერალებით, კერძოდ, ნატრიუმითა და კალიუმით, რის გამოც თირკმელებისთვის მასტიმულირებელ საშუალებად გვევლინება.

**ტყის შვიტა**

ეს მცენარე ჩვეულებრივ სარეველებში გვხვდება, გამოირჩევა განსაკუთრებული დიურეზული (შარდმდენი) თვისებებით. შარდის გამოყოფის გაძლიერების გზით ის ეხმარება თირკმელებსა და საშარდე გზებს გაწმენდაში. შვიტა იმავდროულად მდიდარია ანტიოქსიდანტებით, რასაც განსკუთრებული მნიშვნელობ ა აქვს თირკმელებისა და საზოგადოდ, საშარდე სისტემის ჯანმრთელობისათვის.

**ოხრახუში**

ოხრახუში მეტად არომატული და დიდებული მცენარეა. ის გამორჩეულია მწვანილებს შორის და მზარეულებსაც განსაკუთრებულად უყვართ. ოხრახუშის დამატება საკვებში

არა მხოლოდ ზრდის მის არომატსა და საგემოვნო თვისებებს, არამედ საკვებს სასარგებლოს ხდის თირკმელების ფუნქციობისათვის. ოხრახუში აქტიურად გამოდევნის ტოქსინებს თირკმელებიდან და საზოგადოდ საშარდე გზებიდან. ის სასარგებლოა აგრეთვე კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ.

**კენჭების დამამსხვრეველი**

ეს გახლავთ ტროპიკული მცენარე (ძირითადად ამაზონის წვიმიან ტყეებში, აგრეთვე ინდოეთსა და ჩინეთში გავრცელებული), რომლის სახელწოდებაც ესპანურიდან თარგმანში „კენჭების დამამსხვრეველს „ნიშნავს. ასეთი დასახელება მცენარემ მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგად გამოხატული თვისებების გამო შეიძინა. ის უნიკალურად შლის თირკმელებში (ასევე ნაღვლის ბუშტსა და ღვიძლში) არსებულ კენჭებს. ეფექტურად გამოჰყავს შარდის მჟავა შარდიდან და აღიარებულია თირკმელების გამაჯანსაღებელ უნიკალურ მცენარედ.

**თინათინ გოცაძე**

# გამოსათხოვარი

## გემშვიდობებით ბატონო ვაჟა!



კიდევ ერთი გამორჩეულად ღირსეული პიროვნება დააკლდა ყვარელს — მოულოდნელად გარდაიცვალა ყვარლის სატყეო მეურნეობის ღვაწლმოსილი მეტყევე—ინჟინერი ვაჟა ბაიდოშვილი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ყვარლის რაიონისათვის სასიკეთო საქმეების კეთებას შესწირა.

ვაჟა ბაიდოშვილი 1949 წელს დაიბადა ქ. ყვარელში. მან 1967 წელს დაამთავრა ყვარლის №2 საშუალო სკოლა, ხოლო 1972 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტი მეტყევე-ინჟინრის სპეციალობით. აქედან იწყება ვაჟა ბაიდოშვილის საინტერესო და შინაარსიანი გზა, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტს ითვლის. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიის ყვარლის რაიკომში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, ამავე რაიკომში მეორე მდივნად. წლების განმავლობაში მუშაობდა ყვარლის სატყეო მეურნეობის დირექტორის თანამდებობაზე, ხოლო ბოლოს ყვარლის სატყეო მეურნეობის წამყვან სპეციალისტად.

სადაც არ უნადა ემუშავა ვაჟა ბაიდოშვილს, ყველგან გამოირჩეოდა საქმისადმი უდიდესი ერთგულებით, სასიკეთო საქმეთა კეთების დაუოკებელი სურვილით. უდიდესი ნიჭი გამოავლინა მარადმწვანე და უძვირფასესი ჯიშის მცენარეთა ნერგების გამრავლება-წარმოებაში. ამიტომაც მიიწვიეს იგი კონსულტანტად ყვარლის სანერგე მეურნეობაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვაჟა ბაიდოშვილის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მისთვის არ არსებობდა სათავისო და სასხვისო საქმე. იგი ყოველთვის რაიონის აქტივში ტრიალებდა, უყოყმანოდ ზიდავდა თავის წილ ტვირთს და ბოლომდე ნამუსიანად ასრულებდა საკეთილო საქმეებს.

მაგრამ მისთვის ყველა ფასეულობაზე მაღლა ადამიანობა და ადამიანი იდგა. მას არ დარჩენია უთვალავი სიმდიდრე, საყვარელი ცოლშვილისა და შვილიშვილების გარდა, მაგრამ დარჩა სახელი — ვაჟა ბაიდოშვილი, რომელიც ყველას ემახსოვრება, როგორც პატიოსანი, თავმდაბალი, ზნესრული და ულალატო მეგობარი. უდროოდ წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, დიდებული ვაჟკაცი და დატოვა ხსოვნა ღირსეული პიროვნებისა.

შენ, ჩვენო ვაჟა, გულწრფელად გიყვარდა შენი საძმო-სამეგობრო, მაგრამ შენი უდიდესი სიხარული და სიყვარული შენი სამი შვილი და შვილიშვილები იყო. განსაკუთრებული სიხარული მოგგვარა ამ ქვეყნად პატარა ვანიკოს მოვლინებამ, რომლითაც ამაყობდი.

გემშვიდობებით ბატონო ვაჟა, შენს სახელს ჩვენს გულებში დავიწყება არ უწერია სანამ ცოცხლები ვიქნებით.

უფალს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

**სამეგობროს სახელით**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

## ოთარი ქანდაურიშვილის გახსენება



ორმოცი დღე გავიდა უშენოდ... ორმოც წელს უდრის, ისე გვენატრები!

მრავალი სიკეთით შეგამკო ბუნებამ, შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა, ერთგულება, მიტევება, ყურადღება ადამიანებისადმი, თანადგომა, იუმორისა და სიყვარულის ნიჭი, მაღალი პასუხისმგებლობა გქონდა და საქმის უბადლო შემსრულებელი იყავი. სიხარულსაც იზიარებდი და ჭირსაც. ყოველთვის მხარში გვედექი ახლობლებს.

ცას შეურთდა შენი სულის ძვირფასი საგანძური... უკვდავება ხომ ამქვეყნად დანატოვარი სახელია და მადლი, რითაც ისაზრდოებს და იამაყებს შენი შთამომავლობა!

როგორ გიხაროდა ნანატრი შვილიშვილის დაბადება! მისი მოფერებით გული ვეღარ იჯერე... როგორ დაგვაკლდი ოთარ! ახლა, როცა ჩვენს გვერდით აღარ ხარ, უფრო მეტად ვიგრძენით, თურმე რა დიდი პიროვნება გვყოლია შენი სახით!

მშვიდად განისვენოს შენმა სულმა, ძვირფასო ადამიანო! შენი ხსოვნა არ წაიშლება და მუდამ ჩვენს გულში იქნები კეთილად მომღიმარი და სამაგალითო ოთარი ქანდაურიშვილი!

**ოჯახი**

ყვარლის სანერგე მეურნეობის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანამშრომელი **ვაჟა ივანეს ძე ბაიდოშვილი** და მწუხარებაში თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს

იტალიაში მყოფი ემიგრანტი ქართველები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ზინა ჯოჯიშვილს ვაჟიშვილის **ბექა თვალიაშვილის** გარდაცვალების გამო.

# მიკროჩიპიანი თირკმლის საშუალებით, პაციენტებს დიალიზი აღარ დასჭირდებათ

მეცნიერებმა მსოფლიოში პირველი მიკროჩიპიანი ხელოვნური თირკმელი შექმნეს. ამ ბიოჰიბრიდულ მოწყობილობას შეეძლება ორგანიზმიდან ცვლითი პროდუქტების, მარილებისა და წყლის გამოყოფა. თავად მიკროსქემები სრულიად ხელმისაწვდომი და იაფი მასალისგანაა.

ხელოვნური ორგანოს მთავარ ელემენტს მიკროჩიპი წარმოადგენს. ის ასრულებს კომპიუტერებისთვის შემუშავებული მიკროელექტრონული ინდუსტრიის ანალოგიურ პროცესებს.

თითოეული თირკმელი შედგება ერთმანეთზე ფენებად განლაგებული 15 მიკროსქემისგან. ჩიპები თირკმლის ცოცხალი უჯრედებისათვის წარმოადგენს ერთდროულად ფილტრებსაც და საყრდენსაც. ფილტრების ფორები გარკვეული თანმიმდევრობითაა განლაგებული (შესასრულებელი ფუნქციის გათვალისწინებით).

სპეციალისტების თქმით, ხელოვნურმა ორგანომ ენერგია შეიძლება პაციენტის გულიდან მიიღოს.

**ლალი ჩხიკვაძე**



# ს პ ო რ ტ უ ლ ა ს პ ა რ ე ზ ო ბ ე ბ ზ ე



## თავისუფალი ჭიდაობა

მიმდინარე წლის 13-14 თებერვალს ქ. საგარეჯოში ჩატარდა ო. არჩვაძის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი 2001-2003 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა. მათ ანგარიშზე სამი ოქროს და ოთხი ბრინჯაოს მედალია. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა: დავით ჭუნაშვილმა (26 კგ. წონითი კატეგორია), მწვრთნელები (ბ. სამიტაშვილი, ვ. ჭუნაშვილი). მესამე ადგილი წილად ხვდა გიგო იორამიშვილს ( 35 კგ. წონითი კატეგორია).

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: დათო ქაქალაშვილი 42 კგ. წონითი კატეგორია და ბესიკ სეფაშვილი 46 კგ. წონითი კატეგორია; მესამე ადგილები დაიკავეს ბექა ურჯუკელაშვილმა — 26 კგ. წონითი კატეგორია და ფათა მალამაგამედოვმა 29 კგ. წონითი კატეგორია (მწვრთნელები: გ. მეტრეველი, ვ. ჭანტურიძე, მ. როზომაშვილი).

მესამე ადგილი დაიკავა ასევე ნიკა ქებაძემ 23 კგ. წონითი კატეგორია (მწვრთნელი ს. გვრიტიშვილი).

**დალი ტატულიშვილი**

## გიორგი ლაფერაშვილის წარმატება



მიმდინარე წლის 17-21 თებერვალს, ქ. გორში ჩატარდა საქართველოს პირველობა კრივში, ჭაბუკებს შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლის ნორჩი მოკრივეები. წარმატებით იასპარეზა ახალსოფლის 1 საშუალო სკოლის მოსწავლემ გიორგი ლაფერაშვილმა 50 კგ. წონითი კატეგორიაში. ფინალამდე მან ყველა მეტოქე დაამარცხა ჩვეულ, ლამაზ სტილში. ფინალურ ორთაბრძოლაში იგი დაუპირისპირდა ქუთაისელ აკაკი ჭოხონელიძეს და მცირე უპირატესობით დათმო შეხვედრა. საქართველოს პირველობა ჭაბუკებს შორის კრივში კვლავ გაიმართება აპრილის თვეში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რაიონის სპორტსმენები. ვუსურვოთ მათ მომავალში წარმატებები. (მწვრთნელები ზურაბ ტოსტიაშვილი, ფარნაოზ მაისურაძე).

**დალი ტატულიშვილი**

# მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი დ ა ე ქ ი მ ე ბ ი გ ვ თ ა ვ ა ზ ო ბ ე ნ

## 5 პროდუქტი, რომელიც დიდი რაოდენობით ვიტამინს შეიცავს და აუცილებლად უნდა მიირთვათ ზამთარში



ზამთარში აუცილებლად უნდა აიმაღლოთ ორგანიზმში ვიტამინის დონე. მისი ნაკლებობა უარყოფითად აისახება კბილებსა და ძვლებზე. ზამთარში ადამიანი მოკლებულია მზის სხივებს, რაც ვიტამინის ნაკლებობას იწვევს. ამიტომ გთავაზობთ იმ პროდუქტების ჩამონათვალს, რომლებიც ამ პრობლემასთან გამკლავებაში დაგეხმარებათ:

### 1. კრევეტი

ბოლო დროს აშშ-ისა და კანადის მოსახლეობა აქტიურად იყენებს კრევეტის ზეთს. უმატებენ საკვებს. თევზის ცხიმისგან განსხვავებით, მას სუნი არ აქვს, ადვილად ინელებს კუჭი და ყოველგვარი არასასიამოვნო შეგრძნების გარეშე ორგანიზმს ვიტამინით კვებავს.

### 2. კვერცხი

ზამთარში საუზმედ კვერცხი ხშირად უნდა მიირთვათ. აღმოჩნდა, რომ კვერცხის გულიც ნორმალური რაოდენობის ვიტამინს შეიცავს, ბატის

კვერცხი კი კიდევ უფრო მეტს. ასე რომ, დღეში ორჯერ კვერცხის მიღება სულაც არ გაწყენთ.

### 3. ორაგული და კალმახი

ცნობილი ფაქტია, რომ თევზი ვიტამინის შემცველია. განსაკუთრებით სასარგებლოა ზამთრის ორაგული და კალმახი, მათში უამრავი სასარგებლო ნუტრიენტია. ამასთან, წითელი თევზით იმდენი სხვადასხვა კერძის მომზადება შეგიძლიათ, რომ ზამთრის ვახშმები თქვენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს.

### 4. რძე

სუპერმარკეტებში სულ უფრო ხშირად შეხვდებით რძეს, ვიტამინის დანამატით. ეს ძალიან კარგი საშუალებაა, ვიტამინის დღის ნორმა მიიღოთ.

### 5. ღორის ნეკნი

ღორის ნეკნების მოყვარულებისთვის, შესანიშნავი აღმოჩენა იქნება. ლუდთან ამ პოპულარულ წასახემსს, საკმაოდ დიდი რაოდენობით ვიტამინი აქვს. შესაბამისად გადაწყვეტილია! შემდეგში არჩევანი ამ უგემრიელეს კერძზე შეაჩერეთ.

**პენი ლეინი**
reitingi.ge-ზე

## ვიტამინი B4 ტვინის დაბერებას აფერხებს



ბოსტონელმა მეცნიერებმა გამოკვლევის შედეგად დაასკვნეს, რომ B4 ვიტამინით მდიდარი საკვები ტვინს დაბერებისგან იცავს. ის ადამიანები, რომელთა რაციონი მდიდარია ამ ვიტამინით, უკეთ ართმევენ თავს მეხსიერების გამოსაცდელ ტესტებს და ნაკლებად აქვთ შეცვლილი ტვინის ქსოვილი.

ტვინის ქსოვილის შეცვლა ჭკუასუსტობის განვითარებაზე მიუთითებს. მეცნიერებმა უკვე დიდი ხანია დაადგინეს, რომ ხმელთაშუა ზღვის დიეტა, რომელიც ზღვის პროდუქტებისა და თევზისგან, ზეითუნის ზეთის, ასევე, ბოსტნეულისგან შედგება, ტვინის დაბერებისგან დამცავ ეფექტს ახდენს.

გამოკვლევაში 36-38 წლის 1400 კაცი მონაწილეობდა. გამოსაცდელ პირებს უნდა მოეყოლათ, როგორ იკვებებოდნენ 1991-1995 წლებში. 1998-2001 წლებში მათ მეხსიერებისა და ტვინის სხვა ფუნქციების შესამოწმებელი ტესტირება უტარდებოდათ. ჩაუტარდათ ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევაც. ყველაზე კარგი შედეგები მათ აჩვენეს, ვისი რაციონიც მდიდარი იყო B4 ვიტამინით. გარდა ამისა, მათ შორის უფრო იშვიათი აღმოჩნდა მდგომარეობა, რომელსაც თეთრი ნივთიერების ჰიპერინტენსივობას უწოდებენ და თავის ტვინის სისხლძარღვოვანი უკმარისობით, ინსულტებითა და ჭკუასუსტობით მიმდინარეობს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ B4 ვიტამინის დადებითი მოქმედება იმით არის გამოწვეული, რომ ის აცეტილქოლინის წინამორბედია. ეს ნივთიერება ძლიერ გავლენას ახდენს კოგნიტურ პროცესზე. მისი უკმარისობა ახასიათებთ ალცჰაიმერით დაავადებულებს. B4 ვიტამინის დღიური ნორმა მამაკაცებისთვის 550 მგ-ია, ქალებისთვის კი 425 მგ. B4 ვიტამინს შეიცავს მცენარეული და ცხოველური პროდუქტები: კვერცხის ცილა, ღვიძლი, ხორცი, თევზი, ყველი, არარაფინირებული ზეთი, საფუარი, ბარდეული, კომბოსტო, პომიდორი, ისპანახი, სტაფილო.

## მან მკერდზე კომბოსტოს ფურცლები დაიდო მთელი ღამით. ეფექტი შთამბეჭდავი გამოდგა!

კომბოსტო — უამრავი კერძის შეუცვლელი ინგრედიენტი, ასევე, სამკურნალო თვისებების მქონე ფასდაუდებელი ბოსტნეულია. ჩვენი ბებიები კომბოსტოს ფურცლებს სამკურნალო მიზნით ხშირად იყენებდნენ. გავიხსენოთ წინაპრების გამოცდილება და გამოვიყენოთ ამ პროდუქტის პოტენციალი სრულად.



### კომბოსტოს ფურცლები

გამოყენების წინ კომბოსტოს ფურცლები უნდა დავმდუღროთ და კარგად გავამშრალოთ. თუ ალერგიისადმი გაქვთ მიდრეკილება, უმჯობესია, მსგავსი მკურნალობისგან თავი შეიკავოთ.

### ტრავმები და სილურჯეები

ტრავმირებულ ადგილას დაიდეთ კომბოსტოს ფურცელი და შეიხვიეთ მარლით. გაიჩერეთ მთელი ღამის განმავლობაში. დილისთვის, შეშუპება გაივლის და ტკივილიც გაგიყუჩდებათ. თუ ამ მეთოდმა არ გიშველათ, მიმართეთ ტრავმატოლოგს, რათა სერიოზული დაზიანების ალბათობა გამოირიცხოს.

### მწერების ნაკბენი

კომბოსტოს ფურცელი ამსუბუქებს მწერების ნაკბენით გამოწვეულ ტკივილს. მაგნიტის მსგავსად, იგი მიიზიდავს წვასა და ტკივილს დასიებული ადგილიდან.

### თავის ტკივილი

კომბოსტოს ფურცელს ასევე შეუძლია თავის ტკივილის მოხსნა და სიცხის დაწევა. საფეთქელზე დაიდეთ თითო ფურცელი და შემოიხვიეთ თავზე პირსახოცი.

### ტკივილი გულმკერდის არეში

ლაქტაციისა და ძუძუთი კვების დროს ქალებს ხშირად აწუხებთ ტკივილი გულ-მკერდის არეში. ამ შემთხვევაშიც, ხალხური მედიცინა დაგეხმარებათ. სამკურნალო კომპრესისთვის გამოიყენეთ კომბოსტოს დიდი ფურცლები.

ასევე, ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია მასტოპათიისა და მენსტრუაციისას მკერდის ტკივილის დროს.

## რა განსხვავებაა თეთრ და ყავისფერ კვერცხებს შორის და რომელია უფრო სასარგებლო



კვერცხი - ეს ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო პროდუქტია. არავინ დავობს იმაზე, რომ სოფლიდან ბებოს გამოგზავნილი, ეზოს დედლის კვერცხი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე მაღაზიაში ნაყიდი.

მაგრამ ამჯერად შევჩერდებით მაღაზიის, ბრენდულ კვერცხებზე. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ გვხვდება როგორც თეთრი, ასევე ყავისფერი კვერცხები, და რამდენადაც ეს უკანასკნელნი ბებოს მიერ გამოგზავნილ კვერცხებს ფერით უფრო წააგავს, თან, ხშირ შემთხვევაში, უფრო ძვირიც ღირს, ყიდვისას სწორედ მათ ვანიჭებთ უპირატესობას.

და რა ხდება სინამდვილეში? მართლა უფრო სასარგებლოა თუ არა ყავისფერი კვერცხი?

პასუხი ძალიან მარტივია: ძაღლის თავი თავად ქათამშია დამარხული. თეთრი ფერის ქათმები თეთრ კვერცხებს დებენ, მუქი ფერის დედლები კი მუქი შეფერილობის კვერცხებს გვაძლევენ (რა თქმა უნდა გამონაკლისი ყველაგან არსებობს). კვებითი ღირებულება კი ორივე ფერის კვერცხს



ერთნაირი აქვს. ასე რომ, განსხვავება მხოლოდ ნაჭუჭის ფერშია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ქათმის კვერცხს უფრო მაგარი და სქელი ნაჭუჭი აქვს. რაც შეეხება, ქათმის კვებას, ამან გავლენა შეიძლება იქონიოს მხოლოდ კვერცხის გულის ფერზე და გემოზე.

და მაინც, რატომ ღირს ყავისფერი კვერცხი უფრო ძვირი? საქმე ის არის, რომ ქათმებს, რომლებიც ყავისფერ კვერცხს დებენ, მეტი საკვები სჭირდებათ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი შენახვა უფრო ძვირი ღირს, შესაბამისად, კვერცხიც უფრო მეტ ფასად უნდა გაიყიდოს, რათა მწარმოებელმა მოგება ნახოს.

ასე რომ, თუ კვერცხს მაღაზიაში ყიდულობთ, ნუ მიანიჭებთ უპირატესობას ყავისფერს იმ იმედით, რომ რახან ძვირია, მეტად სასარგებლო იქნება. სინამდვილეში ისინი არაფრით განსხვავდება თეთრი კვერცხებისგან.

მითია თუ რეალობა, რომ "რაც უფრო დიდია კვერცხი, მით უფრო სასარგებლოა"?

! პირველი კატეგორიის დიდ კვერცხებში (55-65 გ. ან 65-77 გ.) მეტი წყალი და კვებითი ნივთიერებების ნაკლები კონცენტრაციაა და მათ ასაკოვანი ქათმები დებენ. შედარებით ოპტიმალური არჩევანია ე.წ. მეორე კატეგორიის, საშუალო ზომის კვერცხები (45-55 გ) და მესამე კატეგორიის (35-45 გ.) კვერცხები, რომლებსაც, როგორც წესი ახალგაზრდა ქათმები დებენ და უფრო ნოყიერი და გემრიელია.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86